

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**მაია ალავეიძე**

**ინტერვიუს როგორც ტექსტის ქვეტექსტური განზომილება**

10.02.04 – გერმანიკული ენები

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **მადონა მეგრელიშვილი**

ქუთაისი  
2009

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ----- 4

### თავი I – ტექსტის იმპლიციტური შინაარსის კომუნიკაციური არსი

1.1. კომუნიკაციური ლინგვისტიკის თანამედროვე სტრუქტურა-----	9
1.2. ქვეტექსტი როგორც ლინგვისტური მოვლენა -----	17
1.2.1. ქვეტექსტის წარმოშობის ზოგადი სქემა -----	17
1.2.2. ქვეტექსტი და ტექსტის კატეგორიები -----	31
1.2.3. ქვეტექსტის გამოხატვის ენობრივი საშუალებები -----	39
1.2.4. სტილი როგორც ტექსტის მახასიათებელი -----	44
1.3. კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველი -----	50
1.3.1. ტექსტის იმპლიციტური შინაარსის წარმოქმნის საფუძვლები	50
1.3.2 ტექსტის აგებულების კომუნიკაციური სიტუაციის ხასიათი	53
პირველი თავის დასკვნები -----	59

### თავი II – ინტერვიუს შესწავლის თეორიული საფუძვლები

2.1. ტექსტის ლინგვისტიკის წარმოშობის წანამძღვრები -----	61
2.2. ტექსტის ზოგადი სემანტიკური ანალიზი -----	74
2.2.1 ტექსტისა და დისკურსის ალომორფიზმი -----	79
2.3. ინტერვიუს თავისებურებანი -----	83
2.3.1. დიალოგური მეტყველების პრაგმატიკული თავისებურებანი	83
2.3.2. ინტერვიუს სტრუქტურა -----	87
2.3.3. ინტერვიუს ლინგვისტური ანალიზი-----	98
მეორე თავის დასკვნები -----	99

თავი III – ინტერვიუს პრაგმატიკული ანალიზი ----- 100

3.1.	კონვერსაციული იმპლიკაციის ანალიზი -----	100
3.2.	კონვერსაციული პრინციპების სპეციფიკა მეტყველების აქტის თეორიაში -----	113
3.3.	პოლიტიკურ ინტერვიუთა პრაგმატიკული ანალიზი -----	119
3.3.1.	თავაზიანობის სტრატეგიები და იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედებების ჯაკერისეული ტაქსონომია -----	119
3.3.2.	რესპონდენტის მზაობა ინტერვიუსათვის -----	128
3.4.	ინტერვიუს იმპლიციტური შინაარსის გამოსავლენი ხერხები და საშუალებები -----	133
3.4.1.	ნაცვალსახელთა გამოყენების სიხშირე -----	134
3.4.2.	გამონათქვამის ხანგრძლივობა -----	137
3.4.3.	იმიჯის სახეობა ბრაუნისა და ლევენსონის მიხედვით ----	144
3.5.	ინტერვიუს ეთიკა და მისი ენობრივი რეალიზაცია -----	147
	მესამე თავის დასკვნები -----	152
	საერთო დასკვნები -----	154
	ბიბლიოგრაფია -----	162
	დანართები -----	166

## შესავალი

### სადისერტაციო ნაშრომის თემა და პრობლემატიკა

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება საგაზეთო ინტერვიუს, როგორც ვერბალური ნიშნის ქვეტექსტური განზომილების კვლევას იმ ინტრა- და ექსტრალინგვისტური პრობლემების შესწავლის საფუძველზე, რომელიც თავს იჩენს მისი, როგორც ჟანრის სპეციფიურ თავისებურებებში.

ანალიზისათვის საგაზეთო-პოლიტიკური ინტერვიუ შევარჩიეთ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1) ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკისადმი საზოგადოების მზარდი ინტერესის გამო ინტერვიუ, როგორც პოლიტიკური დისკურსის მაგალითი, მოექცა ლინგვისტიკის ინტერესის სფეროში;

2) საგაზეთო ინტერვიუ, როგორც პოლიტიკური დისკურსის წერილობითი ექსპლიციცია, ატარებს მასობრივ საინფორმაციო ხასიათს და გააჩნია სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსი, სტრუქტურული აგებულება, გარკვეული ფუნქციური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედების ძალა.

ინტერვიუს შესწავლა საინტერესო გახდა დიალოგურ დისკურსში მონაწილე სუბიექტთა სამეტყველო ქმედების და ქვეტექსტური განზომილების უკეთ გაცნობიერების მიზნით, რადგანაც კომუნიკაციური ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს არა იმდენად ურთიერთმიმართება, რაც კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტებსა და მათ მიერ გამოყენებულ ნიშნებს შორის არსებობს, არამედ, თვით ამ სუბიექტთა ურთიერთმიმართება მათ შორის მოქცეული ნიშნის სტრუქტურაში.

ამ ნიშნით ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევებმა დაადასტურა, რომ გამონათქვამს, ექსპლიციტური შინაარსის გარდა, აქვს იმპლიციტური, ქვეტექსტური მნიშვნელობა. ლინგვისტურ ლიტერატურაში, ზოგადად, ქვეტექსტი განიხილება როგორც გამონათქვამის დაფარული აზრი, რომელიც გამოჟონავს ხოლმე სიტყვათა მნიშვნელობებსა და კონტექსტს, ან სასაუბრო სიტუაციას შორის არსებული მიმართებებიდან. ამ თვალსაზრისით, შევეცადეთ შეგვესწავლა ინტერვიუსა და ქვეტექსტის არსი და შეგვემუშავებინა საკუთარი

მოსაზრებები ქვეტექსტის ლინგვისტურ არსსა და მის წარმოშობასთან დაკავშირებით.

ქვეტექსტი ანუ იმპლიკაცია ესაა ტექნიკური ტერმინი პრაგმატიკის ლინგვისტურ თეორიაში, რომელიც პირველად შემოიტანა პოლ გრაისმა (Grice 1975). დევიდ კრისტალის აზრით, პრაგმატიკა სწავლობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საუბრისას ჩვენს მიერ ენის არჩევანზე და ამართლებენ ჩვენი არჩევანის უპირატესობას სხვაზე (Crystal 1987). დრესლერის აზრით, კი პრაგმატიკა, ეს არის საშუალება, გამოიკვლიოს, როგორ შეიძლება განსაზღვრული ტექსტისაგან აზრის გამოტანა, მაშინ, როცა სემანტიკური მსოფლმხედველობით ტექსტი ან დაუსრულებელი ჩანს, ან სხვა მნიშვნელობის გვეჩვენება. მაგალითისათვის განვიხილოთ წარწერა “Foreign Exchanges.” ცხადია, ჩვენ ვხვდებით, რომ აქ უცხოური ვალუტის გადაცვლა და დახურდავება შეიძლება. სწორედ პრაგმატიკა გვაძლევს საშუალებას გავიგოთ „სიტყვების მიღმა” არსებული მნიშვნელობა. დამატებითი მნიშვნელობა აქ მოცემულია არა თავად სიტყვათა სემანტიკური ასპექტის გათვალისწინებით, არამედ იმ კონტექსტური ცოდნის გათვალისწინებით, რომელსაც მოქმელიც და მსენელიც, ან ჩვენს შემთხვევაში დამწერიც და წამკითხველიც ვიზიარებთ (Dressler, W.U. 1981).

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, პრაგმატიკა შეცნობაა, რომელიც საინტერესოა, რადგან – მოქმელს ან დამწერს არ სურს თავი მოაბეზროს მსმენელს თუ მკითხველს. ასე, რომ ადამიანები გამუდმებით ცდილობენ გამოიყენონ ისეთი ლინგვისტური საშუალებები, რომელიც ტექსტს გახდის უფრო მოკლეს, უფრო საინტერესოს, უფრო გასაგებს, უფრო მიზანდასახულს ან უფრო პიროვნულს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნათქვამსა და მნიშვნელობას შორის ურთიერთკავშირი პირველად განიხილა გრაისმა და ამ კავშირს იმპლიკაცია უწოდა (Grice 1975).

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ქვეტექსტი, ანუ იმპლიკაცია, როგორც ლინგვისტური მოვლენა და სამეტყველო ქმედების ზოგადი პრინციპები. გრაისი თავისი ლექციების კურსში ამტკიცებდა, რომ სიტყვის მნიშვნელობა, ზოგადად, არის დერივაციული ფუნქცია იმისა, რასაც მოქმელი გულისხმობდა კონკრეტულ სიტუაციაში ამ სიტყვის წარმოთქმის დროს. ეს არის მნიშვნელობის უნივერსალური “ტიპი” ან კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობათა ნაკრები,

რომელსაც მოქმედი იყენებს მოცემულ სიტუაციაში ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმის დროს (Grice 1957, 1968, 1969).

ყოველივე ზემოთქმული ეწინააღმდეგება სემანტიკური თეორიის ზოგად პრინციპებს, რომელთა თანახმადაც სიტყვის კონვენციური მნიშვნელობა წინასწარ გვეკარნახობს, რას შეიძლება ეს სიტყვა ნიშნავდეს სხვადასხვა სიტუაციაში. კონვენციური თეორია ავითარებს აზრს, რომ აუცილებელი არ არის ვიცოდეთ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა. საკმარისია გავიგოთ გამონათქვამის მნიშვნელობა. თუმცა, ვეთანხმებით გრაისის მოსაზრებას, როცა იგი მყარად იცავს იმ აზრს, რომ სიტყვის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, თუ რას გულისხმობს მოქმედი მისი წარმოთქმის დროს. და აქვე აგრძელებს, რომ “რასაც კონკრეტული მოქმედი ან დამწერი გულისხმობს ამა თუ იმ ნიშნით, ... იოლად შესაძლებელია წარმოდგებოდეს ამ ნიშნის სტანდარტული მნიშვნელობისაგან “ (Grice 1957:381).

**ნაშრომის მიზანია** ა) გამოვლენილ და განზოგადებულ იქნეს ინტერვიუს სტრუქტურული, ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური თავისებურებები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ინტერვიუს ჟანრობრივ-სტილისტურ ტიპობრიობას; ბ) გამოვლენილ და თეორიულად განზოგადებულ იქნეს ის ენობრივ-პრაგმატიკული და სოციოკულტურული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ რესპონდენტის პასუხში ქვეტექსტის წარმოშობას; გ) ყოველივე ამის საფუძველზე, დაზუსტებულ იქნეს ქვეტექსტის ლინგვისტური არსი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- შემუშავებულია კონცეპტუალური აპარატი დასახული კვლევის საწარმოებლად;
- განსაზღვრულია ინტერვიუს, როგორც ტექსტის, ნიშნობრივი სტატუსი მისი სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით;
- შესწავლილია საგაზეთო ინტერვიუ, როგორც პუბლიცისტური ჟანრის ერთ-ერთი სახეობა, მისი სპეციფიური ტიპობრივი თავისებურებების გამოვლენის მიზნით.
- განხორციელებულია ინტერვიუს შეპირისპირებითი ანალიზი ჩვეულებრივ დიალოგურ დისკურსთან, რის საფუძველზეც გამოვლენილია ინტერვიუს სპეციფიური ნიშნები.

- ემპირიული მასალის სამგანზომილებიანი ლინგვოსემიოტიკური ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ქვეტექსტის წარმომქმნელი ენობრივ-პრაგმატიკული და სოციო-კულტურული ფაქტორები.

ინტერვიუს, როგორც ტექსტის, ქვეტექსტური განზომილების შესწავლა და ანალიზი განხორციელებულია კვლევის ლინგვო-სემიოტიკურ და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, ინტერვიუს განხილვას მისი სემანტიკური (რეფერენციალური), სინტაქტიკური (შიდაენობრივი) და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით; მეორე მხრივ, საგაზეთო ინტერვიუ ნაშრომში განიხილება როგორც ინტერსუბიექტური და ინტერაქციული დისკურსის ექსპლიკაცია, რის გამოც ყურადღება მახვილდება ორივე – კორესპონდენტისა და რესპონდენტის კომუნიკაციურ ინტენციასა და სტრატეგიებზე, რომელთა ურთიერთქმედებასაც ქვეტექსტის წარმომქმნელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად განვიხილავთ.

დასახული ამოცანების გადაჭრისათვის, ნაშრომში გამოყენებულია კომპლექსური კვლევის ისეთი კონკრეტული მეთოდები, როგორც არის ენობრივ ერთეულთა სისტემურ-სტრუქტურული ანალიზი და მათი კონტექსტურ-სემანტიკური, სოციო-კულტურული და სტილისტური ინტერპრეტაცია. გამოყენებული ანალიზი უადრესად ფასეული გამოდგა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

**სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა** განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური სიტუაციის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ პოლიტიკური დისკურსი და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ხდება ინტერდისციპლინური კვლევის საგანი. ამ ფონზე, პოლიტიკურ ინტერვიუთა ლინგვისტურ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი ეხმიანება ენათმეცნიერების ახალ მიმართულებას - პოლიტიკურ ლინგვისტიკას, რომლის წარმოშობაც განაპირობა პოლიტიკური დისკურსის კვლევისადმი ინტერესის ზრდამ მსოფლიო მასშტაბით.

- საგაზეთო ინტერვიუ, როგორც მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი საშუალება, წარმოადგენს კომუნიკაციის სპეციფიურ ტიპს. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი შეისწავლის

პოლიტიკურ ინტერვიუს როგორც ტექსტს, რომელსაც გააჩნია სოციალურად ორიენტირებული ფუნქცია, რაც გულისხმობს მასების ცნობიერებასა და ღირებულებებზე გავლენის მოხდენას.

- და ბოლოს, ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ზემოხსენებულ საკითხთა ინტერესების თანხვედრას. პოლიტიკოსის ნათქვამის სწორი ინტერპრეტაცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობები და მათი თანმხლები სოციალურ –პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა.

ფიქრობთ, ნაშრომში განხილული საგაზეთო ინტერვიუ, როგორც პუბლიცისტური ჟანრი, და მისი თავისებურებები ცხადყოფს მოცემული თემის აქტუალობას და მისი შესწავლის აუცილებლობას იმის გათვალისწინებით, რომ, ფართოდ გავრცელების მიუხედავად, ეს ჟანრი ნაკლებადაა შესწავლილი.

**ნაშრომის თეორიული ღირებულებას და სიახლეს** განაპირობებს კვლევის ლინგვისტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც, ერთი მხრივ, განსაზღვრულია საგაზეთო-პოლიტიკური ინტერვიუს, როგორც პუბლიცისტური სპეციფიური ჟანრის, ტიპობრივი თავისებურებები; ხოლო მეორე მხრივ, დადგენილია ინტერვიუში წარმოქმნილი ქვეტექსტის ლინგვისტიური სტატუსი და გამოვლენილია მისი წარმომქმნელი ენობრივ-პრაგმატიკული და სოციო-კულტურული ფაქტორები.

ამით, ჩვენი ნაშრომი, გარკვეულწილად, ეხმიანება ჟურნალისტიკაში დღეისათვის წინა პლანზე წამოჭრილ მნიშვნელოვან საკითხებს.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება** მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, ჩვენი აზრით, საინტერესოა როგორც ლინგვისტიკის შესწავლით დაინტერესებული პირების, ისე ჟურნალისტებისათვის, რადგანაც იგი დაეხმარება მათ ინტერვიუს მომზადების, წარმართვისა და პუბლიკაციის რედაქტირების პროცესში. გარდა ამისა, კვლევის შედეგები და დისერტაციაში წარმოდგენილი ემპირიული მასალა ჩვენს მიერ შემუშავებული ანალიზის მეთოდოლოგიით შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ლინგვისტიური პრაგმატიკის და სოციოლინგვისტიკის სპეცკურსებსა და სემინარებზე, ისე ინგლისური ენის სტილისტიკის, პრესისა და ტექსტის ანალიზის სწავლებისას.



## თავი I. ტექსტის იმპლიციტური შინაარსის კომუნიკაციური არსი

### 1.1. კომუნიკაციური ლინგვისტიკის თანამედროვე სტრუქტურა

თანამედროვე ენათმეცნიერების ყველაზე აქტუალური პრობლემატიკა დაკავშირებულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარებასთან. თუ ამ ეტაპამდე ლინგვისტური აზროვნების საგანს წარმოადგენდა ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტიკის ძირითად საგანს წარმოადგენს ადამიანი, დანახული ენობრივი თვალსაზრისით. ე. ი. აქცენტი გადატანილია სისტემიდან, რომელსაც იყენებს ადამიანი, თვით ადამიანზე.

ყოველ მეცნიერებას აქვს თავისი ობიექტი და საგანი. ობიექტი არის სინამდვილის ის ასპექტი, რომელსაც მეცნიერება შეისწავლის, ხოლო საგანი არის ის, თუ რა კუთხით, რა თვალსაზრისით შეისწავლის მეცნიერება ამ სინამდვილეს.

თანამედროვე ენათმეცნიერის მთავარი შეკითხვა ასეთია: რა მიაჩნია თანამედროვე ენათმეცნიერებას ენის მაკონსტიტუირებელ ნიშნად, ანუ რა წარმოადგენს მის საგანს?

შვეიცარელი ენათმეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის კონცეფციით (ეს კონცეფცია წარმოადგენს მთელი XX ს. ენათმეცნიერების თეორიულ საფუძველს) ენის მაკონსტიტუირებელ ნიშანს წამოადგენს თავად ენა, როგორც არბიტრალურ ნიშანთა სისტემა (Saussure, 1916).

განსაზღვრავს რა ენას, როგორც არბიტრალურ ნიშანთა სისტემას, XX ს. ლინგვისტიკა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანისათვის (თუ ჩვენ მას განვსაზღვრავთ როგორც ჰომო ლოკუენს, მთავარი და გადამწყვეტია ის, რომ ადამიანი ფლობს ენას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას.

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების თეორიული რეკონსტრუქცია გულისხმობს სრული და არასრული ნიშნების ცნებათა ფარდობით ხასიათს. ეს დამოკიდებულია იმაზე, ლინგვისტური აზროვნების განვითარების თუ რომელ ეტაპზეა საუბარი: პირველად სრულ ნიშნად ითვლებოდა სიტყვა, შემდეგ სიტყვა მიხნეული იქნა არასრულ, ხოლო წინადადება სრულ ნიშნად. მასთან ყოველი არასრული ნიშანი აღიარებული იქნა სრული ნიშნის ინტეგრანტად, ანუ

პოტენციურ თუ რეალურ შემადგენელ ნაწილად. შემდეგ სრული ნიშანი აღმოჩნდა ტექსტი. სემიოტიკური ლინგვისტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს თავისი განხილვისა და კვლევის უმთავრეს ობიექტად აქციოს ჭეშმარიტად სრული ნიშანი. დღეს კი ასეთად ითვლება ტექსტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლინგვისტიკის დინამიკის თეორიული რეკონსტრუქცია გულისხმობს, ერთის მხრივ, მოძრაობას სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ და მეორეს მხრივ – ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ნიშნისაკენ, როგორცაა ტექსტი. ამ ორი მიმართულების ურთიერთგადაკვეთის წერტილში შეიქმნა და ვითარდება ის, რასაც კომუნიკაციური ლინგვისტიკა ეწოდება. იგი ეყრდნობა ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს. თეორიული თვალსაზრით, განახლებული ლინგვისტური აზროვნების დაბადების შესაძლო წყაროდ შეიძლება იქცეს ანთროპოცენტრიზმი, რადგან ამ ეტაპზე ლინგვისტიკის ძირითად საგანს წარმოადგენს ადამიანი, დანახული ენობრივი თვალსაზრისით. აქცენტი სისტემიდან, რომელსაც იყენებს ადამიანი, გადატანილია, თვით ადამიანზე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ გაიაზრებს ადამიანი საკუთარ თავს. ეს კი ნიშნავს, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს „ენა, როგორც სისტემა მოქმედებაში“. ენობრივი ნიშნის ცენტრალურ განზომილებად კი მიჩნეულია მისი პრაგმატიკული განზომილება, ანუ ენობრივი სუბიექტის წინა პლანზე გამოყვანა (ლებანიძე 2004). ე.ი. თუკი ლინგვისტური აზროვნების განვითარების წინა ეტაპზე განმსაზღვრელი იყო ნიშნის მნიშვნელობა, დღეს წინა პლანზე გამოყენებითი ასპექტი. როგორც თეორიული ლინგვისტიკის ფუძემდებელი ვ. ჰუმბოლტი ამბობდა „ენა არის არა მკვდარი პროდუქტი, არამედ შემოქმედებითი პროცესი“ (Humboldt 1836: 233).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ენათმეცნიერების ყველაზე აქტუალური პრობლემატიკა დაკავშირებულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარებასა და დამკვიდრებასთან. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითადი სფეროებია თანამედროვე პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა.

კომუნიკაცია, ეს არის აქტი, პროცესი, რომელიც განისაზღვრება როგორც ადამიანისათვის დამახასიათებელ ყოვლისმომცველ ქმედებათა ნაირსახეობა ან კომპონენტი. თუ არსებობს ადამიანი, როგორც სოციო-ბიოლოგიური არსება, მისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანია აქტიური ქმედება, მიმართული,

ერთის მხრივ, სამყაროს მიმართ ხოლო მეორეს მხრივ – სხვა ადამიანის მიმართ. როდესაც ლაპარაკობენ ქმედებაზე, როგორც ადამიანის მაკონსტიტუირებელ ნიშანზე, იგი გაიგება, როგორც ადამიანის აქტივობა სამყაროს მიმართ და ადამიანის აქტივობა სხვა ადამიანის მიმართ (ურთიერთობა). შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი მომენტის ქმედებისა და ურთიერთობის ურთიერთკავშირმა ჩაუყარა საფუძველი ლინგვისტური პრაგმატიკის განვითარებას.

ტერმინი პრაგმატიკა მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „პრაგმა“-საქმე. პრაგმატიკა სემიოტიკის ფარგლებში განისაზღვრება როგორც სუბიექტის მიმართება მის მიერ ნახმარ ნიშანთან. მაგრამ დღევანდელ პრაგმატიკაში მეორე სუბიექტი (მსმენელი) არანაკლები მნიშვნელობისაა. უფრო მეტიც, კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის უპირველეს კვლევის საგანს წარმოადგენს არა იმდენად ურთიერთმიმართება, რომელიც არსებობს კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტებსა და მათ მიერ გამოყენებულ ნიშანს შორის, არამედ თვით ამ სუბიექტთა მიმართება – იმდენად რამდენადაც ეს ურთიერთმიმართება ასახულია მათ შორის მოქცეული ნიშნის სტრუქტურაში.

რაც შეეხება კომუნიკაციის განახლებულ მოდელს, მას საფუძვლად ედება სიტუაციის ცნება. თავიდანვე გაიმიჯნა სიტუაციის ორი სახე - ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური. ლინგვისტური სიტუაცია ეს არის გამონათქვამი მისი უშუალო ენობრივი მოცულობით. მაგრამ გამონათქვამის მნიშვნელობა – ის რისთვისაც გამონათქვამი არსებობს და ფუნქციონირებს – ვერ იქნება განსაზღვრული მხოლოდ ლინგვისტური სიტუაციით. იმისათვის, რომ გამონათქვამის მნიშვნელობა ზუსტად გავიაზროთ საჭიროა გავცდეთ წმინდა ენობრივ მონაცემებს. ანუ გავცდეთ საკუთრივ ლინგვისტურ სიტუაციას. ეს გულისხმობს, რომ ექსტრალინგვისტური, ესე იგი არაენობრივი, მაგრამ ენობრივთან მჭიდროდ დაკავშირებული სიტუაცია უფრო მნიშვნელოვანია კია გამონათქვამის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის, ვიდრე თვით ენობრივი.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი: - “I am going to Ann’s in the morning”.

- “There is no free lunch”.

საკუთრივ ლინგვისტური პოზიციიდან გამომდინარე, აქ გვაქვს გარკვეული ექსპლიციტური შინაარსი. რაკი სინამდვილეში აქ საუბრეზე ლაპარაკი საერთოდ არ ყოფილა, გამონათქვამის მნიშვნელობა არ შეიძლება განისაზღვროს წმინდა ენობრივი მნიშვნელობით. გამონათქვამს ექპლიციტური შინაარსის გარდა აქვს აგრეთვე ქვეტექსტური (იმპლიციტური) მნიშვნელობა. იმისათვის, რომ ეს იმ-

პლიციტური მნიშვნელობა დავინახოთ, საჭიროა გავცდეთ ლინგვისტურ სიტუაციას და მხედველობაში მივიღოთ ის სინამდვილე, რომელთანაც გამონათქვამია დაკავშირებული. მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, იმპლიციტური მნიშვნელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ექსპლიციტური. თუ საუბრისას ხაზს ვუსვამთ საუზმის ფასს, ამას ვაკეთებთ გარკვეული მიზნით. ესე იგი, აქ უკვე საქმე გვაქვს მეტყველი სუბიექტის განზრახვასთან. ფუნქციური თვალსაზრისით, ეს მომენტი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია – მის გარეშე არც გამონათქვამი იქნებოდა. პრაგმატიკული მნიშვნელობის ამ შრეს აქტუალურ მნიშვნელობას უწოდებენ.

აქტუალური შრე, რაც მთავარია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში გვიჩვენებს, რომ ექსტრალინგვისტური სიტუაცია ორი სახისაა: იგი, ერთის მხრივ ეკუთვნის იმ გარე სინამდვილეს, რომელიც იქცევა კომუნიკაციის საგნად, რომელიც გამონათქვამის უშუალო შინაარსს წარმოადგენს. ხოლო მეორეს მხრივ, ეს სიტუაცია ეკუთვნის სუბიექტს – გამონათქვამის ავტორს. როგორც ვხედავთ, ლინგვისტური კვლევისათვის განმსაზღვრელი უნდა იყოს ენობრივი სუბიექტის (ენობრივი პიროვნების) კვლევა.

ამრიგად, ჩვენ გამოვიყოფთ ექსტრალინგვისტური სიტუაციის ორი სახეს:

1. რეფერენტული სიტუაცია – ანუ სინამდვილის ის სეგმენტი, რომელიც უშუალოდ ასახულია გამონათქვამში, გამონათქვამის რეფერენტი. ვინაიდან იმას, რაც ასახულია გამონათქვამში, მუდამ სიტუაციის სახე აქვს გამონათქვამის რეფერენტს წარმოადგენს სიტუაცია. ჩვენს მაგალითში რეფერენტულ სიტუაციას წარმოადგენს ანასთან სტუმრობა.
2. კომუნიკაციური სიტუაცია. ეს ის სიტუაციაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია გავიგოთ და გავიაზროთ გამონათქვამის აქტუალური მნიშვნელობა. იგი განისაზღვრება, პირველ რიგში, კომუნიკაციის აქტში მონაწილეებით (კომუნიკანტებით). როგორც მინიმუმი კომუნიკაციური აქტი შეიცავს ორ კომუნიკანტს – ადრესანტსა და ადრესატს.

კომუნიკანტები ხასიათდებიან გარკვეული ნიშნებით. ეს ნიშნებია:

- სოციალური სტატუსი;
- სოციალური როლი;
- თეზაურუსი- (პარტნიორის ხატი-ადრესანტისათვის, ადრესატის

ხატი და პირუკუ.

ნამოთველილი ნიშნები შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს:

- o **სოციალური სტატუსი** – ეს არის ადამიანის ადგილი საზოგადოებაში.
- o **სოციალური როლი** – გულისხმობს კომუნიკანტთა ურთიერთობას.
- o **თეზაურუსი** – ეს არის მოცემულ რეფერენტულ სიტუაციაზე იმ წარმოდგენათა თუ ცოდნათა ერთობლიობა, რომელიც აქვთ კომუნიკანტებს.

ლინგვისტიკაში აღნიშნული ტერმინის გვერდით ხმარობენ, აგრეთვე, ტერმინს „ფონური ცოდნა“. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით ტერმინი და ცნება “ექსტრალინგვისტური სიტუაცია” გულისხმობს საკუთრივ ენობრივ – ინტრალინგვისტურ სიტუაციას. ეს კი თვით გამონათქვამია. ტერმინი „გამონათქვამი“ თავისი მნიშვნელობით უფრო ფართოა, ვიდრე ისეთი ტერმინები, როგორიცაა „წინადადება“ და “ტექსტი”. იმისათვის, რომ გამონათქვამი გაუტოლდეს წინადადებას, საკმარისია გვექონდეს რეფერენტული სიტუაცია – ამ შემთხვევაში გამონათქვამი ასახელებს რომელიმე რეფერენტულ სიტუაციას. მაგრამ თუ გვაქვს სიტუაციის გარკვეული ერთობლიობა ანუ რეფერენტული სივრცე, მაშინ გამონათქვამი უნდა მივიჩნიოთ ტექსტად. ზოგადად რომ ვთქვათ, რეფერენტული სიტუაცია არის ის, რაზედაც ლაპარაკია გამონათქვამში, რაც წარმოადგენს მის საგანს. რეფერენტული სიტუაცია მუდამ გულისხმობს სინამდვილიდან გარკვეული ელემენტების გამოყოფას და ამ ელემენტებს შორის გარკვეულ მიმართებათა დამყარებას. რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა და მისი გადაქცევა გამონათქვამის საგნად მუდამ არის მეტყველი სუბიექტის გარკვეული აქტივობის შედეგი. ესე იგი, რეფერენტული სიტუაცია არასოდეს არ არის მოცემული მზა სახით.

ამრიგად, არის გარკვეული საგნობრივ-ხდომილებითი ფონი, მაგრამ გამონათქვამის ასაგებად საჭიროა მისგან გამოიყოს რეფერენტული სიტუაცია. ეს კი დამოკიდებულია მეტყველ სუბიექტზე - მის სამყაროსეულ ხატზე, ფონურ ცოდნაზე, თეზაურუსზე, და ა.შ. თუმცა საგნობრივ ხდომილებითი სიტუაცია ერთია. მისგან შეიძლება გამოიყოს მრავალი რეფერენტული სიტუაცია. კონკრეტული სიტუაციის გამოყოფა დამოკიდებულია სუბიექტის საკომუნიკაციო მიზანსა და თეზაურუსზე. აქვე უნდა გამოიკვეთოს ეფექტური კომუნიკაციის მიზნით გამონათქვამის მახასიათებლები.

პირველი და ყოველსომცველი ნიშანი, რომელიც თავისთავად იგულისხმება, არის **კომუნიკაციურობის ნიშანი**. ეს კი გულისხმობს, რომ გამონათქვამი არის არა უბრალოდ რომელიმე ენის აქტუალიზაციის შედეგად მიღებული ენობრივი სეგმენტი, არამედ ისეთი სეგმენტი, რომელიც მოცემულია მინიმუმ ორ კომუნიკანტს შორის, ემსახურება გარკვეულ კომუნიკაციურ მიზანს, ასახავს გარკვეულ რეფერენტულ სიტუაციას, დაკავშირებულია გარკვეულ კომუნიკაციურ სიტუაციასთან და ა. შ.

კომუნიკაციის ამ გლობალური ღირებულების ნიშნიდან გამომდინარეობს **შემდეგი უფრო კონკრეტული შინაარსის ნიშნები**:

1. გამონათქვამის გააზრებულობის ნიშანი. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტულ გამონათქვამს უნდა ჰქონდეს გარკვეული რეფერენტული სიტუაცია.
2. გამონათქვამის გამოზნულობა. ეს იმას ნიშნავს, რომ გამონათქვამის კომუნიკაციურობა საჭიროებს დაკონკრეტებას ისეთი ნიშნით, როგორცაა კომუნიკაციური ინტენცია. რა თქმა უნდა, ყოველი გამონათქვამი ემსახურება კომუნიკაციას. მაგრამ კომუნიკაციური ინტენციის სიცხადე წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტურობის ერთ-ერთ ფაქტორს.
3. გამონათქვამის სიტუაციურობა. ყოველი გამონათქვამის კონკრეტულობა გულისხმობს სიტუაციის (როგორც რეფერენტული ისე კომუნიკაციური სიტუაციის) კონკრეტულობას.
4. მეოთხე ნიშანი - ესაა გამონათქვამის შინაგანი შეკავშირებულობის, ანუ კოჰეზიურობის ნიშანი. ეს არის ნიშანი, ურომლისოღაც შეუძლებელია ეფექტური კომუნიკაცია, რაც გულისხმობს განვიხილოთ გამონათქვამი როგორც კოჰეზიური მთლიანობა, ნიშნავს განვიხილოთ იგი როგორც ტექსტი. მართალია ტექსტის ლინგვისტიკა სულ სხვა თემაა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჭეშმარიტ ენობრივ საგნად უნდა ჩაითვალოს ტექსტი. რადგან სწორედ ტექსტი წარმოადგენს იმ ენობრივ სინამდვილეს, რომლის არსში და რომლის სტრუქტურაში ჰპოვებს რეალიზაციას კომუნიკაციის ის განახლებული იდეა, რომელსაც ეყრდნობა ლინგვისტიკის კომუნიკაციური პარადიგმა – და, აქედან გამომდინარე – თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

ამ ნიშნების დასახელებისა და განსაზღვრის შემდეგ უნდა შევეხოთ ისეთ პრობლემას, როგორცაა გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი. ეს ის შინაარსია, რომელიც უშუალოდ ასახავს რეფერენტულ სიტუაციას, წარმოადგენს რეფერენტული სიტუაციის ინტერპრეტაციას (ასახვა მუდამ არის ინტერპრეტაცია, რადგან ერთი და იგივე რეფერენტული სიტუაცია შეიძლება ასახული იქნეს სხვადასხვანაირად). გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი ის შინაარსია, რომელიც ასახავს კომუნიკაციურ სიტუაციას

გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსის თემის განვითარება აუცილებლად გულისხმობს ტექსტის ცნებაზე გადასვლას, ტექსტის კომუნიკაციურ შინაარსზე ლაპარაკს, რაც თავის მხრივ შეუძლებელია ლინგვისტური პრაგმატიკის გადრმავებული განმარტების გარეშე.

განვიხილოთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ორი ურთიერთდაკავშირებული ცნება. ესენია:

1. გამონათქვამის ილოკუციური ძალის ცნება
2. პერფორმატული ზმნის ან ზმნის პერფორმატული ხმარების ცნება.

გამონათქვამის ილოკუციური ძალის ცნება არის უშუალო დაკონკრეტება კომუნიკაციის ინტენციის ცნებისა. რას ნიშნავს ტერმინები ილოკუცია და ილოკუციური ძალა? იგი ლათინური ტერმინია და ნიშნავს „მეტყველების გარეშე ძალას“ (Levinson 1983). ეს ტერმინი რამდენადმე მისი შინაარსით აიხსნება. რაში მდგომარეობს ეს შინაარსი? ყოველი გამონათქვამი ან უკვე მოცემულია ან შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი რთული ქვეწყობილი წინადადების სახით, რომელშიც მთავარი წინადადება ასახავს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას. ანუ იმას, თუ რა მიზნით ახდენს იგი გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ნომინირებას, ხოლო დამოკიდებული წინადადება შეიცავს თვით რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას. მაგალითად, “It will rain” – გამონათქვამი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რთული ქვეწყობილი წინადადება: “I bet it will rain”.

ასეთი მთავარი წინადადება, რომელიც ასახავს მეტყველი სუბიექტის ინტენციას, მუდამ გვაქვს გამონათქვამის სიღრმეში, მუდამ გვაქვს ფარული სახით და მუდამ შესაძლებელია მისი ექსპლიკაცია. მთავარ წინადადებაში მოცემული ინტენციის თავისებურება იმაშია, რომ იგი მართალია მოცემულია ენობრივი ფორმით, მაგრამ მუდამ წარმოადგენს გარკვეულ ქმედებას.

შევადართ: “It will rain” და “I bet it will rain”. როდესაც ვამბობთ, რომ იწვიმებს, ამით ვახდენთ გარკვეული სიტუაციის ნომინაციას და ის, რასაც ვასახელებთ არ არის ჩვენი ქმედება. მაგრამ როდესაც ვამბობთ, რომ მე ვამტკიცებ, ამ შემთხვევაში, რასაც ვამბობ, ემთხვევა იმას, რასაც მე ვმოქმედებ. ყველა ამისთანა შემთხვევაში ზმნა „მტკიცება“ გამოიყენება იმგვარად, რომ იგი წარმოადგენს საკუთრივ თავის თავის რეფერანტს. „მე ვამტკიცებ“ მტკიცების ქმედებას ვახდენთ და ეს ზმნა ამ ქმედებას ასახავს ისე, რომ ქმედება და ამ ქმედების დასახელება ერთმანეთს ემთხვევა. ყველა ენაში მოიძებნება ზმნები, რომლებიც შეიძლება ვისმართო ასეთ როლში, ან მათი საშუალებით დავაზუსტოთ გამონათქვამის კომუნიკაციური ინტენცია. „ვამტკიცებ რომ“, „ვაცხადებ რომ“ და ა.შ. გამონათქვამის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მოცემული იყოს სიღრმეშიც (იმპლიციტურად) და რომელიც გვიჩვენებს მეტყველი სუბიექტის ქმედებადქცეულ ინტენციას, ეწოდება გამონათქვამის „ილოკუციური ძალა“. მას ეწოდება ილოკუციური, იმიტომ რომ, იგი შეიძლება არ იყოს მოცემული ექსპლიციტურად, მაგრამ სიღრმისეულად იგი მაინც გამონათქვამს ეკუთვნის. ხოლო ზმნა, რომელიც ილოკუციურ გამონათქვამს გამოხატავს, პერფორმატივია. ერთი და იგივე ზმნა შეიძლება ვისმართო პერფორმატიულადაც და არაპერფორმატიულადაც (Lyons, 1983).



## 1. 2. ძველქვეყნის რეორგანიზაციის მიზანშეწონილი მოქმედება

### 1.2.1. ძველქვეყნის რეორგანიზაციის ზოგადი სქემა

თუკი ძველქვეყნის რეორგანიზაციის მიზანშეწონილობა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ძველქვეყნის რეორგანიზაცია ემორჩილება ჯანსაღი და სიტუაციური ნორმებს, რომლებიც საერთოა მოცემული ენის მატარებლებისათვის, მაშინ საიდან ჩნდება ძველქვეყნის რეორგანიზაციის პრინციპულად არ ემორჩილება ნორმას ან ახდენს მის თავისებურ ინტერპრეტაციას? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, განვიხილოთ გამონათქვამსა და კომუნიკაციურ სიტუაციას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულება:

**გ=ფ (ან, ად, რს, სს, სსფ, დს, დ)**

**გ** - გამონათქვამი

**ფ** - ფუნქცია ( ანუ შემდგარი კომუნიკაცია)

**ან** - ადრესანტი

**ად** - ადრესატი

**რს** - რეფერენტული სიტუაცია

**სს** - სამოქმედო სიტუაცია


**სსფ** - საგნობრივ - სიტუაციური ფონი

**დს** - დაკავშირების საშუალება

**დ** - დამკვირვებელი

გამონათქვამსა და ფუნქციას შორის არსებული ნიშანი ნიშნავს, რომ გამონათქვამი წარმოადგენს კომუნიკაციურ სიტუაციის რიგი არგუმენტ-პარამეტრების ფუნქციას ( იხ. სქემა №1).

ცხადია, აქ წარმოდგენილი პარამეტრების უმრავლესობა თავად არის მრავალკომპონენტური (რეორგანიზაცია, მაგ. ან (ადრესანტი). მასში შედის სტატუსი, როლი, ინდივიდუალურობა; ასევე ად (ადრესატი) იგი არის ოთხი მნიშვნელოვანი კომპონენტის ერთიანობა და ა.შ.) თუმცა გამონათქვამსა და კომუნიკაციურ სიტუაციას შორის არსებული ურთიერთობის ასეთი სქემით წარმოდგენა მოსახერხებელია იმდენად, რამდენადაც ნათლად წარმოადგენს კომუნიკაციურ სიტუაციის პარამეტრებსა და გამონათქვამის პარამეტრებს



შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. და რაც მთავარია, გვიჩვენებს შესაძლებლობას ვიპოვოთ ესა თუ ის უცნობი სიდიდე ნაცნობის მეშვეობით.

ადრესანტისათვის ზოგადად მაინც ცნობილია ის, რაც ამ ტოლობის პირველ ნაწილში დევს (უფრო სწორად, მას აქვს განსაზღვრული წარმოდგენა კომუნიკაციური სიტუაციის პარამეტრების შესახებ). მისი ამოცანაა – იპოვოს გამონათქვამის პარამეტრები ანუ ააგოს ურთიერთობა, შედგეს კომუნიკაცია. როგორ შეასრულებს იგი ამ ამოცანას – მკაცრად დაიცავს ზოგადად მიღებულ ნორმებს თუ გადაუხვევს მისგან დამოკიდებულია მის კომუნიკაციურ კომპეტენციაზე და მათ მიერ არჩეულ ჟანრზე (იმაზე, თუ რამდენად იძლევა ჟანრი ინდივიდუალური ინტერპრეტაციის საშუალებას).

ინფორმაციის მიმღები (ადრესატი ან დამკვირვებელი) დგას საპირისპირო ამოცანის წინაშე. მას მიეწოდება თავად გამონათქვამი, მისი ექსპლიციტური შინაარსი და სტილი. აგრეთვე, გარემოებათა მიხედვით, კომუნიკაციური სიტუაციის ესა თუ ის პარამეტრები; ფუნქციის ამოცანის ფორმულის ანუ კანონზომიერი კავშირის კომუნიკაციური სიტუაციის პარამეტრებსა და გამონათქვამს შორის ცოდნით, იგი „გამოყოფს“ უხილავ, მისთვის საინტერესო არგუმენტებს – კერძოდ, რომელიც მას აინტერესებს. გარდა ამისა, ნებისმიერი ინფორმაცია ყოველთვის უშვებს ე.წ. „მარცხენა“ კონტექსტის არსებობას. ეს კი საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ გაჩნდეს იმპლიციტური შინაარსი: ყოველთვის რაღაც უცნობთან გათანაბრებით (პრინციპში, ადრესანტის პარამეტრები მთლიანად შეუძლებელია ცნობილი იყოს, რადგან ინდივიდი ამოუცნობია).

ყველა ზემოთქმული ეხებოდა ე. წ. „სწორ“ გამონათქვამს, მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა საქმე გვაქვს ე.წ. „არასწორ“ გამონათქვამთან, ანუ ისეთთან, რომელიც არ შეესაბამება ნორმებს, არღვევს წესებს? ასეთ შემთხვევაში, მაშინვე არ ხდება ან საერთოდ არ ხდება გამონათქვამისა და ფუნქციის გათანაბრება, რადგანაც გამონათქვამის პარამეტრები ვერ ეთანხმება კომუნიკაციური სიტუაციის პარამეტრებს, რომელიც მსმენელს გააჩნია. გამონათქვამი ვერ აკმაყოფილებს სამეტყველო ქმედების ზოგადი პრინციპებიდან რომელიმე ერთ-ერთს. სწორედ აქ შემოდის ძალაში ქვეტექსტური განზომილება და ჩვენ ვცდილობთ, ვიპოვოთ აზრი, რაღაც დაფარული ინფორმაცია, რათა გავამართლოთ თანაფარდობა გამონათქვამსა და ფუნქციას შორის (Арнольд И.В.1982).

ზოგიერთ საენათმეცნიერო ნაშრომში საერთოდაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვეტექსტი უკავშირდება ე.წ. არასწორობას, დარღვევას სამეტყველო ქმედებაში. იმპლიციტური შინაარსი უკავშირდება ტექსტში არსებულ ლაფსუსებს – გამოტოვებულ ადგილებს, ბუნდოვანებას, ერთმანეთის საწინააღმდეგო გამონათქვამებს, რომელიმე ნორმის დარღვევას; ხელმძღვანელობს რა მართებულობის პრეზუმპციით, მკითხველი ან მსმენელი ცდილობს გაამართლოს ტექსტის ანომალური სეგმენტი, იპოვოს დაფარული აზრი.

ვფიქრობთ, ქვეტექსტის წარმოშობის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი არის მიმღების ინფორმაციული მომთხოვნელობა: ძიება იწყება მაშინ, როცა მიმღები გრძნობს საჭიროებას, იპოვოს რაღაც დამატებითი მტკიცებულება კომუნიკაციური სიტუაციის ან შეტყობინების ფაქტის შესახებ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქვეტექსტის მატარებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ინფორმაცია და არა მარტო „შეუთანხმებლობა“. თუმცადა, დაფარული აზრის ძიების საჭიროება მართლაც რომ შეიძლება პროვოცირებული იყოს ლაფსუსით, ან თვით ტექსტში არსებული უცნაურობებით, მით უმეტეს, რომ ასეთი ტიპის ქვეტექსტი ხშირად წარმოადგენს წინასწარგანსაზღვრულს და შესაბამისად, ადრესატისათვის აქტუალურს.

თეორიულად შესაძლებელია, რომ ქვეტექსტის ძიებისათვის აუცილებლად წავაწყდეთ მეტყველების ზოგადი პრინციპებისა და ჟანრობრივ-სიტუაციური ნორმების დარღვევას და, საერთოდ, ენობრივი ნორმების ნებისმიერი სახის დარღვევას. თუმცადა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნორმებიდან გადახვევა თავად ექვემდებარება გარკვეულ ნორმებს, რათა შესაძლებელი იყოს მათი აღქმა და გაგება. მაგალითად, თუკი უფროსი ყოველთვის მეგობრულად ესაუბრება თავის ხელქვეითებს და ერთ დღეს მათ მკაცრად მიმართავს, ხელქვეითებმა ეს უნდა აღიქვან, როგორც არსებულიდან გადახრა, რომლის უკანაც განსაზღვრული ქვეტექსტი დგას.

აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ნებისმიერი გამონათქვამი ატარებს როგორც რეფერენტულ, ასევე კომუნიკაციურ ქვეტექსტს. რეფერენტული ქვეტექსტი ჩნდება იმის საფუძველზე, თუ რა მიმართებაა სამყაროს შესახებ ჩვენ ცოდნასა და მოცემულ სამეტყველო აქტს შორის; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმღებისათვის იგი აქტუალურია სუბიექტის შესახებ

არსებული ცოდნის გამო – კერძოდ, იმ პრინციპების გამო, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციურ ქვეტექსტს.

მაგალითისათვის განვიხილოთ ფრიდონ დოჩიას ინტერვიუ ცნობილ რუს ფილოსოფოსთან ალექსანდრე დუგინთან. იგი არის პოლიტოლოგი, პუბლიცისტი, თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური სკოლის დამფუძნებელი და ევრაზიული მოძრაობის ლიდერი, რომელიც უკრაინაში პერსონა ნონ-გრატად არის გამოცხადებული. მართალია, საქართველოში ჩამოსვლა მას ჯერ-ჯერობით აკრძალული არ აქვს, მაგრამ სეპარატისტულ რეგიონებთან განსაკუთრებული მეგობრობა რომ აკავშირებს, ცხადია. იგი ცხინვალში იმყოფებოდა და სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს სპეციალური ტრენინგები ჩაუტარა. ამ ღონისძიებისადმი მიძღვნილ კადრებში ნათლად ჩანს, თუ როგორ უღვივებენ ახალგაზრდობას ქართველების მიმართ სიძულვილს, თუმცა “Georgian Times“-სთან საუბარში ალექსანდრე დუგინი ამას კატეგორიულად უარყოფს:

ჯ. თ. (ჟურნალისტი): - ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა თქვენი ამ ტრენინგების კადრები, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ქართველები ცუდები, მტრები არიან და ა.შ. ამას როგორ ახსნიდით?

ა.დ.: (რუსი ფილოსოფოსი) - ტრენინგები იყო იმისათვის, რათა ხალხს ესმოდეს კულტურებს შორის განსხვავება. ტარდებოდა თამაშები სხვადასხვა ხალხების გაგების, მათი ლოგიკის გათვითცნობიერების მიზნით. მაგალითად, ახალგაზრდები რამდენიმე ჯგუფად დაეყავით. თანაც აქ იყვნენ ოსებიც და რუსებიც. ვინც ქართველების მხარეს იყვნენ, ისინი თავიანთ პოზიციებს აცნობდნენ სხვებს. ხდებოდა ნატოს და სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა კონფერენციების იმიტირება. ვიღაცა იყო ოპონენტი. ვასწავლიდით მათ, რომ სამყაროსათვის სხვადასხვა მონაწილეთა თვალთ შეეხედათ. სწავლება საბრძოლო მოქმედებათა ფორმებთან გაცნობის თვალსაზრისით ტარდებოდა. იმიტომ, რომ ჩვენთვის აუცილებელია ევრაზიული სივრცის ინტერესების დაცვა. არანაირ ეთნიკურ არჩევანს ჩვენ არ ვაკეთებდით. ჩვენ რუსეთის ინტერესებს ვიცავთ. ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამ-

დით, რომ ცუდი ხალხები არ არსებობენ. ეს ევრაზიელთა აბსოლუტური დოქტრინალური პოზიციაა.

(Georgian Times 7-14 08. 08)

როგორც ხედავთ, ალექსანდრე დუგინი აშკარად არღვევს რაოდენობრიობისა და ქცევის მაქსიმუმს. პასუხის სიგრძე აშკარა დემონსტრირებაა იმისა, თუ როგორ ირღვევა რაოდენობრიობის მაქსიმა, რომელიც გულისხმობს: იყავი იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ეს საჭიროა საუბრის კონკრეტულ მომენტში და არ არის საჭირო იყო უფრო ინფორმაციული, ვიდრე ამას შენგან მოითხოვენ. რაც შეეხება ქცევის მაქსიმის (თავიდან აიცილე გაურკვეველობა) დარღვევას, ამის მაგალითია მისი ბუნდოვანი პასუხი. პასუხის დასაწყისში ის ამბობს, რომ ტრენინგები იყო იმისათვის, რათა ხალხს ესმოდეს კულტურებს შორის განსხვავება. მოგვიანებით, კი აგრძელებს, რომ სწავლება საბრძოლო მოქმედებათა ფორმებთან გაცნობის თვალსაზრისით ტარდებოდა. ეს ორი ინფორმაცია აშკარად არ ეთანხმება ერთმანეთს, რაც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დუგინი ტრენინგების ნამდვილი მიზნის დაფარვას ცდილობს.

კომუნიკაციურ ქვეტექსტს, აგრეთვე, გააჩნია ორმაგი ბუნება. აქ ლაპარაკია, ერთის მხრივ, ქვეტექსტზე, რომელიც ეხება მხოლოდ მოცემულ გამონათქვამს და მთლიანად მოცილებულია მისი კომუნიკაციური შინაარსის სხვა დანარჩენ ასპექტებს და არ ატარებს მის ადეკვატურ ექსპლიციტურ შინაარსს. მეორეს მხრივ, აქ შეხება გვაქვს იმპლიციტური შინაარსთან, რომელიც საერთოა გამონათქვამთა თანამიმდევრული მწკრივისათვის, ხშირად მთელი ტექსტისათვის. ასეთ შემთხვევაში იგი ახასიათებს მთლიანად კომუნიკაციურ სიტუაციას.

პირველი ტიპის კომუნიკაციური ქვეტექსტი განიმარტება როგორც კერძო; მეორე ტიპი კი – საერთო. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქვეტექსტი წარმოადგენს სამეტყველო აზროვნების მნიშვნელოვან კომპონენტს. ეს არ არის რომელიმე სამეტყველო უნარის პრივილეგია. იმპლიციტური შინაარსი მოიცავს მთელ სამეტყველო კომუნიკაციას. საერთოდაც შეუძლებელია ვილაპარაკოთ კომუნიკაციაზე, თუ არ ვიცით ვინ, ვის, სად, როდის და რატომ ამბობს ან წერს იმას, რაც გვესმის, ან რასაც ვკითხულობთ. უცილებელი არაა ქვეტექსტი ითვლებოდეს გამონათქვამის აზრად, მაგრამ არ არსებობს აზრი ქვეტექსტის გარეშე.

მაგალითისათვის განვიხილოთ ჟურნალისტ ია დანელიას ინტერვიუ ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან. ქვეტექსტი, რომელიც გასდევს მთელ ინ-

ტერვიუს წარმოადგენს იმპლიციტურ შინაარსს, რომელიც საერთოა გამონათქვამთა თანამიმდევრული მწკრივისათვის, მთელი ტექსტისათვის. ანუ, იგი ახასიათებს მთლიანად კომუნიკაციურ სიტუაციას.

ი.დ. (ჟურნალისტი): თუ შედგა დიალოგი ოპოზიციასა და სააკაშივლს შორის, რომელი დარჩება მოგებული?

ე. შ. (საქართველოს ექსპრეზიდენტი): დიალოგის წინააღმდეგი არც ერთი მხარეა და არც მეორე. გააჩნია, ვის როგორ ესმის ეს მოლაპარაკება. პოზიციის უმრავლესობას მიაჩნია, რომ დიალოგი შესაძლებელი მხოლოდ ერთ საკითხზე შედგეს, – პრეზიდენტის გადადგომაზე. დანარჩენს არჩევნები გადაწყვეტს. ხოლო როცა ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ დიალოგზე, ერთი ათი საკითხი აქვთ ჩამოთვლილი და აცხადებენ, ყველაფერზე ვისაუბრებთ, გარდა პრეზიდენტის გადადგომისაო.

(Prime Times 4-10.04.09).

მოცემულ მაგალითში კარგად ჩანს, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ კომუნიკაციურ ქვეტექსტზე, თუ არ ვიცით ვინ, ვის, სად, როდის, რას და რატომ ამბობს ან წერს იმას, რაც გვესმის, ან რასაც ვკითხულობთ. უცილებელი არაა ქვეტექსტი ითვლებოდეს გამონათქვამის აზრად, მაგრამ არ არსებობს აზრი ქვეტექსტის გარეშე. ანუ, ინტერვიუს აზრი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ლაპარაკია 2009 წლის გაზაფხულზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებულ დაძაბულობაზე. რაც შეეხება თავად ე. შევარდნაძის პასუხს, აქ აშკარაა, რომ ირღვევა მანერის მაქსიმა, რომელიც გულისხმობს დასმულ კითხვაზე ზუსტი და კონკრეტული პასუხის გაცემას (Grice, 1975).

როგორც უკვე ავლნიშნეთ, ტექსტი, როგორც მთლიანობა ლინგვისტური კვლევის საგანი გახდა XX საუკუნის მეორე ნახევარში. თუმცა ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა სფეროში, სამეცნიერო (ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა და ა.შ) და პრაქტიკულში (ლიტერატურა, თეატრი, იურიდიული პრაქტიკა), თანდათანობით ჩნდებოდა ტექსტზე მუშაობის გამოცდილება, ხდებოდა დაკვირვება მის სტრუქტურასა და ფუნქციონირების კანონზომიერებებზე. მას შემდეგ, რაც ტექსტი გაგებული იქნა, როგორც ლინგვისტური ერთეული, წარმოიშვა აუცილებლობა გადაესინჯათ აქამდე

დაგროვილი უამრავი ლინგვისტური ტერმინი და მოეხდინათ მათი ლინგვისტური სისტემატიზაცია. ერთ-ერთი ასეთი გაგება პრელინგვისტური ტექსტისმცოდნეობისა, რომელიც წარმოიშვა ლიტერატურასა და თეატრალურ პრაქტიკაში, იყო ქვეტექსტი. პირველად იგი გამოყენებული იქნა ა. ჩეხოვის პიესის ნოვატორული პოეტიკის ახსნისათვის მისი ადექვატური წარმოდგენისათვის სცენაზე. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ერთ-ერთი ადრეული ტერმინი გამოყენებული იქნა XX საუკუნის თეატრის უდიდესი ნოვატორების კ. სტანისლავსკისა და ე. ვახტანგოვის მიერ. ვახტანგოვი, მაგალითად ასე უხსნიდა მსახიობებს სიტყვის მნიშვნელობას: „თუ ვინმე გეკითხებათ რომელი საათია, ეს შეკითხვა შეიძლება დასმული იქნეს სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა ინტონაციით. მას, ვინც გეკითხებათ შეიძლება სულაც არ აინტერესებს რომელი საათია, მას შეიძლება უბრალოდ უნდა რომ შეგახსენოთ რომ უკვე დიდი ხანია ზიხართ და გაგვიანდებით. ან, პირიქით, თუ თქვენ ექიმს ელოდებით და ყოველი წუთი ძვირფასია, მაშინ ამ შეკითხვას სულ სხვა ინტონაცია და დატვირთვა აქვს. აუცილებელია, ვეძიოთ ქვეტექსტი ყოველ ფრაზაში“ (Вахтангов 1940: 140).

ასეთი სინკრეტული, არადიფერენცირებული წარმოდგენა ქვეტექსტის არსზე ბუნებრივი და ტიპიურია პრაქტიკული ცოდნისათვის, თუმცა არ შეესაბამება მეცნიერული ცოდნის კრიტერიუმებს. სწორედ ამიტომაც, იმ მკვლევართა (Grice, 1975; Searle 1975; Stalnaker 1989; Brown P. & Levinson, S. 1978) წინაშე, რომლების თავიანთი კვლევის ობიექტად მიიხედავდნენ ტექსტს, დადგა პრობლემა. კერძოდ, როგორია მეცნიერული განმარტება ქვეტექსტის არსისა.

პირველი ნაბიჯი ქვეტექსტის, როგორც ლინგვისტური მოვლენის სტატუსის განსაზღვრის საქმეში, გახდა იმის ახსნა, ტექსტის, როგორც ნიშნის რომელი მხარე უნდა ახსნას ამ ტერმინით. ტექსტის შესახებ არსებულ ლიტერატურაში შეიძლება შეხედეთ შეხედულებას, რომლის თანახმადაც ქვეტექსტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტექსტის ფორმალური სტრუქტურის ფაქტი, როგორც სემანტიკური მოვლენა, და როგორც პრაგმატიკული მოვლენა; „იქამდე, სემიოლოგიური მოვლენაც კი, რომელიც მოიცავს როგორც ტექსტის მოცემული მონაკვეთის მეზობელ მონაკვეთებს, ასევე სიტუაციას, რომლის წყალობითაც წარმოიშობა ახალი მნიშვნელობა“ (Мыркин 1976: 87). ეს ბოლო განსაზღვრება, რომელიც აერთიანებს ტექსტის ფორმასა და სემანტიკას, როგორც ეხედავთ, შეიცავს არამეცნიერული სინკრეტიზმის ელემენტებს და



ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ იგი არ იქნა ფართოდ მიღებული. გარდა ამისა, მირკინი იქვე იძლევა ასეთ განმარტებას: ამ მეორე მნიშვნელობას ტექსტისას, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი, ეწოდება ქვეტექსტი (ibid 1976, 87).

ქვეტექსტის როგორც ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის ნაწილის განხილვა ითვლება საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებად იმ ლინგვისტთა შორის, რომლებიც ამ პრობლემაზე მუშაობენ.

### **ქვეტექსტის სემანტიკური კონცეფცია**

კონცეფციისათვის, რომელიც ეხება ქვეტექსტის სემანტიკურ მიდგომას, დამახასიათებელია შემდეგი ტერმინების გამოყენება: „არსი“, „შინაარსი“, „ინფორმაცია“. ასევე, მის დასახასიათებლად ხშირად გამოიყენება შემდეგი ტერმინები: „ღრმა“, „დაფარული“, „განუსახდერელი“, და ა.შ.

აქვე გვსურს ანალიზის მიზნით წარმოვადგინოთ სხვადასხვა მკვლევართა დეფინიცია აღნიშნული ტერმინის: ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ “ქვეტექსტი არის გამონათქვამის დაფარული აზრი, რომელიც გამომდინარეობს კონტექსტიდან და სამეტყველო სიტუაციებთან სიტყვათა მნიშვნელობების ურთიერთობებიდან” (Халиев 1968 :830). „ქვეტექსტი – ეს არის ის ჭეშმარიტი (ავტორისეული, ღრმა) აზრი გამონათქვამისა (ტექსტისა), რომელიც მთლიანად არ ჩანს ტექსტის ექსპლიციტურ მნიშვნელობაში, მაგრამ რომელიც მასშია დაფარული და გასაგებია მხოლოდ კონკრეტული ანალიზისას და ურთიერთობისას” (Кожина 1975: 63). “ქვეტექსტი, ანუ გამონათქვამის იმპლიციტური მნიშვნელობა – ეს არის მნიშვნელობა, რომელიც პირდაპირ არ იშლება გამონათქვამის შემადგენელ ენობრივი ერთეულის უზუალურ ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობებში” (Долинин 1983: 40).

ქვეტექსტის ყველა ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებაში იგი განმარტებულია, როგორც იმპლიციტური ფორმა. ტერმინები „არსი“, „შინაარსი“ მოცემულ შემთხვევაში გამოდიან როგორც სინონიმები. თუმცა, არსებობს შეხედულება, რომ ეს ტერმინები უნდა გაიყოს როგორც:

1. ტექსტის არსი, განზოგადებული მნიშვნელობა. ეს არის ტექსტის შინაარსი მისი შინაგანი არსი, მისი ძირითადი იდეა, ის, რისთვისაც იგი შეიქმნა.

2. ტექსტის შინაარსი ეს არის მისი არსის გამოხატულება კონკრეტულ რეფერენციალურ ფორმაში, მისი ენობრივი გამოხატულების ფორმით (Реферовскаиа 1989: 175).

ქვეტექსტის მოცემული განმარტებები ახასიათებენ მას, როგორც ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის ასპექტს, რომლის დანიშნულებაც ინტელექტუალური აღქმა, რომელიც ზვეგინცევის მიხედვით „იძენს სპეციფიკურ ორფეროვნებას, როცა უშუალოდ აღქმულ ინფორმაციას, დასრულებულს ობიექტის უშუალოდ აღქმული სტრუქტურით, ემატება სხვა, დაფარული, მოცემული ობიექტის მოდელიდან გამომდინარე ინფორმაცია” (Zvegencev 1976: 298). უნდა აღინიშნოს, რომ ზემომოყვანილი განსაზღვრებები არ იძლევა ისეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ არსი, რომელიც ქმნის ქვეტექსტს, რამეთი არსებითად განსხვავდებოდეს ტექსტის ექსპლიციტური არსისაგან. ეს განსხვავება ეხება მხოლოდ გამოხატვის საშუალებებს. კერძოდ, აღქმის საშუალებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის ლინგვისტიკაში დომინირებს სემანტიკური მიდგომა ქვეტექსტისადმი, არსებობს ქვეტექსტის სხვა ალტერნატიული კონცეფციებიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეტექსტის კონცეფციები, პირველ რიგში, განსხვავდება იმის მიხედვით, ტექსტის როგორც ნიშნის რომელ მხარეს მივაკუთვნებთ ქვეტექსტს. ტექსტი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ნიშანი, შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც ერთეული, სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული ნიშნით (Морис 1983; Степанов, 1998). თუმცა, მკვლევართა უმეტესობა ქვეტექსტს აკუთვნებს ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურას, არსებობს კონცეფციები, რომლებიც ქვეტექსტს ფორმალურ (სინტაქტიკურ) და პრაგმატიკულ სტრუქტურებს მიაწერენ.

### **ქვეტექსტი, როგორც ტექსტის ფორმალური სტრუქტურის ნაწილი**

ერთ-ერთი პირველი მცდელობა შეექმნა ქვეტექსტის ლინგვისტური კონცეფცია, ეკუთვნის სილმანს. სტატიაში „ქვეტექსტი, როგორც ლინგვისტური მოვლენა“ იგი განსაზღვრავს ქვეტექსტს როგორც „გამანაწილებელ, დისტანცირებულ გამეორებას” (Silman 1969: 85). ნებისმიერი ქვეტექსტის საფუძველში ყოველთვის დევს ერთხელ უკვე ყოფილი, და ამა თუ იმ ფორმით განახლებული ნი-

შანი (ibid 1969. 85). სილმანის მიხედვით, ქვეტექსტს ყოველთვის ახასიათებს ორ-საფეხურიანი სტრუქტურა:

1. პირველი საფეხური გვთავაზობს გამონათქვამის თემას, ქმნის რა “სიტუაცია - საფუძველს”.
2. მეორე საფეხური კი, იყენებს რა მასალას, ქმნის ქვეტექსტს ტექსტის შესაფერისად.

უფრო მეტიც, სილმანი, როგორც ჩანს, მთლიანად არ უარყოფს ქვეტექსტის ტრადიციულ, სემანტიკურ გაგებას. ლაპარაკია ქვეტექსტის დაბადებაზე იმაზე, რომ სიტუაცია-საფუძველისა და სიტუაცია-გამეორების დისტანციურ განლაგებას მივყავართ სიზუსტესა და გამეორებასთან და ქმნის ფსიქოლოგიურ (ასოცირებული) “არეალის“ განუსაზღვრელ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, რითაც გარშემორტყმულია სიტუაცია-გამეორება, სიტუაცია-საფუძველის ურთიერთ-მოქმედების წყალობით, რომელიც თავისი “არეალით“ ჩაითრევს მას ახალ სიტუაციაში. ასე ხორციელდება სიტუაციის პირველადი და მეორადი მნიშვნელობების შეხება, საიდანაც იბადება ქვეტექსტი (ibid 1969: 85).

ტ. უ. სილმანისათვის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ქვეტექსტის როგორც სხადანსხაობის გაგება. განმეორების დაშორიშორება, რომელიც ჩნდება კონტექსტური კავშირების ცვლილებებისა და გადრმავეების ფონზე. ეს არის რთული მოვლენა, რადგანაც იგი წარმოადგენს ენის სხვადასხვა ლექსიკური და სინტაქტიკური დონეების ერთიანობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სემანტიკური ეფექტი, რომელსაც იძლევა ქვეტექსტი, შეიძლება აიხსნას ფორმალური მიზეზებით. ვაძლევთ რა დიდ მნიშვნელობას ქვეტექსტის ფორმალურ მხარეს, მისი ფორმირების საშუალებას, რომელიც იგულისხმება, რომ ტექსტის ღრმა საფუძველშივე არსებობს (თუ მას მაინც განვიხილავთ როგორც სემანტიკურს), ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ქვეტექსტი ეს არის წმინდა ლინგვისტური მოვლენა. იგი წარმოადგენს გამოსატვის განსაზღვრულ საშუალებას, თუ მთლად ენობრივი არა, უმეტესად მაინც ენობრივი საშუალებებით. საგაზეთო ინტერვიუს განხილვა სამგანზომილებიან ლინგვისემიოტიკურ ჭრილში, შესაძლებლობას იძლევა ქვეტექსტი განხილულ იქნეს როგორც ტექსტის სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატიკული ასპექტების თანადროული რეალიზების შედეგად წარმოქმნილი ინფორმაციის სიღრმისეული პლასტი, რომლის ინფერენციაც მოითხოვს ტექსტისადმი შემოქმედებით ინტერპრეტაციულ მიდგომას.

მაგალითისათვის განვიხილოთ კიდევ ერთი ნაწევები ინტერვიუდან ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან (ასავალ-დასავალი 4-10 მაისი №18):

- დ. (ჟურნალისტი): დაგუშვათ დიალოგი შედგა, რომელი მხარე უფრო მოგებული დარჩება?

ედ. შ. (საქართველოს ექს-პრეზიდენტი) : საკითხს ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერა გადაწყვეტს.

(ასავალ-დასავალი, 4-10 მაისი №18).

როგორც ვხედავთ, იმპლიციტური შინაარსი, რომელიც საერთოა ამ კონკრეტული ინტერვიუსათვის, წარმოადგენს მოცემული ტექსტის სიტუაციასაფუძველს. ჟურნალისტის მიერ ერთი და იგივე შინაარსის შეკითხვების განმეორებითი დასმა ქმნის ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, რითაც გარშემორტყმულია სიტუაცია-გამეორება სიტუაცია-საფუძველის ურთიერთმოქმედების წყალობით.

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფორმალიზაციის ამოცანა. ანუ, ტექსტის შესახებ გაუცნობიერებელი ცოდნის ექსპლიციტური გამოხატვა ლინგვისტურ ტერმინებში. ეს ცოდნა ყველა კომუნიკანტს გააჩნია. თუკი ქვეტექსტს მივიჩნევთ არა ფორმალურ, არამედ სემანტიკურ მოვლენად, იგი მაინც რჩება ლინგვისტურ მოვლენად. ქვეტექსტი განიხილება არა უბრალოდ როგორც ინფორმაცია, არამედ, როგორც შინაარსის გეგმის სტრუქტურის ელემენტი, შინაარსის გეგმის სტრუქტურის აღწერა. ეს კი, რა თქმა უნდა, შედის ტექსტის ლინგვისტიკის ამოცანაში.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ინტერვიუს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან:

- ა. დ. (ჟურნალისტი): რეგულაციის პირველ დღეებში თუ წარმოიდგენდით, რომ გავიდოდა ძალიან ცოტა დრო და რუსთაველზე ადამიანები ისევ დაიყვირებდნენ: “გადადექი”

ედ. შ. (საქართველოს ექს-პრეზიდენტი): იმ დღეებში ყველაზე დიდი იმედი ზურაბ ჟვანიასი მქონდა.

(ასავალ-დასავალი 4-10 მაისი №18).

ამ ნაწევების სემანტიკური ეფექტი გახლავთ ის, რომ ედუარდ შევარდნაძე თავს არიდებს დასმულ შეკითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას. ეს კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ქვეტექსტი არის

ლინგვისტური მოვლენა, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში გამოხატულია შესაბამისობის მაქსიმის დარღვევით, რაც გულისხმობს მართებულად თანამშრომლობას (Grice 1975).

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მსოფლმხედველობა, რომლის თანახმადაც ქვეტექსტი გვევლინება ტექსტის ფორმალური სტრუქტურის ნაწილად, გამოწვეულია ზოგიერთ ტერმინთა არასწორად გაგებით: სემანტიკური ეფექტის მნიშვნელობა გადატანილია ფორმალურზე, რომელიც ფაქტიურად ბადებს ამ ეფექტს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ახსნა-განმარტება ბევრი მეცნიერისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

### **ქვეტექსტი, როგორც ტექსტის პრაგმატიკული სტრუქტურის ნაწილი**

ვიდრე უშუალოდ შევუდგებოდეთ ქვეტექსტის, როგორც ტექსტის პრაგმატიკული სტრუქტურის ნაწილის განხილვას, საჭიროა განვიხილოთ რას ნიშნავს ტექსტის პრაგმატიკული სტრუქტურა. თუკი ვეთანხმებით, რომ ნებისმიერი გამონათქვამი ხასიათდება არა მარტო ფორმალური და სემანტიკური პარამეტრებით, არამედ, პრაგმატიკული პარამეტრებითაც, მაშინ ლოგიკურია გავმიჯნოთ არამარტო სინტაქტიკური და სემანტიკური სტრუქტურა, არამედ პრაგმატიკული სტრუქტურაც, როგორც ტექსტის მთლიანი სტრუქტურის ცალკე ასპექტი. გამონათქვამის ბევრი სხვა პრაგმატიკული მახასიათებელი ტექსტის სტრუქტურის სხვა ასპექტებთან კავშირში, კარგა ხანია იქცა ლინგვისტური აღწერის საგნად. თუმცა დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება ყველა ამ მონაცემთა გაერთიანება ერთ ქვესისტემად, სათაურით: „კომუნიკანტის მნიშვნელობა“. რა თქმა უნდა, ტექსტის პრაგმატიკული სტრუქტურის აღწერისას ცენტრალურ კატეგორიად უნდა იქცეს ინტენციურობის კატეგორია, ტექსტის კომუნიკაციური ამოცანა. ქვეტექსტი, როგორც ტექსტის პრაგმატიკული სტრუქტურის ნაწილი და როგორც პრაგმატიკული ეფექტი, საფუძვლიანადაა განხილული კუხარენკოს შრომებში (Кухаренко 1974, 1988).

კუხარენკოს ნაშრომში “იმპლიკაციის გამოხატვის ტიპები და საშუალებები ინგლისურ ენაში (კემინგუეის პროზაზე დაყრდნობით)” მოცემულია ქვეტექსტის განმარტება, რომლის თანახმადაც ქვეტექსტი - ეს არის ავტორის მიერ შეგნებულად შერჩეული მანერა, რომელსაც გააჩნია ობიექტური

გამოსატულება ნაწარმოების ენაში (ibid 1974: 72). მისი ნაშრომის ანალიზს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ:

1. ქვეტექსტის პრაგმატიკული სტრუქტურისათვის მიკუთვნება, ისევე როგორც მისი შეყვანა ფორმალურ სტრუქტურაში, ეფუძნება ამ მოვლენათა არაკანონიერ მიმსგავსებას მისი წარმოქმნის მომენტთან. სიღმანი ამ მომენტს განიხილავს, როგორც ტექსტის ზედა სტრუქტურის ნაწილს, ხოლო ვ. ა. კუხარენკო – მოლაპარაკის მიერ გაკეთებულ არჩევანს ინფორმაციის გადაცემის განსაზღვრული საშუალების სასარგებლოდ ((Кухаренко 1974, Silman 1969)).
2. ვერც ერთმა ამ შეხედულებამ, რომელიც განსხვავდება ტრადიციული შეხედულებისაგან, რაც გულისხმობს ქვეტექსტის მიკუთვნებას სემანტიკური სტრუქტურისათვის, არა თუ ვერ შეიძინა მომხრეები, არამედ შევიდა სიტყვა “ქვეტექსტის” ჭეშმარიტი, პრაქტიკული გამოყენების უბრალოდ საპირისპირო შეხედულებად. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეტექსტის შესახებ მოცემული კონცეფციების არაადეკვატურობას ტექსტის “ჭეშმარიტ ფენომენოლოგიასთან”.

## 1.2.2 ქვეტექსტი და ტექსტის კატეგორიები

ტექსტის ლინგვისტიკაში მიხნეულია, რომ ქვეტექსტი არის ტექსტის კატეგორია. როგორც მ. ნ. კოჟინა წერს: "ქვეტექსტი ანუ ტექსტის სიღრმე. ეს არის კატეგორია, რომელიც დაკავშირებულია ურთიერთობისას გაგებინების პრობლემასთან (Кожина 1975: 63). ტექსტის სიღრმეს (ეს ტერმინი ითვლება ქვეტექსტის სინონიმად) სემანტიკურ კატეგორიად მიიხნევს გალპერინი (Гальперин 1977: 525). რამდენად სამართლიანია ეს შეხედულება? პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ რას ნიშნავს "ტექსტის კატეგორია". ამ საკითხზე მუშაობისას გალპერინი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: გრამატიკული კატეგორია არის ლინგვისტური ერთეულების ერთ-ერთი საერთო თვისება, რომელიც ქმნის ენაში გრამატიკულ გამონათქვამს (ibid 1977, 523).

როცა ლაპარაკია კატეგორიაზე, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ განსაზღვრული თვისება, ამა თუ იმ ერთეულის განსაზღვრული მახასიათებელი, მაგრამ შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ ქვეტექსტზე, როგორც კატეგორიაზე, რომელიც ახასიათებს ისეთ ერთეულს, როგორცაა ტექსტი? რა თქმა უნდა, ქვეტექსტის არსებობა ან არარსებობა ახასიათებს ტექსტს, ითვლება მის თვისებად, ისევე როგორც არსებობა ან არარსებობა განსაზღვრული გრამატიკული მნიშვნელობისა ახასიათებს სიტყვას. თუმცა, ძნელად თუ შეიძლება სიტყვის კონკრეტულ გრამატიკულ მნიშვნელობას გრამატიკული კატეგორია ვუწოდოთ. რადგანაც, კატეგორია თავისთავში გულისხმობს ერთგვაროვან მნიშვნელობებსა და მათი გამოსატვის საშუალებებს. გრამატიკული მნიშვნელობა - ეს არის რეალიზაცია ზოგიერთი საერთო ნიშნისა, რეალიზაცია ზოგიერთი კატეგორიისა, მაგრამ არა თვითონ ეს კატეგორია. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ქვეტექსტზე. იგი არის არა კატეგორია, არამედ რეალიზაცია ტექსტის ერთი ან რამდენიმე კატეგორიისა. ქვეტექსტი, ეს არის ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის ნაწილი, ისევე, როგორც გრამატიკული მნიშვნელობა არის სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ნაწილი. ამიტომაც, არა თვითონ ქვეტექსტი ახასიათებს სამეტყველო ერთეულს, ტექსტს, არამედ მისი მახასიათებლები არიან ტექსტის მახასიათებლები.

როგორც ამ კუთხით ჩატარებული კვლევები ადასტურებს, ქვეტექსტი, უმეტეს მეცნიერთა მიერ განისაზღვრება, როგორც ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის ნაწილი, რომელსაც შეგნებულად ან ქვეშეცნეულად ქმნის მოსაუბრე. ქვეტექსტი გვეხმარება გადაამუშავდეს ექსპლიციტური ინფორმაცია და მის საფუძველზე დასკვნის სახით მოგვაწოდოს დამატებითი ინფორმაცია.

საბოლოოდ, შეიძლება გამოვყოთ ქვეტექსტის შემდეგი მახასიათებლები:

- ა) ქვეტექსტი ატარებს ინფორმაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დაკავშირებულია ტექსტის ისეთ კატეგორიასთან, როგორიცაა ინფორმაციულობა;
- ბ) ქვეტექსტი არ შეიძლება აღმოვაჩინოთ იმ სტანდარტული ანალიტიკური პროცედურის შედეგად, რომლის დახმარებითაც მულაგნდება ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც ექსპლიციტურად არის მოცემული ტექსტში. შესაბამისად, ქვეტექსტი დაკავშირებულია ინფორმაციის ექსპლიციტურობა / იმპლიციტურობის კატეგორიასთან;
- დ) ქვეტექსტის წარმოქმნა შესაძლებელია როგორც სპონტანურად, ისე მოსაუბრის კომინაკაციური სტრატეგიის შედეგად, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ინტენციურობის კატეგორიასთან.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის ინტერვიუ სტივ კოპთან გადაცემაში „60 წუთი“ 1992წ. იგი აღიარებს, რომ ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევდა, რომ არა მისი მეუღლე ჰილარი კლინტონი. მაშინ გაუგებარია რატომ გაიმეორა ახალგაზრდობაში უკვე დაშვებული შეცდომა თეთრი სახლის ინტერნ მონიკა ლევენსკისთან? მისი განმარტებით მის საქციელს ახსნა არ აქვს. ის პასუხში იკითხება ქვეტექსტი, რომ იცის რაც ჩაიდინა, მაგრამ ამის გამო სინანულს არ გრძნობს.

“There is no explanation which is an excuse. I want to make that clear. I don't make any excuses for myself. But I think it is worth trying to figure out why,” says Mr. Clinton. “I was not thinking straight. It, when you ask a question that's a rational question and it's got, supposed to have a rational answer. There is no rational explanation for what I did.”

[www.cbsnews.com/stories/2004/](http://www.cbsnews.com/stories/2004/)

განვიხილოთ ამ ნაწევრის ქართული თარგმანი: „არ არსებობს ახსნა, რომელიც შეიძლება გამოდგეს მიზეზად. მინდა ეს ნათელი გაგხადო. მე არ ვი-



მართლაც თავს. მაგრამ, ვფიქრობ, ღირს მცდელობა. მე მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. როცა თქვენ მკითხეთ, მივხვდი, რომ ეს გონივრული შეკითხვაა და მას ვთვლი, რომ გონივრული პასუხი ჭირდება. მაგრამ არ არსებობს გონივრული ახსნა იმისა, რაც მაშინ ჩავიდინე”.

რაც შეეხება ექსპლიციტურობის კატეგორიას, ინტერვიუში იგი უმეტესად მაშინ არის თვალშისაცემი, როცა რესპონდენტი სტატისტიკურ მონაცემებზე საუბრობს. მაგალითად, ბილ კლინტონი შეკითხვაზე, რას მიიჩნევს თავისი პრეზიდენტობის წარმატებად, იგი ასახელებს სამუშაო ადგილების იმ რაოდენობას, რაც სტატისტიკური მონაცემებით იქნა დაფიქსირებული:

“The fact that we were able to have 22 million jobs, and record home ownership, and lower interest rates of the people actually had the ability to do more things than ever before”. (ibid)

ფაქტია, რომ ჩვენ შევძელით შეგვექმნა 22 მილიონი სამუშაო ადგილი და გაგვეზარდა სახლების მეპატრონეთა რიცხვი და გვექონოდა ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, რაც მანამდე არასოდეს გვექონია”.

მართალია, ინტენციურობის კატეგორია შეიძლება აღვიქვათ, როგორც შეგნებული ან სპონტანური ქმედება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უმეტეს შემთხვევაში იგი უფრო გამიზნულ ხასიათს ატარებს. მაგალითად, შეკითხვაზე, რას მიიჩნევს თავისი პრეზიდენტობის ყველაზე დიდ მარცხად, ბილ კლინტონი ამბობს:

“I’m sorry on the home front that we didn't get healthcare and that we didn't reform Social Security. And international affairs, I regret that I didn't succeed in getting Osama bin Laden. And equally, I'm sorry that I wasn't able enough to convince the Israelis and the Palestinians to make peace.” (ibid).

აშკარაა, რომ ბილ კლინტონი ისეთ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რაშიც მას ყველაზე ხშირად სდებენ ბრალს. ეს მისი მხრიდან არის მცდელობა ერთგვარი „აღიარებით“ ხაღხს აჩვენოს, რომ ნანობს და ამით შეინარჩუნოს დადებითი იმიჯი საზოგადოების თვალში.

კატეგორიები ინფორმაციულობა, ექსპლიციტურობა/იმპლიციტურობა, ინტენციურობა – რა თქმა უნდა, არ იძლევა ქვეტექსტის მთლიან დახასიათებას. მისი ზუსტი განმარტებისათვის საჭიროა განვიხილოთ სხვა მკვლევართა შეხედულებებიც. მაგალითად, ი. რ. გალპერინი ქვეტექსტს უპირისპირებდა პრესუპოზიციას, სიმბოლოს, გადრმაგებულ აზრს, რომელთაც, მისი აზრით, ისეთივე

ლინგვისტური მახასიათებლები გააჩნიათ, როგორც ქვეტექსტს (გარდა პრესუპოზიციისა, რომელსაც გალპერინი მიიხსენივდა ექსტრალინგვისტურ მოვლენად); ანუ გალპერინის აზრით, ქვეტექსტი არის იმპლიციტურობა, ბუნდოვანება, გაურკვევლობა, და აგრეთვე, ინტენციურობა, “წინასწარ დაგეგმვა” (Гальперин 1981).

ქვეტექსტის კატეგორია სხვადასხვაგვარადაა განხილული სხვადასხვა ენათმეცნიერთა ნაშრომებში. ბევრი მათგანი ქვეტექსტს უწოდებს “ტექსტურ იმპლიკაციას”. “ისევე როგორც იმპლიკაცია, ასევე ქვეტექსტიც ქმნის შინაარსის დამატებით სიღრმეს, მაგრამ განსხვავებული მასშტაბებით. ძნელია ერთმანეთისაგან გაემიჯნოთ ქვეტექსტი და იმპლიკაცია, რადგანაც ორივე მათგანი აღნიშნავს გულისხმობას, ისინი ერთდროულად გვხვდება ტექსტში და უკავშირდებიან და ურთიერთობენ ერთმანეთთან” (Арнольд 1982: 85).

ქვეტექსტს, აგრეთვე, მიაწერენ მაკროტექსტუალობის თვისებას. გარდა ამისა, ტექსტურ იმპლიკაციის (ირიბად ქვეტექსტის) ელიპსისთან და პრესუპოზიციასთან შეპირისპირებით არნოლდი გვთავაზობს “განსხვავებული გულისხმობის” კიდევ ორ მახასიათებელს – არაერთმნიშვნელობას და რემატულობას. ანუ, ქვეტექსტის შესაძლებლობას, შეგვატყობინოს ახალი, მანამდე უცნობი ინფორმაცია.

რაც შეეხება კუხარენკოს, იგი იყენებს ტერმინს “იმპლიკაცია” გულისხმობის ყველა სახეობის აღსანიშნავად. იგი განასხვავებს იმპლიკაციას მისი წინამორბედისგან, რომლის მიზანია შექმნას ტექსტის ემოციურ-ფსიქოლოგიური სიღრმე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლის ნაწარმოების აზრობრივ მნიშვნელობას (Кухаренко 1988).

როგორც ვხედავთ, ქვეტექსტის ყველა ზემოჩამოთვლილი მახასიათებელი შეიძლება შეტანილი იქნეს კატეგორიის ერთ საერთო სისტემაში. ქვეტექსტის აღწერისათვის ყველაზე უფრო მეტად საერთო კატეგორიად შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციულობის კატეგორია. პირველ ყოვლისა, იგი ხასიათდება ინფორმაციის არსებობა/არარსებობით, რომელიც მნიშვნელოვანია ნულოვანი და არანულოვანი ქვეტექსტის გარჩევისათვის (იგულისხმება ქვეტექსტის არსებობა ან არარსებობა). გარდა ამისა, შეიძლება იგი დავახასიათოთ ფაქტუალური/კონცეპტუალური ინფორმაციის ნიშნით და საგნობრივ-ლოგიკური/ემოციური ინფორმაციის ნიშნით; პრესუპოზიციურ და რემატულ ქვეტექსტს განასხვავებენ ცნობილი/ახალი ინფორმაციის ნიშნით; ტექსტური/ სიტუაციური ინფორმაციით

ახასიათებენ იმ წყაროს, საიდანაც იქმნება ინფორმაციის ქვეტექსტი; შესაძლოა, საჭირო იყოს გამოვეყნოთ განსაზღვრული და განუსაზღვრელი ინფორმაციის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ქმნიან არაერთმნიშვნელოვანებას, გაურკვეველობას, ბუნდოვანებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ნიშნებით თავისუფლად შეიძლება დავახასიათოთ ექსპლიციტურად გამოხატული ინფორმაცია. მაგ: თუკი ვინმე, სადღაც რაიმეს მეტყვის

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ზემოთ თქმული, განვიხილოთ ნაწევრები ჟურნალისტ გელა ზედელაშვილის ინტერვიუდან საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრთან თენგიზ სიგუასთან (ქრონიკა №43 (410), 2-8 10.09). ეს ინტერვიუ იმითაა საინტერესო, რომ ტექსტის ემოციურ-ფსიქოლოგიური ფონი ქმნის ქვეტექსტის პრესუპოზიციურ საფუძველს. კერძოდ ლაპარაკია იმაზე, რომ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ თენგიზ სიგუა გახდა გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი. თუმცა, ინტერვიუში ბ-ნი თენგიზი უარყოფს ამ ბრალდებას და დაუკონკრეტებელი ინფორმაციის გამოყენებით ქმნის ბუნდოვანებას. სწორედ ეს ბუნდოვანება ქმნის ექსპლიციტური ინფორმაციის იმპლიციტურ განზომილებას.

გ. ზ. (ჟურნალისტი): ბ-ნო თენგიზ, თქვენ საკუთარი ნებით დატოვეთ თანამდებობა. ხომ შეიძლებოდა, წასულიყავით სახლში და არ გამხდარიყავით გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი?

თ. ს. (ყოფილი პრემიერ-მინისტრი): კი, მე წავედი სახლში, ანუ დაგბრუნდი ჩემს ინსტიტუტში. 26 აგვისტოს ჩემთან მოდის ორი ახალგაზრდა ჟურნალისტი – თამარ ჩიქოვანი და თემურ ქორიძე. ვაძლევ ინტერვიუს. იბეჭდება გაზეთ “დრონში”. იქ ვთქვი ყველაფერი, ანუ სიმართლე. მეორე დღეს მირეკავენ პროკურატურიდან, მიბარებენ. უკვე მივხვდი, რომ გაცემულია ჩემი დაპატიმრების განკარგულება. ჩავდე მანქანაში თბილი ტანსაცმელი და წავედი პროკურატურაში. მივადექი რაზმაძეს. მდივანმა მითხრა, ადგილზე არ არის, მოადგილესთან მიბრძანდითო. შევედივარ. მზად ხარ, დამაპატიმროთ მეტქი? ბატონო თენგიზ, ძალიან გთხოვთ, ნუღარ მისცემთ ინტერვიუს გაზეთებსო. ზვიადი გამწარებულია, თქვენი დაპატიმრების ბრძანება გასცა, ვახტანგ რაზმაძემ ამ საქმეს თავი

აარიდა, მე დამავალა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ განცხადებებს დავწერთ და წავაღებო. მე პრესას ინტერვიუზე უარს ვერ ვებტყვი, სიმართლეს ყოველთვის ვიტყვი-მეთქი. ავდექი და წამოვედი სახლში.

(ქრონიკა № 43 (410), 2-8 10.09).

ერთი შეხედვით ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სიტუაციის ფსიქოლოგიურ-ემოციური ფონის გათვალისწინებით ჩნდება ექსპლიციტური ინფორმაციის იმპლიციტური მნიშვნელობა, რაც ნიშნავს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი გადატრიალების ინიციატორი პირადი განაწყენების გამო გახდა.

ექსპლიციტურობა/იმპლიციტურობის კატეგორიას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ გამოხატვის კატეგორია, ან გამოხატვის საშუალებათა კატეგორია. ეს კატეგორია მეტნაკლებად ერთმნიშვნელოვნად ახასიათებს ქვეტექსტის კატეგორიას. რა თქმა უნდა, ქვეტექსტი ყოველთვის იმპლიციტურადაა გამოხატული; თუმცა შესაძლებელია გამოვყოთ ინფორმაციის დაფარვის შედარებით განსაკუთრებული საშუალებები, რომელთა მიხედვითაც შესაბამისად შეიძლება დავახასიათოთ ქვეტექსტი.

მაგალითისათვის განვიხილოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი იმავე ინტერვიუდან:

გ. ზ ( ჟურნალისტი): მე კარგად მახსოვს ის პერიოდი, წაქცეულს ყველამ წიხლი რომ მიაყოლა.

თ. ს. ( ყოფილი პრემიერ-მინისტრი): არ იყო წაქცეული მაშინ.... ხალხი მიხვდა, რომ ზვიადი ქვეყანას ღუპავდა... (ibid)

ეს გახლავთ კონცეპტუალური ინფორმაციისადმი საკუთარი დამოკიდებულების ექსპლიციტური გამოხატულება. ეს არის ინფორმაციის დაფარვის შედარებით განსაკუთრებული საშუალება, რომელიც გამოხატულია ფაქტის უარყოფით.

რაც შეეხება ინტენციურობის კატეგორიას, იგი განსაზღვრავს ქვეტექსტის სახეობებს. კერძოდ, ინტენციურობის შესაბამისად შეიძლება ვილაპარაკოთ ინფორმაციის მიმწოდებელ ქვეტექსტზე, წამაქეზებელ ქვეტექსტზე და ა.შ. ეს კატეგორია შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი ნიშნებით: სპონტანურობა/მომზადებულობა შესაბამისად, შეიძლება ვილაპარაკოთ შეცნეულ და ქვეშეცნეულ ქვეტექსტზე.

მაგალითად:

გ. ზ. (ჟურნალისტი): ცოტა ნაადრევი ხომ არ იყო ამერიკასთან ჩასუტება?

თ. ს. (ყოფილი პრემიერ-მინისტრი): არავითარ შემთხვევაში. სხვათა შორის, ზვიადი მსახიობი არ იყო, ის რასაც ამბობდა გულწრფელი იყო. მაგაში ეჭვი არ მეპარება. (ibid).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოცემულ ინტერვიუს ქვეტექსტურ განზომილებად გასდევს ყოფილი პრემიერ-მინისტრის სურვილი, ხაზი გაუსვას ყოფილი პრეზიდენტის უარყოფით თვისებებს, შეიძლება ვთქვათ, რომ მისი პასუხი გახლავთ ქვეტექსტის ისეთი სახეობა, რომელიც ხასიათდება სპონტანურობის ნიშნით.

ცალკე უნდა განვიხილოთ საკითხი, რომელიც ეხება იმ კავშირს, რომელიც არსებობს ინტენციურობის კატეგორიასა და კომუნიკანტებს შორის. ინტენციაში იგულისხმება მოსაუბრის განზრახვა, და ეს ბუნებრივია. მსმენელი ამ შემთხვევაში გამოდის არა როგორც ინტენციის მატარებელი, არამედ, როგორც ობიექტი. თუმცა ბევრ შემთხვევაში მსმენელი, რომელმაც გაიგონა გამონათქვამი, ინტერპრეტაციას უკეთებს მიღებულ ინფორმაციას არა ისე, როგორც მოქმელს სურდა, არამედ ინდივიდუალურად. ასეთი შემთხვევები ლინგვისტიკაში განიხილება, როგორც წარუმატებელი კომუნიკაცია, რომელიც ხდება ერთ-ერთი მონაწილის კომუნიკაციური არაკომპეტენტურობის გამო. თუმცა, ეს ფაქტი სხვაგვარადაც შეიძლება აღვიქვათ. კერძოდ, როგორც კონფლიქტით მოსაუბრის სამეტყველო ინტენციასა (მაგ. ინფორმაციის შეტყობინების განზრახვა) და მსმენელს შორის (განზრახვა არ მიიღოს ეს ინფორმაცია). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადრესატიც შეიძლება განხილული იქნეს, როგორც განსაზღვრული მიზნის, განზრახვის მატარებელი, რომელიც ზოგჯერ ესმარება, ზოგჯერ კი ხელს უშლის კომუნიკაციას. შესაძლოა, მსმენელთან მიმართებაში უფრო სწორი იყოს ვილაპარაკოთ კომუნიკაციურ ინტენციაზე და არა “სამეტყველო“ ინტენციაზე. ასეთ შემთხვევაში აღარ გვექნება დაპირისპირება იმ პოზიციებს შორის, რომელთა თანახმადაც, ქვეტექსტს ქმნის მხოლოდ მოსაუბრე (Кожина 1975, Гальперин 1977, Silman 1969), ან მხოლოდ მსმენელი (Долинин 1983). რამდენადაც, მოსაუბრეც და მსმენელიც ურთიერთობის პროცესში ახდენენ თავიანთი კომუნიკაციური ინტენციის რეალიზაციას, ისინი თანაბარად არიან პასუხისმგებელნი ტექსტის სტრუქტურის როგორც სემანტიკური, ასევე პრაგმატიკული ასპექტების წარმოქმნასა და

აღქმაზე. ამიტომაც, ქვეტექსტი შეიძლება შექმნას როგორც მოსაუბრემ, ასევე მსენებლმაც.

მაგალითად, პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი აპროტესტებს ტელე-არხის რუსთავი 2 საინფორმაციო მონტაჟს, სადაც ნაჩვენებია იქნა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის გამოსვლა „ეხო მოსკვის“ ეთერში. სიუჟეტში გამოკვეთილი იყო ჰილარი კლინტონის შემდეგი სიტყვები: “ ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს...” მონტაჟი აქ შეწყვეტა და მეტი აღარ უჩვენებიათ. მან, კი აღმოჩნდა, რომ განაგრძო: „ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს, ვინაიდან ჯარებს გვაძლევს ავღანეთისთვის და ერაყისთვის”. (ქრონიკა №43 (410), 2-8 10.09).

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ :

1. ქვეტექსტი არ არის ტექსტის კატეგორია, რამდენადაც მას ქმნის ტექსტის სემანტიკური სტრუქტურის ნაწილი, და არა მისი მახასიათებელი.
2. ქვეტექსტი შეიძლება დავახასიათოთ ტექსტის სხვა კატეგორიების საშუალებით, რომელთა შორისაც ძირითადად ითვლება ინფორმაციულობა, გამოხატვის საშუალებები და ინტენციურობა.
3. მოცემული კატეგორიები რეალიზდება კონკრეტულ ტექსტში ტექსტის ან ქვეტექსტის სხვადასხვა ნიშნებით.

### 1. 2. 3. ქვეტექსტის გამოხატვის ენობრივი საშუალებები

შრომებში, რომელიც ქვეტექსტის შესწავლას ეძღვნება, მოცემულია მისი გამოხატვის სხვადასხვა საშუალებანი. მათ შორისაა მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები (უფრო ზუსტად, მათი კონტექსტუალური, უზუსის ჩარჩოებიდან გამოსული მნიშვნელობა), დეიქტური სიტყვები, ნაწილაკები, კინობითი მორფემები, შორისდებულები, განმეორების სხვადასხვა სახეობები, დანაწევრება, ლოგიკური თანმიმდევრობის დარღვევა, პაუზები და ა.შ. აქ ჩამოთვლილ საშუალებებისათვის საერთო არის ის, რომ ყველა ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტექსტის არააუცილებელი, დამატებითი ელემენტები, რომლებიც უბრალოდ დაშენებულია ტექსტის კომუნიკაციურ მინიმუმებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი გვევლინებიან ძირითადი, ექსპლიციტური ინფორმაციის გადამცემ საშუალებებად. ეს გასაგებიცაა, რადგანაც იმისათვის, რომ ამოვიცნოთ ტექსტში იმპლიციტური ინფორმაცია, აუცილებელია დამატებითი მარკირება და არ შეიძლება შემოვიფარგლოთ კომუნიკაციურ მინიმუმში შემავალი საშუალებებით. მაგრამ ამ მტკიცებულებას სჭირდება ზოგიერთი დაზუსტება.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს არსებობს საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ექსპლიციტური ინფორმაციის გამოსახატავად და ზოგიერთი, მხოლოდ იმპლიციტური ინფორმაციის გამოსახატავად. ფაქტიურად, ყველა საშუალება, რომელიც გამოიყენება ექსპლიციტური ინფორმაციის გამოსახატავად, შეიძლება, აგრეთვე, გამოყენებული იქნეს იმპლიციტური, ქვეტექსტური ინფორმაციის გამოსახატავად. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამისათვის ისინი დამატებით უნდა იქნენ მარკირებულნი.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, გამოხატვის ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები შეიძლება დაიყოს ორ რიგად:

ა) საკუთრივ ენობრივი საშუალებანი, რომელთაც აქვთ უნარი გამოხატონ ინფორმაციის ორივე სახეობა;


ბ) ენობრივ საშუალებათა დამატებითი მარკირების მიმნიჭებელი საშუალებანი.

ზემოთ თქმული რომ უფრო გასაგები გახდეს, განვიხილოთ ასეთი მაგალითები:

1. ზოგიერთი სპორტსმენი ეწევა;
2. ბევრი სპორტსმენი ეწევა.

მოცემული წინადადებები სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული (იხ. სქემა №2).

სქემა №2





წარმოდგენილი სქემა გვიჩვენებს, რომ ერთი და იგივე წინადადებას შეიძლება რამდენიმე ქვეტექსტური ასხნა გვქონდეს. გარდა მოცემული ვარიანტებისა, ყველა მათგანი, აგრეთვე, ქვეტექსტურად მოიაზრებს, რომ **ყველა სპორტსმენი არ ეწევა**.

საკუთრივ ენობრივი საშუალებანი გამოიყენება დამატებითი მარკირების მიმნიჭებელ საშუალებებად, რომელთაც აქვთ უნარი “გადართონ” ენობრივი საშუალებანი ძირითადი ინფორმაციის გამომხატველი ფუნქციიდან დამატებითი ინფორმაციის გამომხატველ ფუნქციაზე. პირველ ნაწილს განეკუთვნება კინობითი მორფემები, მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები, დეიკტიკური სიტყვები, ნაწილაკები, გამეორება, როგორც ტექსტის კოჰერენტულობის შემქმნელი. მაგრამ ეს სია, რა თქმა უნდა, არ არის დასრულებული – ფაქტიურად ნებისმიერი ენობრივი საშუალება შეიძლება შევიტანოთ ამ სიაში. ამიტომაც, ტექსტის ლინგვისტიკისათვის ამ ამოცანის დასმა, როგორც ძირითადი ამოცანისა, არ იქნებოდა სწორი. უფრო მნიშვნელოვანია სიის მეორე ნაწილის შესწავლა, რომელშიც იგულისხმება ის საშუალებანი, რომლებიც გამოიყენება ენობრივ საშუალებათა დამატებითი მარკირებისათვის. ასეთ საშუალებათა პირველ ჯგუფში ერთიანდება სტანდარტული ფუნქციონირების ენობრივ საშუალებათა დარღვევა. ამ ჯგუფში შედის მაცალკეებლები სიტყვები, ელიფსისი, გაჩუმება, გამონათქვამის სინტაქსური თუ ლოგიკური კომპონენტების თანმიმდევრობის დარღვევა. ეს დარღვევა იწვევს კონკრეტული ტექსტური სტრუქტურის დარღვევას; შესაბამისად, ეს ყველაფერი გამოხატვის მარკირებული სინტაქსური (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) საშუალებებისათვის არის დამახასიათებელი.

მაგალითისათვის განვიხილოთ ნაწევები გაზეთ “Georgian Times” –ში გამოქვეყნებული ინტერვიუდან ცნობილ რუს ფილოსოფოსს, პოლიტოლოგს, პუბლიცისტს, თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური სკოლის დამფუძნებელს და ევრაზიული მოძრაობის ლიდერ ალექსანდრე დუგინთან.

- ფ. დ. (ჟურნალისტი): მაინც როგორ ფიქრობთ, მთიანი ყარაბახი ვისი ტერიტორიაა, აზერბაიჯანის თუ სომხეთის?
- ა. დ. (პოლიტოლოგი): ოოო... ეს ევრაზიული ტერიტორიაა. საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ტერიტორიები ევრაზიისაა (Georgian Times 7-14 08.08).

როგორც ვხედავთ, გამონათქვამის ლოგიკური კომპონენტების თანმიმდევრობის დარღვევითა და გამეორებებით, დუგინი ცდილობს თავი აარიდოს

პირდაპირ პასუხს შეკითხვაზე. მის მიერ გამოყენებული ხერხი ითვლება ენობრივ საშუალებებზე დამატებითი მარკირების მიმნიჭებელ საშუალებებად.

**მეორე ჯგუფი** დარღვევისა, ეს არის ტექსტის ცალკეულ ერთეულთა გამოყენება არასტანდარტულ პოზიციაში. იგი უფრო ახასიათებს ლექსიკურ (სიტყვათშესამების დარღვევა) და მორფოლოგიურ (განსაზღვრულ არტიკლთა არამართებული გამოყენება და ა. შ) საშუალებებს. თუმცა, შესაძლებელია თვითონ ტექსტი ჩაითვალოს როგორც ერთეული, რომელიც სამეტყველო სიტუაციის არაადექვატურია და მაშასადამე, გარკვეულწილად, როგორც ერთეული გამოყენებულია არასტანდარტულ პოზიციაში.

ტექსტის დამატებითი მარკირების გამომხატველ საშუალებათა მეორე ჯგუფი გულისხმობს შემდეგს: შესაძლებელია გამოხატვის რომელიმე საშუალება გამოყენებული იქნეს სწორად კომუნიკაციური მინიმუმის კუთხით, მაგრამ იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ განსაზღვრული ჯერადობით (რაოდენობით) და ამ რაოდენობის გაზრდა კი იწვევს მარკირებას. გამოხატვის საშუალებათა ამ ჯგუფს განეკუთვნება გამეორების სხვადასხვა სახეები, არაადექვატურად დიდი პაუზები.

მაგალითად, იმავე ინტერვიუში ჟურნალისტის შეკითხვაზე ცნობთ თუ არა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დუგინი პასუხობს:

ა. დ. (პოლოტოლოგი) : (პაუზა). ვიმეორებ, ვინც ნატოს მხარესაა, იმ ჩვენი, მართლმადიდებელი რუსი ძმების წინააღმდეგაც გამოვდივართ. საქართველოს ხელისუფლება ამერიკელთა მხარესაა, ნატოს მხარესაა, ანუ რუსეთის წინააღმდეგია (ibid).

ქვეტექსტის გამოხატვის საკუთრივ ენობრივი და ენობრივ საშუალებათა დამატებითი მარკირების მიმნიჭებელი საშუალებების გარდა, ქვეტექსტი გამოიხატება ლოგიკური მახვილის საშუალებებითაც (cf. Van Kuppevelt 1996). მაგალითად, წინადადებაში „ბეთჰოვენმა შექმნა რამდენიმე შესანიშნავი მუსიკა“, სიტყვა „რამდენიმე“ სულაც არ გამოხატავს რაოდენობრიობის იმპლიკაციას. მაგრამ იმავე წინადადებაში „ბეთჰოვენმა შექმნა რამდენიმე შესანიშნავი მუსიკა“, მოცემულ სიტყვაზე (რამდენიმე) მახვილის გაკეთებით უკვე იქმნება იმპლიკაცია, რომ მის მიერ შექმნილი ყველა ნაწარმოები არ არის შესანიშნავი. იგივე წინადადება სხვანაირად იქნება გაგებული, თუ ლოგიკურ მახვილს ადგილს შევუცვლით. „ბეთჰოვენმა შექმნა რამდენიმე შესანიშნავი მუსიკა“. ამ

წინადადების ქვეტექსტი კი უკვე გვკარნახობს, რომ ყველა კომპოზიტორს არ აქვს შექმნილი შესანიშნავი მუსიკა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ იმპლიკაციის გამოსატვის ეს საშუალება არც თუ ისე პოპულარულად ითვლება, ლოგიკური მახვილი პრაგმატიკული თეორიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია, რადგან იგი აშკარას და თვალნათელს ხდის მთქმელის ინტენიას.

მოცემული მიმოხილვის საშუალებით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. იმპლიციტური ანუ ქვეტექსტური ინფორმაცია გადმოიცემა არა იმდენად ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულებით, რომელთა საშუალებითაც გამოსატულია ექსპლიციტური ინფორმაცია, არამედ მათი მარკირების ისეთი დამატებითი საშუალებებით, რომელთა დახმარებითაც ხდება ორიენტირება და გადართვა ფაქტობრივი, ექსპლიციტური ინფორმაციიდან ქვეტექსტურ ინფორმაციაზე.
2. ქვეტექსტური ინფორმაციის მარკერთა ძირითად ტიპებს მივაკუთვნებთ ენობრივ ერთეულთა სტანდარტული ფუნქციონირების დარღვევას და ამ ერთეულთა გადამეტებულ გამოყენებას.
3. ქვეტექსტის გამოსატვის ერთ-ერთი საშუალებაა ლოგიკური მახვილი.

#### 1. 2 4. სტილი როგორც ტექსტის მახასიათებელი

ნებისმიერი ტექსტი, მათ შორის მხატვრული და საინფორმაციოც, ემორჩილება სამეცნიერო აქტების ზოგად კანონზომიერებებს. სამეცნიერო აქტების ზოგადი კანონზომიერებების თანახმად, კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია რვა ძირითადი კატეგორია ანუ ასპექტი: 1) პირი; 2) დრო და ასპექტი 3) მოდელი 4) უარყოფა/მტკიცება 5) კომუნიკაციური ინტენცია 6) ინფორმაციული ჩარხო 7) ემოციურობა (წინადადების ემოციური ასპექტი); 8) სამეცნიერო სიტუაცია (გამონათქვამის სოციალური ასპექტი).

ჩვენ ვთვლით, რომ კომუნიკაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოთხი მათგანი. ესენია:

1. მოდელი, რომელიც გვიჩვენებს მეცნიერული სუბიექტის დამოკიდებულებას ნათქვამის მიმართ. როცა ბილ კლინტონი თავის ქალიშვილზე საუბრობს, აშკარაა მისი გულწრფელი გრძობა ქალიშვილის მიმართ;

„On a personal level, he says that his daughter, Chelsea’s, high school graduation was the best day he had in the White House. “When I saw what she had become and asked me to speak. And I talked about what it was like to be a parent, and how I felt about her. That’s probably the best day.” [www.cbsnews.com/stories/2004/](http://www.cbsnews.com/stories/2004/)

2. გამონათქვამის მიზანმიმართულობა;

“That was just a simple day when I had to acknowledge to the people I loved most in the world that I had failed. I had done something bad. And I hadn’t felt I could tell them about it before,” recalls Mr. Clinton (ibid)

ეს არის კლინტონის მიზანმიმართული განცხადება იმის შესახებ, რომ ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა რაც კი ადამიანს გააჩნია. იგი თვლის, რომ მონიკა ლევინსკისთან ურთიერთობის ყველაზე მტკივნეული მომენტი ის იყო, რომ მან საყვარელ ადამიანების ატკინა გული და მათ წინაშე დამარცხდა.

3. ემოციურობა;

“And it was an awful, because there was no -- it wasn’t about comparing what I had done or what was being done to me. It was just about facing up to my failure. It was a bad day. ... All my bad personal days in the White House were related to what I thought were shortcomings of my own” (ibid).

ეს საშინელება იყო, მე ჩემი მარცხის პირისპირ ავლმონდი, ამბობს ბილ კლინტონი გადაცემაში „60 წუთი“.

4. გამონათქვამის სოციალური ასპექტი, რომელიც გვიჩვენებს ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთობას. რაც შეეხება სოციალურ ასპექტს შეიძლება ითქვას, რომ რეგისტრის დარღვევის შემთხვევები არსად არის დაფიქსირებული.

სამეტყველო აქტის შესრულებისას ჩვენ ჩვეულებრივ გამოვხატავთ თხოვნას, ბრძანებას, მოთხოვნას, დაპირებას ან უბრალოდ შეტყობინებას. მეტყველი სუბიექტის ინტენციას ილოკაციური ძალა ეწოდება. ვიცით, რომ გამონათქვამის ილოკაციური ძალა პერფორმაციული ზმნით გამოიხატება, მაგრამ როგორია ტექსტობრივი ილოკუცია? სანამ ტექსტის ილოკუციაზე ვისაუბრებდეთ, კიდევ ერთხელ განვიხილოთ რა არის ტექსტი.

ცხადია, რომ თუ გამონათქვამი არის ელემენტალური სამეტყველო ქმედება, შესაბამისად ტექსტი, რომელიც შედგება რამდენიმე გამონათქვამთა თანამიმდევრობისაგან, რომლებიც გაერთიანებული არიან რაიმე საერთაშორისო აზრით, წარმოადგენს რთულ სამეტყველო ქმედებას. ტექსტი მარტო გამონათქვამთა უბრალო თანამიმდევრობა კი არ არის, არამედ რთული, იერარქიულად ორგანიზებული სისტემაა, სადაც თითოეული განცალკევებული გამონათქვამი ექვემდებარება უფრო მსხვილ სამეტყველო ერთეულს (მაგალითად, ზემოთ მდგომ ფრაზას ან აბზაცს) და მისი საშუალებით ტექსტს, როგორც მთლიანს. (Реферовская, 1989) (ტექსტის სტრუქტურის ლინგვისტური კვლევა - Литературная Наука, 1983: 5).

თითოეული გამონათქვამი უკავშირდება სხვა გამონათქვამს (პირველ რიგში მეზობლად მდგომს) და ტექსტში, როგორც მთლიანში თითოეული ასრულებს თავის საქმეს, მისდევს თავის მიზანს, ემორჩილება საერთოს – როგორც ერთიანი მექანიზმის ნაწილი. ყოველდღიურ ზეპირ მეტყველებაში ჩვენ გაუძღვებით ვაწყდებით გამონათქვამ-შეკითხვას, გამონათქვამ-პასუხს, გამონათქვამ-დაპირებას, გამონათქვამ-მუქარას და ა.შ და ა.შ, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ფუნქციას განსაზღვრულ სამოქმედო სიტუაციაში. ტექსტში ჩვენ ხშირად გვხვდება გამონათქვამი-არგუმენტი, გამონათქვამი-განზოგადება, გამონათქვამი-მაგალითი, გამონათქვამი-დასკვნა და ა.შ., რომლებიც იღებენ და ასრულებენ ამ ამოცანას, რაც უპირველესად კონტექსტით განისაზღვრება.

მაგალითისათვის განვიხილოთ ნაწევები გაზეთ ქრონიკაში გამოქვეყნებული ინტერვიუდან საქართველოს ყოფილ-პრემიერ მინისტრთან ბ-ნ თენგიზ სიგუასთან.

გ. ზ. (ჟურნალისტი): ბ-ნო თენგიზ, გაიხსენეთ, ჩვენ დაუძღვრებულმა რუსეთმა გამოგვეყარა აფხაზეთიდან 1993 წელს.

თავად შეკითხვაც გაუგებარი იქნება იმ ფაქტის გათვალისწინების გარეშე, რომ თენგიზ სიგუა საუბრობდა რუსეთის უძღვრებაზე 2005 წლამდე. ეს კი სწორედ იმას ამტკიცებს, რომ თითოეული გამონათქვამი უკავშირდება სხვა გამონათქვამს და ტექსტში, როგორც მთლიანში თითოეული ასრულებს თავის საქმეს, მისდევს თავის მიზანს, ემოცილება საერთოს – როგორც ერთიანი მექანიზმის ნაწილი.

თ.ს. ( ყოფილი პრემიერ-მინისტრი): არა, რუსეთს მაშინ არ ქონდა არავითარი ძალა, როგორ გეკადრებათ? მაშინ ისეთი დაბაბული სიტუაცია ჰქონდა ბალტიის ქვეყნებთან, ყაზახეთთან.... აფხაზეთში რაც მოხდა, ჩვენი სისულელის გამო მოხდა. ჩვენ რომ იქ პოლიცია შეგვეყვანა და არა ჯარი, რუსეთი ვერც ამ შემთხვევაში ჩაერეოდა. მაშინ ვეროპამ ჩვენ დაგვსაჯა, პირდაპირ გვითხრეს, ჯარი არ უნდა შეგვეყვანათო. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ შევარდნაძემ ეს მაინც გააკეთა.

(ქრონიკა 43 (410) 2-8-10.09).

როგორც ვხედავთ, ბ-ნი თენგიზ სიგუა იყენებს გამონათქვამ-შეკითხვას, გამონათქვამ-არგუმენტს, გამონათქვამ-განზოგადებას, გამონათქვამ-მაგალითსა და გამონათქვამ-დასკვნას საკუთარი ემოციებისა და უდანაშაულობის დასამტკიცებლად. მაგრამ ტექსტობრივი ილოკუცია, როგორც ყველა სხვა დანარჩენი, შეიძლება იყოს იმპლიციტური. ასეთ შემთხვევაში, ტექსტის კითხვისა თუ მოსმენისას ჩვენ ვაჯგუფებთ მათ აზრობრივად, ფრაზების მნიშვნელობისა და კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც პრიორიტეტი ენიჭება მეზობელ ფრაზას და საერთოდ ზოგად მიმართულებას.

გამონათქვამის მნიშვნელობის შესწავლას საბოლოოდ მივყავართ ტექსტის ანალიზამდე. გამონათქვამის მიზანი, გვეხმარება გავარკვიოთ როგორია ადრესანტის დამოკიდებულება გამონათქვამში ხსენებული ფაქტის მიმართ, რა

დღობითაა გამოხატული დარწმუნებულობა, ანუ, რამდენადაა დარწმუნებული მეტყველი სუბიექტი ნათქვამში. თუმცა, თვით ადრესანტისათვის მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი: როგორ, რა სიტყვებით ხდება შეტყობინების მიწოდება. მაგალითად, იმავე ინტერვიუში ვკითხულობთ:

გ.ზ. ( ჟურნალისტი): რატომ გადადევნით ასეთ რთულ პერიოდში, ეს არ იყო ღალატი?

ჟურნალისტის შეკითხვაში ნათლად იგრძნობა, რომ იგი ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ ზვიად გამსახურდიას უღალატეს. შესაბამისად, მთელი ინტერვიუს განმავლობაში იგი ცდილობს ათქმევინოს ადრესანტს სიმართლე. თუმცა, თენგიზ სიგუა უარყოფს ამ ბრალდებას და ამბობს:

თ.ს: (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) არ შეიძლება, ..... რაც მე მოვითმინე, იმდენს შენ ვერ მოითმენდი. მე პირველად ზვიადთან შევედი ივნისში, უნდა წავიდე მეთქი. ყელგამოწეული მეხვეწა და დავრჩი. იცი, მიზეზი რა იყო? ერთ დღეს მარტო ჩვენ ვსხედვართ და მეუბნება: მეცნიერებათა აკადემიიდან ორი კაცი უნდა გავავდოთო. მე ვუთხარი, ზვიად, მე და შენ ვინ გვეკითხება, ეს ხომ საერთო კრების უფლებაა-მეთქი? ..... მსოფლიოში მხოლოდ ერთი ფაქტი არსებობს, როცა როცა ჰიტლერმა გერმანიის მეცნიერებათა აკადემიიდან დაითხოვა აკადემიკოსი აინშტაინი, შენ, რა გინდა მეორე შემთხვევა საქართველოში მოხდეს, მეთქი? გავვიყდი, ეს არ შეიძლება, ამას ცუდი რეაქცია მოჰყვება –მეთქი. ამან შეაჩერა (ibid).

ლინგვისტიკაში თითქმის აღარ კამათობენ იმაზე, რომ გამონათქვამის სტილი გადმოგვცემს კომუნიკაციური აქტის მნიშვნელოვანი პარამეტრების მაჩვენებელ ინფორმაციას. ჩვენ ფაქტიურად ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ვირჩევთ ენაში არსებული გამოხატვის უამრავი საშუალებიდან ერთ-ერთს, რათა გადმოვცეთ საგნობრივ-ლოგიკური შინაარსი. სტილის არჩევანი განაპირობებს იმას, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთსა და იმავე ენაში შეიძლება გამოვხატოთ სხვადასხვანაირად. ინფორმაცია, რომელსაც ატარებს სტილი ამგვარად წარმოადგენს პასუხს კითხვაზე, რატომ იქნა გადმოცემული მოცემული საგნობრივ-ლოგიკური შინაარსი ასე და არა სხვაგვარად. სწორედ ეს არის კომუნიკაციური ქვეტექსტი. ზემოთ განხილულ მაგალითში ჩანს, რომ ყოფილი

პრემიერ-მინისტრის მიერ არჩეული ძალიან უშუალო და არაოფიციალური სტილი შეიძლება იმ კომუნიკაციური ქვეტექსტის მატერებელი იყოს, რომ მას სურს შეინარჩუნოს ბუნებრიობა და გამოჩნდეს უფრო უშუალო და მართალი, ვიდრე იგი მანამდე ჩანდა კონკრეტული ჟურნალისტის თვალში.

როგორც ცნობილია, ენაში ერთი და იგივე, ან თითქმის ერთი და იგივე ნომინაციური მნიშვნელობა პრაქტიკულად ყოველთვის შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვაგვარად, ისე, რომ კომუნიკაციური შინაარსის პარამეტრები (მიზანმიმართულობა და მოდალობა) შეიძლება დარჩეს უცვლელი. შედეგად, ყოველთვის, როდესაც რაიმეს თქმა გვსურს, ჩვენ ვაკეთებთ არჩევანს; ენობრივი შესაძლებლობებიდან ჩვენ ვირჩევთ რომელიმე ერთს – ვაგებთ წინადადებას განსაზღვრული გრამატიკული სტრუქტურითა და ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. და ის, რომ მოცემული შინაარსი გადმოცემულია სწორედ ასე და სხვაგვარად, გამონათქვამს აძლევს განსაკუთრებულ თვისებას, რომელსაც სტილი ეწოდება.

შინაარსით იდენტური და სტილით განსხვავებული გამონათქვამები განსაზღვრავს ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტყველი სუბიექტებისათვის სულერთი იქნებოდა როგორ იტყოდა, და მსენელისათვის კი სულერთი იქნებოდა როგორ ეტყოდნენ. ამიტომ სტილის შინაარსი მთლიანად განეკუთვნება კომუნიკაციურ შინაარსს, პირველ რიგში კი მის სოციალურ ასპექტს. ამის ნათელი დადასტურებაა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ინტერვიუთა ანალიზი. ერთი შეხედვითაც კი ნათელია მათ შორის არსებული განსხვავება მათ მიერ არჩეული ენის გათვალისწინებით. მართალია, პოლიტიკური ინტერვიუდან მოტანილი მაგალითითაც ჩანს, რომ თავად პოლიტიკოსებიც მიმართავენ, ხოლმე არაოფიციალურ სტილს, მაგრამ ყვითელი პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი ინტერვიუები აშკარად არღვევენ თანამშრომლობის ყოველგვარ პრინციპებს. ზოგიერთი მათგანი უხამსი სიტყვების გამოყენებასაც არ ერიდება, რაც, ვფიქრობთ, ერთგვარად ხაზს უსვამს მათ სოციალურ სტატუსს.

სწორედ ეს არჩევანი ქმნის გამონათქვამის იმპლიციტურ მნიშვნელობას. რა თქმა უნდა, აქ ჩნდება ერთგვარი წინააღმდეგობა, რადგან სტილისტურ ინფორმაციას გამოხატვის საკუთარი ფორმა აქვს. მაგრამ შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ სტილისტური ინფორმაცია არის გარდამავალი ფორმა ექსპლიციტური შინაარსიდან იმპლიციტურზე. ასე რომ, გამონათქვამის



ექსპლიციტური ნომინაციური შინაარსი, ექსპლიციტური კომუნიკაციური შინაარსი და სტილი – ქმნიან ტექსტის, როგორც სამოქმედო ქმედების არასრულ მონაცემებს და აქვს ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ენის რიგითი მატარებლისათვის (და არა ლინგვისტისათვის), ყველა დანარჩენი, მათ შორის გამონათქვამის გრამტიკული სტრუქტურა არის ენობრივი ტექნიკის საკითხი და ნორმალურ სიტუაციაში დედაენაზე საუბრისას არც ადრესატი და არც ადრესანტი ამას არ აცნობიერებს.

ამ სამეულს შეიძლება დაეუმატოთ მეოთხე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ზეპირი ურთიერთობისთვის– გამონათქვამის პარალინგვისტური მახასიათებელი (ექსპრესიული ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია), თუმცა ამ საკითხთა კვლევა ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება, და ამიტომ არ განვიხილავთ.

### 13. კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველი

#### 13.1. ტექსტის იმპლიციტური შინაარსის წარმოქმნის საფუძველები

საიდან იღებს სათავეს გამონათქვამის იმპლიციტური შინაარსი? შეიძლება ითქვას, რომ გამონათქვამის ექსპლიციტური შინაარსი ექსპლიციტურია, კომუნიკაციური კი იმპლიციტური. თუმცა, პირველი მთლიანად არ ამოიწურება იმით, რაც სიტყვებითაა ნათქვამი-ყოველთვის რჩება ქვეტექსტური ინფორმაცია. გამონათქვამის იმპლიციტურ შინაარსში ანუ ქვეტექსტში გამოიყოფა ზუსტად იგივე შრეები, რაც ექსპლიციტურში: ნომინაციური ანუ რეფერენტული.

ქვეტექსტი – რაღაც დამატებითი მტკიცებულებაა რეფერენტული სიტუაციის შესახებ, რომელსაც აღწერს ეს გამონათქვამი, ან ხშირად რაღაც სხვა, რომელიც უკავშირდება ამ სიტუაციას. კომუნიკაციური ქვეტექსტი – ეს არის მტკიცებულება კომუნიკაციური სიტუაციის შესახებ, პირველ რიგში, კი ადრესანტის შესახებ. მაინც, საიდან ჩნდება ქვეტექსტი? მარტივად ამ კითხვას ასე შეიძლება გავცეთ პასუხი: ჩვენ თვითონ ვქმნით გამონათქვამის ქვეტექსტს, როდესაც ვიღებთ მის ელემენტებს ჩვენი თეზაურუსიდან.

განვიხილოთ ასეთი გამონათქვამი: „ქრისტინეს 38 და 8 ხაზი აქვს, გამოუძახე სასწრაფოს!“ ნებისმიერი თანამედროვე ადამიანი აბსოლუტურად გასაგებად და ლოგიკურად აღიქვამს ამ წინადადებას. ამ გამონათქვამის იმპლიციტური შინაარსი ასეთია: ქრისტინეს ტანის ტემპერატურა 38. 8 C ადამიანის ნორმალური ტემპერატურაა 37 C-მდე. უფრო მაღალი ტემპერატურა უკვე ნიშნავს, რომ ბავშვი ავადაა. აქედან გამომდინარე, ქრისტინე ავადაა. რაც უფრო მეტად აღემატება ტემპერატურა 37 C მით უფრო ავადაა ბავშვი. ე.ი. ქრისტინე სერიოზულადაა ავად. სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში კი უნდა მივმართოთ ექიმს.. და ა.შ. ცხადია, რომ არც ერთი ნორმალური ადამიანი ასე დაწვრილებით არ ლაპარაკობს, რადგანაც ადრესატმა ეს თავად იცის და ადრესანტმა იცის, რომ ადრესატმა ეს იცის და შესაბამისად მოახდენს რეაგირებას შეტყობინებაზე.

თეზაურუსი ნებისმიერი გონებრივად ჩამოყალიბებული ადამიანისათვის იზოლირებული ცოდნა კი არ არის, არამედ სისტემა, რომელთა ელემენტები

დაკავშირებულია ერთმანეთთან, სამყაროს სუბიექტური აღქმა, რომელშიც წარმოდგენები და აღქმა შეესაბამება საგნებს და საგანთა კლასებს და მოვლენებს, ხოლო ცნებათა შორის კავშირი ამ ობიექტთა და მოვლენათა შორის კავშირის ასახვაა.

ცნებებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირის ასახვა გულისხმობს, რომ იგი ხშირად ექსპლიციტურად არაა გამოსახული, რადგან ივარაუდება. ხოლო ის, რაც ექსპლიციტურად გამოსახულია არაა, არის მტკმელის დაფარული ან არაპირადპირი განზრახვა. მაგალითისათვის განვიხილოთ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლეარის გამოსვლა ვალენსიაში გამართულ კონგრესზე 2004 წლის მაისში.

T.B. (ex PM, UK) (10) We should be proud that, in Iraq today, we have a process under way that will allow the Iraqi people to achieve the freedom, democracy and the rule of the law that we take for granted. Yes, we will get protests, as we saw earlier today. However, we in this House of Commons are very lucky: we can say what we want about the policy issues of the day, and we can debate them properly and come to decisions about them. In the end, the people of this country elect their Government. That is a fantastic thing, and it is an opportunity that is available for people in Iraq today. I know that people -- some of them Labour Members -- are worried about our alliance with the United States of America. However, I think that America now understands and believes that the best and ultimate guarantee of its security is the spread of the values of freedom, democracy and the rule of law. If America no longer takes an isolationist view of the world but considers that part of its job is to spread those values around the world, I for one am proud to be its friend and ally.

*(Barcelona CDA Congress Valencia, May 2004)*

თავის გამოსვლაში ტონი ბლეერი ამბობს, რომ ისინი უნდა ამაყობდნენ, რომ დღეს ერაყში შექმნეს ისეთი სიტუაცია, რომ ერაყელ ხალხს შეუძლია მი-აღწიოს მშვიდობას, დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, რითაც ჩვენ ასე განებივრებული ვართ. დიას, ზოგიერთები შეიძლება გამოვიდნენ საპროტესტო აქციით. მაგრამ ტონი ბლეერის აზრით ბრიტანეთის მთავრობას საშუალება აქვს

მყარი არგუმენტით შეეპასუხოს მათ და უთხრას: ერაყის ხალხს ახლა შეუძლიათ საკუთარი მთვრობა თავად აირჩიოს. ეს არაჩვეულებრივია. ეს შესაძლებლობა მსოფლიომ მისცა ირაყს. ამერიკამ იცის, რომ უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია თავისუფლების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ფასეულობათა გადაცემაა მსოფლიოსათვის. და „მე შეამაყება“, ამბობს ის, რომ ჩვენ ამ საქმეში მათი მოკავშირეები ვართ.

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ტონი ბლეერის განზრახვა ამ დებატებში არის მისი სურვილი მოეხსნას ბრალდება, რომელიც მას ხალხმა წაუყენა აშშ-სთან თანამშრომლობის გამო, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ მის მიერ არჩეული სამეტყველო ენა – რას ამბობს და როგორ ამბობს.

სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნის, რწმენის, ნორმებისა და ფასეულობათა გარდა, რომელიც ამ ნაწევრებშია მოცემული, მნიშვნელოვანია ის ფრაზები, რომელიც აკანონებს ბრიტანეთის მხარდაჭერას აშშ-სათვის. ეს ფრაზებია : „ჩვენ უნდა ვიამაყოთ“ , „მე შეამაყება, რომ ჩვენ მოკავშირეები ვართ“. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ სიტუაცია-საფუძვლისა და სიტუაცია-გამეორების დისტანციური განლაგება ქმნის კომუნიკაციურ ქვეტექსტს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მასალას გამონათქვამის შინაარსისათვის მსმენელი იღებს საკუთარი თეზაურუსისაგან. ქვეტექსტის წარმოქმნის მექანიზმად კი გვევლინება მის ტვინში მიმდინარე ასოციაცია ტექსტის ექსპლიციტური შინაარსის ამა თუ იმ ელემენტების მიმართებისა სამყაროს ხატის სუბიექტურ სურათთან. სამყაროს ხატისა და სამეტყველო ქმედების შორის მიმართების შესახებ ცოდნა გვაძლევს რეფერენციულ ქვეტექსტს, ხოლო მეტყველების შესახებ ცოდნა – კომუნიკაციურ ქვეტექსტს.

### 1. 3. 2. ტექსტის აგებულების კომუნიკაციური სიტუაციის ხასიათი

უკვე ნახსენები ზოგადი პრინციპების გარდა, არსებობს წესი ანუ ნორმა, რომელიც არეგულირებს გამონათქვამის თუ ტექსტის აგებულების კომუნიკაციური სიტუაციის ხასიათის მიხედვით. ნებისმიერ ენობრივ საზოგადოებაში არსებობს ნორმათა სისტემა, რომელიც ახდენს სამეტყველო სიტუაციის დიფერენცირებას ურთიერთობის სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიულ – კულტურული და ენობრივი საზოგადოების თითოეულ ზრდასრულ წევრს აქვს წარმოდგენა იმაზე, როგორ და რაზე შეუძლია საუბარი ამა თუ იმ პირთან, ამა თუ იმ გარემოში და რისი თქმა შეიძლება მისთვის და რაზე უმჯობესი იქნება. არ ისაუბროს.

მეტყველება – ადამიანური ქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვენ, როგორც ამა თუ იმ სტატუსის მატარებლები და ამა თუ იმ როლის შემსრულებლები, ვსაუბრობთ (ეწერთ) ისე, ან დაახლოებით ისე, როგორც ამას ჩვენგან მოელიან. საუბრისას ადამიანი უმეტეს შემთხვევაში ქვეცნობიერად ირჩევს ვარიანტს, რომელიც შეესაბამება წარმოდგენას იმაზე, რას ელის მისგან მსმენელი. ასე იქმნება ნორმათა სისტემა, რომელიც შეესატყვისება “როლის მატრიცას” მოცემული საზოგადოების ფარგლებში.

იგივე კონგრესზე ტონი ბლეარი აგრძელებს:

(11) The values that I have described are important: they are, ultimately, the best guarantee of security. We can have everything that we want in terms of security services and military action, but the best guarantee of our security is that people everywhere in the world are allowed to live their lives in decency and freedom

*(Barcelona CDA Congress Valencia, May 2004)*

აქ ტონი ბლეერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, დემოკრატია და კანონის უზენაესობა ისინი უსაფრთხოების საუკეთესო გარანტიაა. ჩვენი უსაფრთხოების საუკეთესო გარანტია ის არის, რომ ხალხს მთელ მსოფლიოში საშუალება აქვთ თავიანთი ცხოვრებით იცხოვრონ წესრიგსა და თავისუფლებაში. ანუ, ეს სწორედ ისაა, რასაც მსმენელი ტონი ბლეერისგან ელოდებოდა.

თითოეული ასეთი ნორმა, რომელიც არეგულირებს “სამეტყველო მატრიცას”, ამა თუ იმ სამეტყველო ჟანრს მიეკუთვნება. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ლიტერატურულ ჟანრებზე – რომანი, პოემა, იგავი და ა.შ. მაგრამ

სამეტყველო ჟანრი სულ სხვაა. მასში იგულისხმება სასწავლო წიგნები, სამეცნიერო სტატია, საბუღალტრო აღრიცხვა, ადვოკატის გამოსვლა სასამართლოში და ა.შ.

სამეტყველო ჟანრი, როგორც სამეტყველო ქმედების ნორმა განსაზღვრული როლის ჩარჩოში, უკავშირდება სუბიექტის მეტყველების სტატუსს, რომელსაც თავად როლი განსაზღვრავს. მაგალითად: სასამართლოში დამცველად, როგორც წესი, პროფესიული ადვოკატი გვევლინება, გააკეთილებს სკოლაში ატარებენ პედაგოგიური განათლების მქონე ადამიანები, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებრივ პირობებში დაბადებული ნებისმიერი სამეტყველო ქმედება გვეკარნახობს როლს, რომელსაც მეტყველი სუბიექტი ასრულებს. როგორც ბ.ა. ზვეგინცევი (Zvegincev 1976) წერს: თითოეული დასრულებული წინადადება აუცილებლად ატარებს რაღაც ინფორმაციას (ამასთან საკმაოდ არსებითს და მნიშვნელოვანს) იმ პირობებში, რასაც იგი აკმაყოფილებს. ასე ჩნდება უჩინარი და არმოსმენილი ქვეტექსტი ხილული და სმენადი „ტექსტისა“. (ibid 1976).

ამდენად, ქვეტექსტი იმპლიციტური „დამატება“ ენობრივი მნიშვნელობისა. ეს არა მარტო დამატებითი ინფორმაციაა კომუნიკაციური აქტის შესახებ, რის შედეგადაც თავად შეტყობინება წარმოიშვა. პირველ რიგში, ეს არის დამატებითი ინფორმაცია ადრესანტის მიერ მიღებული სოციალური როლის შესახებ, რომელიც მან ადრესატისაგან მიიღო, ადრესანტის სტატუსის შესახებ და აგრეთვე სიტუაციური ჩარჩოს დანარჩენი პარამეტრების შესახებ, რომელიც სრულად უცნობი ან ნაკლებად ნაცნობია ადრესატის მიერ (უფრო ზუსტად, როგორ აფასებს ადრესანტი ამ პარამეტრებს).

განვიხილოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი ტონი ბლეერის გამოსვლიდან. აღსანიშნავია, რომ იმპლიკაცია ახასიათებს მიმდინარე კომუნიკაციურ სიტუაციას, სადაც ტონი ბლეარი მიმართავს თემთა პალატას და მსმენელიც და მოსაუბრეც იზიარებენ ცოდნას ერთი საერთო თეზაურუსიდან. კერძოდ, საუბარია ერაყში მიმდინარე ომზე. თავის გამოსვლაში ბლეერი ცდილობს განამტკიცოს ერთგვარად სუსტი არგუმენტი ერაყში ომის დაწყების შესახებ, რაც ეფუძვნებოდა იმ ფაქტს, რომ სადამ ჰუსეინი იყო ტირანი, რომელიც არღვევდა 1441 რეზოლუციას. თავის გამოსვლაში ტონი ბლეერი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ სამყარო უკეთესი იქნება სადამ ჰუსეინის გარეშე. ამავე ინტერვიუში ვკითხულობთ:

(18) Therefore, if any part of the intelligence turns out to be wrong -- and we know that much of it was right -- or if the threat from Saddam turns out to be different or to have changed from what we thought, I will accept that, as I should. However, others should accept that ridding Iraq of Saddam Hussein has made the world not just better, but safer. It has hugely strengthened us in our fight against the proliferation of biological, chemical and nuclear weapons. Although the responsibility for going to war is mine, as it should be, it would also have been my responsibility if, having received the intelligence, I had refused to act on it. I know which course lies more easily on my conscience. (...)

Democracy is on its way in Iraq. The people are free, and Iraq -- a nation of immense history and deepest culture -- is no longer a pariah, with its people enslaved. It is now a country with some hope for the future in its heart. That is a gain worth having. (*Barcelona CDA Congress Valencia, May 2004*).

თავის გამოსვლაში ტონი ბლევური ამტკიცებს, რომ თუკი ინტელიგენციის რომელიმე მხარე აღმოჩნდება მცდარი, და ჩვენ გვეცოდინება, რომ ის მცდარია, ... ან თუკი საფრთხე, რომელიც სადამ ჰუსეინისაგან გვემუქრება აღმოჩნდება განსხვავებული, ის მიიღებს ამ განსხვავებას. თუმცა, ბევრს სჯერა, რომ ერაყის გათავისუფლებამ სადამ ჰუსეინისაგან სამყარო გახადა არა უკეთესი, არამედ უფრო უსაფრთხო. ამ ფაქტმა უსაზღვროდ გაამაგრა ომის მომხრეთა პოზიციები ბიო-ქიმიური და ატომური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მართალია, ომში ჩართვის გამო, როგორც პრემიერ - მინისტრი პირადად ვგრძნობ პასუხისმგებლობას, მაგრამ იმასვე ვიგრძნობდი, თუ უარს ვიტყვოდი ასე მოქცევაზე. .... დემოკრატია ერაყისკენ მიემართება. ხალხი თავისუფალია. ერაყმა, თავისი უზარმაზარი ისტორიით და ღრმა კულტურით თავი დააღწია მონობას. ეს არის უკვე ქვეყანა, მომავლის იმედით გულში. ეს ის მონოპავარია, რომელიც ღირდა ბრძოლად“-ამბობს ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

ამ მონაკვეთის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ორივე, ტექსტი და კონტექსტი. სემანტიკურად იგი წარმოადგენს არგუმენტირებულ მსჯელობას. ხოლო პრაგმატიკულად და კონტექსტუალურად შეგვიძლია ამოვიკითხოთ მასში დაფარეული ქვეტექსტი, რომ იგი მიმართავს თემთა პალატას, როგორც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და ცდილობს დააკანონოს თავისი გადაწყვეტილების სისწორე გლობალური პოლიტიკური სტრატეგიის გათვალისწინებით. იგი ამტკიცებს, რომ ამ დიდი პასუხისმგებლობის ადებით მან სწორი გადაწყ-

ვეტილება მიიღო. მართალია, ეს საშიში გადაწყვეტილებაა, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არასწორი იქნებოდა.

მაინც ინფორმაციის რა დოზას შეიცავს კომუნიკაციური ქვეტექსტი?

კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველს წარმოადგენს მეტყველების რეგულარული ვარიანტების უნარი. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ნაწყვეტი ინტერვიუდან ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან გიორგი გუგავასთან: ნანა არჩვაძე (ჟურნალისტი): თქვენი აზრით, პარტიებს როგორც წარდგენის,

ასევე გადუპუტებული კანდიდატების გამოწვევის უფლებაც არ უნდა ჰქონდეთ?

გიორგი გუგავა:

მართალი ხართ, როდესაც კანდიდატი გადის პარტიის მანდატით, იყენებს პარტიის სახელს, რესურს და მისი საშუალებით ხდება დეპუტატი და მერე, როგორც წესი, შეეკვრებიან ხელისუფლებას, ოქროს და ვერცხლის მოყვარულები ხდებიან და აღმოჩნდება, რომ თურმე პარტიის მსოფლმხედველობას არ ეთანხმებიან. ასეთი ადამიანების გამოწვევის უფლება ნამდვილად უნდა გვქონდეს. თუ შეიცვალა ორიენტაცია იმ კაცმა, აბა, რა უნდა ქნა. ეს აპრობირებული მეთოდია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, იგივე ბელგიაშიც.

ნ.ნ. (ჟურნალისტი): -

დღევანდელ პარლამენტშიც ხომ არის ერთი ასეთი „ორიენტაციაშეცვლილი“ „ლეიბორისტი“, ნუგზარ ერგემლიძე .....

გ.გ. ( ლეიბორისტი): -

ის პარტი წევრი არ იყო, ჩვენ წარვადგინეთ, როგორც ხელოვნების წარმომადგენელი, მაგრამ ცხადია, ჩვენთან იგივედებოდა, მაგრამ წესით, პარტიას უნდა ჰქონდეს გამოწვევის უფლება. ჩვენ თავის დროზე ამის ინციტორები ვიყავით, პარლამენტშიც დავაყენეთ ეს საკითხი, მაგრამ სამწუხაროდ, არ მიიღეს. ახლა, ჯერ-ჯერობით რამის შეცვლის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. (ქრონიკა № 43 (419) 2-8 11 2009).

წარმოდგენილი ნაწყვეტიდან აშკარაა, როგორ ახდენს ლეიბორისტთა ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრის ვარიანტებს, რაც თავის მხრივ



ქმნის კომუნიკაციურ ქვეტექსტს და გავწვდის დაფარულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ნუგზარ ერგემლიძე აღარ იზიარებს ლეიბორისტთა შეხედულებებს და პარტია ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა მის საქციელზე.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველს წარმოადგენს მეტყველების რეგულარული ვარიანტების უნარი, რომელიც განპირობებულია როლებრივი ქმედებების კანონზომიერებით. აგრეთვე, სამეტყველო უნარები, რომელსაც განაპირობებს სოციალური როლები და ურთიერთობის კონკრეტული სიტუაციები, განსაზღვრავენ გამონათქვამის ექსპლიციტური შინაარსის ზოგად ხასიათს და ვერბალიზაციის ნორმებს, ანუ საგნობრივ – ლოგიკური შინაარსის ენობრივ გამოხატულებას.

კომუნიკაციური ქვეტექსტი ეყრდნობა მეტყველების ტოლერანციულ და სიტუაციურ ზოგად ნორმირებას. რომ არ ყოფილიყო ნორმა, რომელიც ახდენს საგნობრივ ლოგიკური შინაარსისა და სტილის რეგლამენტირებას, არ იქნებოდა კომუნიკაციური ქვეტექსტი. მეორეს მხრივ, კი თუკი სამეტყველო ქმედების წესები მკაცრად იქნებოდა განსაზღვრული და ჩვენ ყველანი მას მუდმივად დავიცავდით, ანუ თუკი იდენტურ კომუნიკაციურ სიტუაციაში ადამიანები ილაპარაკებენ ერთნაირად, მაშინ თითოეული შეტყობინება იქნებოდა საკმაოდ ტრივიალური ინფორმაციის მატარებელი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე და შესაბამისად ტრივიალური იქნებოდა ადრესანტის როლი.

ეს ასე ხდება მთელ რიგ საქმიან და სამეცნიერო-ტექნიკური ენის უნარებში. ისინი, ერთის მხრივ, მკაფიოდ შეესატყვისება განსაზღვრული კომუნიკაციური სიტუაციით, მეორეს მხრივ, კი მკვეთრად ზღუდავენ მეტყველები სუბიექტის მეტყველებას და არ უტოვებენ მას (ან თითქმის არ უტოვებენ) უნარობრივი ნორმების ინდივიდუალური ინტერპრეტაციის საშუალებას. მაგალითად, თუ ადამიანი მიდის მივლინებაში და სურს მისი ხელფასი ცოლმა აიღოს, მან უნდა მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ მინდობილობის უნარს – ამ სიტუაციაში ვერც ერთი სხვა სამეტყველო უნარი ვერ გამოდგება. ასევე, იმისათვის, რომ მიიღო პატენტზე უფლება, უნდა გააფორმო საპატენტო ხელშეკრულება. ორივე ზემოთხსენებული დოკუმენტი იწერება მკაცრად განსაზღვრული წესებისა და ნიმუშის მიხედვით და ნებისმიერი ინდივიდუალური ჩარევა, ნებისმიერი შემოქმედებითი მიდგომა მიგვიყვანს იქამდე, რომ ტექსტი

ვერ შეასრულებს თავის მისიას: ფულს ვერ მივიღებთ, ხელშეკრულებას ძალა არ ექნება.

მინდობილობა, საპატენტო ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება, კომერციული შეთანხმება და ა.შ. და ა.შ. ახდენს წმინდად როლებრივი ურთიერთობების რეალიზაციას – ანუ აქ ადრესატი და ადრესანტი გვევლინებიან მხოლოდ როლების შემსრულებლად და არავის აინტერესებს მათი პიროვნული თვისება. ცხადია, რომ ასეთ ქანრებში კომუნიკაციური ქვეტექსტი უფუნქციოა, რადგანაც ქანრი და შესაბამისად ამ ქანრის შესაბამისი ტექსტი არ ტოვებს ქვეტექსტის ადგილს. სხვა შემთხვევაში ზეპირი მეტყველების უმრავლეს ქანრში მეტყველ სუბიექტს ეძლევა ინდივიდუალური ინტერპრეტაციის საშუალება. ამიტომაც, ჩვენ განსხვავებულად ვმეტყველებთ – სხვადასხვა ადამიანებს აქვთ განსხვავებული ცხოვრებისეული და სამეტყველო გამოცდილება, თეზაურუსი, ტემპერამენტი, განსხვავებული სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული თუ განათლების სტატუსი. ეს კი იძლევა კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველს, რადგან ადრესატი და ადრესანტი განსხვავებული ემოციური ფონისა და თვითგამოხატვის გამო ინდივიდუალურად აღიქვამენ გამონათქვამში მოცემულ ინფორმაციას.

## პირველი თავის დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა რომ ტექსტის იმპლიციტური შინაარსი ძალიან ხშირად გამოიყენება, როგორც კომუნიკაციის საშუალება. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცნება გულისხმობს, რომ ადამიანი უნდა დაეინახოს როგორც კომუნიკაციური აქტის მონაწილე. როდესაც ლაპარაკობენ ქმედებაზე, როგორც ადამიანის მაკონსტიტუირებელ ნიშანზე, იგი გაიგება, როგორც ადამიანის აქტივობა სამყაროს მიმართ და ადამიანის აქტივობა სხვა ადამიანის მიმართ (ურთიერთობა).

გამონათქვამს ექსპლიციტური შინაარსის გარდა აქვს აგრეთვე ქვეტექსტური (იმპლიციტური) მნიშვნელობა. იმისათვის, რომ ეს იმპლიციტური მნიშვნელობა დაეინახოს, საჭიროა გავცდეთ ლინგვისტურ სიტუაციას და მხედველობაში მივიღოთ ის სინამდვილე, რომელთანაც გამონათქვამია დაკავშირებული. ჩემი სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს, დავამტკიცოთ, რომ ხშირ შემთხვევაში გამონათქვამის იმპლიციტური მნიშვნელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ექსპლიციტური. თუ ცუდი ამინდისას ვამბობთ „რა კარგი ამინდია“, ამას ვაკეთებთ გარკვეული მიზნით. ესე იგი, აქ უკვე საქმე ვაქვს მეტყველი სუბიექტის განზრახვასთან.

კომუნიკაციურ ქვეტექსტს გააჩნია ორმაგი ბუნება. ერთის მხრივ, ქვეტექსტი, რომელიც ეხება მხოლოდ მოცემულ გამონათქვამს და მთლიანად მოცილებულია მისი კომუნიკაციური შინაარსის სხვა დანარჩენ ასპექტებს და არ ატარებს მის ადექვატურ ექსპლიციტურ შინაარსს; და, მეორეს მხრივ, იმპლიციტური შინაარსი, რომელიც საერთოა გამონათქვამთა თანამიმდევრული მწკრივისათვის, ხშირად მთელი ტექსტისათვის. ასეთ შემთხვევაში იგი ახასიათებს მთლიანად კომუნიკაციურ სიტუაციას.

ტექსტის ლინგვისტიკაში მიჩნეულია, რომ ქვეტექსტი არის ტექსტის კატეგორია. ჩატარებული კვლევა საფუძველს გავძლევს ვთქვათ, რომ ქვეტექსტი ატარებს ინფორმაციას. ქვეტექსტი არ შეიძლება აღმოვაჩინოთ იმ სტანდარტული ანალიტიკური პროცედურის შედეგად, რომლის დახმარებითაც მუდავნდება ექსპლიციტური ინფორმაცია, რომელიც ჩადებულია ტექსტში და დაკავშირებული ექსპლიციტურობა /იმპლიციტურობის კატეგორიასთან.

მოცემული კატეგორიები რეალიზდება კონკრეტულ ტექსტში ტექსტის ან ქვეტექსტის სხვადასხვა ნიშნებით. არ არსებობს საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ექსპლიციტური ინფორმაციის გამოსახატავად და ზოგიერთი, მხოლოდ იმპლიციტური ინფორმაციის გამოსახატავად. ფაქტიურად, ყველა საშუალება, რომელიც გამოიყენება ექსპლიციტური ინფორმაციის გამოსახატავად, შეიძლება, აგრეთვე, გამოყენებული იქნეს იმპლიციტური, ქვეტექსტური ინფორმაციის გამოსახატავად. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამისათვის ისინი დამატებით უნდა იქნენ მარკირებულნი.

შესაბამისად, გამოსატვის ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები შეიძლება დაყოს ორ რიგად:

- 1) საკუთრივ ენობრივი საშუალებანი, რომელთაც აქვთ უნარი გამოსატონ ინფორმაციის ორივე სახეობა;
- 2) ენობრივ საშუალებათა დამატებითი მარკირების მიმნიჭებელი საშუალებანი. საკუთრივ ენობრივი საშუალებანი გამოიყენება დამატებითი მარკირების მიმნიჭებელ საშუალებებად, რომელთაც აქვთ უნარი „გადართონ“ ენობრივი საშუალებანი ძირითადი ინფორმაციის გამომხატველი ფუნქციიდან დამატებითი ინფორმაციის გამომხატველ ფუნქციაზე. ესენია, კინობითი მორფემები, მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები, დეიქტიკური სიტყვები, ნაწილაკები, გამეორება და სხვა, რომლებიც გამოიყენებიან მარკირებისათვის.

ტექსტის ქვეტექსტური განზომილების ანალიზისათვის ჩვენ ავირჩიეთ ინტერვიუ. ინტერვიუ- ეს არის ჟურნალისტიკის დარგი, რომელიც გულისხმობს საუბარს ერთ ან რამდენიმე პირთან რაიმე აქტუალურ, საერთო მნიშვნელობის მქონე საკითხზე და გამიზნულია დასაბეჭდად, რადიო ან სატელევიზიო გადაცემად.

2.1. ტექსტის ლინგვისტიკის წარმოშობის წანამდგრები

ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩაისახა. ასე, რომ იგი შედარებით ახალი ენათმეცნიერული დისციპლინაა. დღევანდელ ენათმეცნიერებაში ტექსტი განიხილება როგორც მთლიანი ენობრივი წარმონაქმნი. თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა კომუნიკაციის სამ ძირითად კომპონენტს გამოყოფს – ადრესანტს, ტექსტსა და ადრესატს.

ტექსტის ლინგვისტიკის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბების შემამზადებელ პერიოდად ითვლება ჩვენი საუკუნის 20-30-ანი წლები., როდესაც თეორიულ პოეტიკაში ყურადღება გამახვილდა მთლიან ტექსტზე. ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემების გასაცნობიერებლად აუცილებელი გახდა წინადადებიდან ამოსვლა, მისი საზღვრების გადალახვა და ზეფრაზულ ერთეულებზე გადასვლა.

ტექსტის განსაზღვრებები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ფართო გაგებით ტექსტად მიიჩნევენ კომუნიკაციური ინტენციის განხორციელებისათვის საჭირო ყოველგვარ ენობრივ გამოხატულებას. ტექსტი მიიჩნევა ენობრივი კოდის სოციო-კომუნიკაციურ ქმედებაში გადაყვანის უნივერსალურ ფორმად.

მეორე ჯგუფის განსაზღვრება უფრო ვიწროა და საფუძვლად ედება კერძო საკითხების შესწავლა სხვადასხვა ასპექტის მიხედვით. ვიწრო გაგებით ტექსტი არის ლინგვისტური ერთეული, რომელიც შეიძლება შესწავლილი იქნეს ენისა და მეტყველების პოზიციებიდან პარადიგმულ და სინტაგმურ ჭრილში, გრამატიკული, ლექსიკური და სტილისტიკური თავისებურებების აღწერით, შიდასტრუქტურული ელემენტების გამოკვეთით, ექსტრალინგვისტური პირობების გათვალისწინებით და ა.შ.

აზრთა სხვადასხვაობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტექსტი მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომელიც არაერთგვაროვან მიდგომას, სხვადასხვა მეთოდებით შესწავლას საჭიროებს.

ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაცია, მისი საზრისის დადგენა შეიძლება წარმართოს რამდენიმე მიმართულებით. ეს დამოკიდებულია, ერთის

მხრივ, ტექსტის ნიმუშზე, და მეორეს მხრივ, ავტორის ინტენციასა და მის მიერ ენის სისტემაში არსებული შესაძლებლობების გამოყენებაზე. ამ წინაპირობების გათვალისწინებით ინტერპრეტატორი ირჩევს ტექსტს და სათანადო ხერხების გამოყენებით ახორციელებს მის ინტერპრეტაციას.

ტექსტის სემანტიკა არ გულისხმობს იმ რეალურ ან ფიქციურ (მოგონილ, მაგრამ შესაძლებელ) ხდომილებას, რომელიც ტექსტშია გადმოცემული. სემანტიკური ინტერპრეტაციის ძირითადი ორიენტირებია: თემა, კომპოზიცია, კოჰერენცი. თემა არის ტექსტის აგების დერძი, შინაარსის გამოხატვის ამოსავალი პუნქტი. ტექსტის აგებას უშუალოდ უკავშირდება მისი შერჩევა, გაშლა და დასრულება. თემას საფუძვლად უდევს სინამდვილის ან ფიქციონალური სამყაროს ფრაგმენტი (ამბავი, ხდომილება), რომელიც გადატეხილია სუბიექტის შემეცნებით პრიზმაში და ჩამოყალიბებულია ძირითად აზრად (საზრისად). თემის შინაარსობრივ და შესაბამისად, ფორმალურ სტრუქტურას განსაზღვრავს ხდომილების შემეცნებითი ასახვა, ხოლო ფორმალური სტრუქტურა თავის მხრივ, აყალიბებს ტექსტის ლოგიკურ-კომუნიკაციურ მხარეს. სემანტიკური კომპონენტები და მათ შორის არსებული მიმართებები საფეხურებრივად გამოიყვანება თემიდან, განიცდის განვითარებას და იქცევა ტექსტის ძირითად აზრად.

რაც შეეხება კოჰერენცს, ამ ცნების განსაზღვრება სხვადასხვანაირია და სადავო. მათ შორის ჩვენ ვირჩევთ იმ ვარიანტს, რომელიც მისაღებად მიგვანჩნია.

კერძოდ, როგორც უკვე აღნიშნეთ, კოჰერენცი არის სემანტიკური მიმართებების თანხვედრა, ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის საფუძველი, ტექსტის სემანტიკური ორგანიზაცია, რომელიც ემყარება ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ ეკვივალენტობას. ეს უკანასკნელი ხორციელდება ე.წ. ტოპიკების მეშვეობით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან პარადიგმატიკულად და ქმნიან ჯაჭვს, ხოლო მათი ერთიანობა იწოდება იზოტოპად. იზოტოპურ ჯაჭვებს ბევრი ფუნქცია აქვთ, მათ შორის თემატური სემანტიკური ინფორმაციის მარკირება, ტექსტების სეგმენტაცია და კონსტრუირება.

ტექსტი ლინგვისტური კვლევის ტრადიციული ობიექტია, რომლის ანალიზიდან მომდინარეობს ენის სისტემის, სტრუქტურის, ფუნქციისა და ენობრივი ერთეულების გამოყენების შესახებ ცოდნა. ტექსტის ლინგვისტიკა არც თუ ისე დიდი ხანია რაც ენათმეცნიერებას დამოუკიდებელ მიმართულებად

გამოეყო. იგი განიხილავს საკითხების ფართო სპექტრს, რომელთა მნიშვნელობამ საკმაოდ დიდი აღიარება ჰპოვა 80-90-იან წლებში. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა – ლინგვისტური გამოცდილების შეტანა არსებული კომუნიკაციური სამეცნიერო აქტების დისციპლინათაშორის შესწავლის სფეროში, ენობრივი სისტემის შიგნით ენის რეალური გამოყენების შეფარდებაზე დაყრდნობით წინადადებებისა და გამონათქვამის აგების პრინციპის გახსნა.

ფართო გაგებით, ტექსტის ლინგვისტიკა შეიძლება აიხსნას როგორც ტექსტის ნებისმიერი სახით ლინგვისტური კვლევა. თუ ტექსტი განისაზღვრება როგორც რეალურად არსებული კომუნიკაციური ერთიანობა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ყველა მონაცემი ენის შესახებ შეიძლება მივიღოთ ტექსტიდან, და რომ ნებისმიერი ლინგვისტიკა თავისთავად ტექსტის ლინგვისტიკაა. მაგრამ ასეთი განსაზღვრება ძალიან ფართოა.

მეორე ტენდენცია, პირიქით, ტექსტის ლინგვისტიკას განიხილავს როგორც ვიწრო ცნებას, რომლის ფარგლებში ტექსტები განიხილება როგორც წინადადებების ერთიანობა. მსგავსი მიდგომა ეყრდნობა არა იმდენად ხარისხობრივ, არამედ რაოდენობრივ ტექსტების ანალიზს.

საწყის ეტაპზე ტექსტის კვლევაში ამოსავალ მასალად არა ტექსტი, არამედ ცალკეული წინადადება ითვლებოდა. ფართოდ ცნობილი შეზღუდვა წინადადებიდან ამოსვლით ტექსტის ლინგვისტური კვლევისა, იყო არა ბლუმფილდისა და ჩომსკისა მათ მიმდევართა სპონტანური დასკვნა, არამედ აუცილებელი კომპრომისი ენასა და მისი გამოყენების ხერხებს შორის. ამ შემთხვევაში წინადადება იყო იდეალური დამაკავშირებელი რგოლი ფორმალურ (გრამატიკულ) მიდგომასა და ენის გამოყენების ინდივიდუალურ თავისებურებებს შორის (Bloomfield 1914, Chomsky 1965). ამით აიხსნება ტექსტის საპირისპირო განსაზღვრებაც, რომელსაც გვთავაზობენ დესკრიფციული მიდგომის წარმომადგენლები. ჰეგერი ტექსტს განსაზღვრავს როგორც უფრო დიდ ერთიანობას, ვიდრე წინადადებას (Heger 1971). გენერატიული მიდგომისას ტექსტი განიხილება როგორც წინადადების კარგად ჩამოყალიბებული თანმიმდევრობა (Dijk 1972). არ შეიძლება დავეთანხმოთ დასკალისა და მარგალიტის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ტექსტის თეორიის შექმნა აუცილებლობას არ წარმოადგენს და რომ წინადადების გრამატიკას, თუ ის „მთლიანად შემუშავებულია“, შეუძლია აღწეროს ტექსტის ყველა მოვლენა

(Dascal, Margalit 1974). ასეთი შეხედულება ტექსტისადმი ვარაუდობს წინადადების სტრუქტურისა და ტექსტის სტრუქტურის იზომორფულობას, რაც არამართებულება. არამართებულება თუნდაც იმიტომ, რომ მთლიანი და მისი ნაწილები არ შეიძლება გათანაბრებული იყოს. ტექსტი არ არის მხოლოდ წინადადების კომპონენტების ჯამი. განსაზღვრულ შემთხვევაში წინადადება შეიძლება აღმოჩნდეს დამოუკიდებელი ტექსტი, ისე როგორც მორფემა შეიძლება გახდეს ოკაზიონალური სიტყვა, ხოლო სიტყვა – წინადადება.

წინადადების სფეროში კვლევის წინ წასვლის შედეგად წარმოიქმნა წინადადებების ანალიზიდან ბუნებრივ კომუნიკაციურ-სამეტყველო აქტის ანალიზზე გადასვლის აუცილებლობა. არსებობდა არსებული პრობლემების გადაწყვეტის ორი გზა: “წინადადების” ცნების გართულება ან მიმართვა ცნებისაკენ „ტექსტი“. „ტექსტის ლინგვისტიკა“ ან “სპეციალისტები დისკურსის სფეროში” მხარს უჭერდნენ „გენერაციულ სემანტიკას“, რაც გამართლებულია იმით, რომ ტექსტის სემანტიკური ერთიანობა უფრო ძლიერია, ვიდრე სინტაქსური. სემანტიკური სტრუქტურის ცნება განიხილებოდა „თემის“, „შინაარსის“ და ა.შ. შესაბამისად, ხოლო ღრმა სინტაქსური სტრუქტურა წესების რთულ სისტემას წარმოადგენს. ამგვარად, წინადადების შესწავლიდან ტექსტზე გადასვლა პროვოცირებული იყო სინტაქსიდან სემანტიკაზე გადასვლით (Dressler 1973, Dijk 1972) .

გამოკვლევები გვიჩვენებდა, რომ ტექსტი აღემატება წინადადებას არა მარტო სიგრძით, ანუ გაბმულობით სივრცესა და დროში, არამედ, ფორმალურ-გრამატიკულ ფაქტორებთან მჭიდრო კავშირითაც, რომლებიც თავის მხრივ, დაკავშირებულია ადამიანთან, კომუნიკაციის პროცესთან და შემეცნებასთან. ტექსტს აღნიშნავდნენ როგორც სემანტიკის ფუნდამენტალურ ერთეულს (fundamental unit) და მისი, როგორც ზეწინადადების განსაზღვრა არ შეიძლება (Parret 1974: 101). აახლოვებდა რა ტექსტისა და სტილის ცნებას ა. პ. გირო თვლიდა, რომ ტექსტი წარმოადგენს სტრუქტურას, ჩაკეტილ ორგანიზებულ ერთიანობას, რომლის ჩარჩოებში ნიშნები ქმნიან იმ ურთიერთობის სისტემას, რომლებიც ამ ნიშნების სტილისტურ ეფექტებს განსაზღვრავს (Гипо 1978).

მნიშვნელოვანი წვლილი ტექსტის ლინგვისტური ანალიზის თეორიაში შეიტანეს პრადის ლინგვისტური წრის წარმომადგენლებმა. გავრანეკის (Gavranek, 1939), ვახეკის (Vachek 1975) და სხვათა გამოკვლევებმა სხვადასხვა მიდგომა, ტექსტის სტრუქტურის ანალიზი სხვა ჭრილში წარმოადგინეს. ფრანგ,



გერმანელ, პოლანდიელ და ტექსტის სხვა თეორეტიკოსების ბოლო წლის ნაშრომებმა გააფართოვა იმ საკითხების სფერო, რომლებიც დაკავშირებულია ტექსტის სტრუქტურასთან, ანთოლოგიასთან და პარამეტრთან. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორც არის დასკალი, ვეიზმანი, გირო, გრემასი, ტოდოროვი, დრესლერი (Dascal, 1987, Weizman, 1987, Гиро 1978, Greymas 1982, Тедоров 1979, Dressler 1981) და სხვები.

ტექსტის თეორიის შემდგომ გამოკვლევებში მკვეთრად გამოიყოფა ორი მიდგომა. პირველი მიდგომა წარმოადგენს სწრაფვას ტექსტის ფორმალისტული გრამატიკის შექმნისაკენ, რისთვისაც იქმნება წესები, პროცედურები, სქემები, რომლის მიხედვით შესაძლებელია ტექსტის სტრუქტურის მოდელირების განხორციელება. მეორე მიდგომაა კონკრეტული სამეტყველო აქტების შესწავლის გზით ტექსტის საერთო თეორიის შექმნისაკენ სწრაფვა. მათი ორგანიზებისა და ფუნქციების კანონზომიერება, ასეთი აქტების სტილისტური მრავალფეროვნების აღწერა და ტექსტის ყოველი ტიპის კატეგორიული განსაზღვრა. ჩვენ ვთვლით, რომ პირველი მიდგომა ძირითადად დამახასიათებელია დასავლეთ-ევროპული სკოლისათვის, მეორე – რუსული ლინგვისტიკისათვის.

რუსი ლინგვისტების მოსაზრებით ტექსტის ლინგვისტიკა განსხვავდება თავის მრავალრიცხოვან წინამორბედთაგან იმით, რომ იმ მასალიდან, რომელსაც ყოველთვის წარმოადგენდა ტექსტი, აქცევს მას კერძო ობიექტად, შესწავლის საგნად (Скрепнев 1974). ტექსტი აღიქმება, არა მარტო როგორც ფორმალურად შეკავშირებული თხრობა, არამედ როგორც აზრობრივი ერთიანობაც. რუსულ ლინგვისტიკაში ტექსტი განიხილება სამეტყველო შემოქმედებით აქტებთან უშუალო კავშირში, ამიტომ იგი განისაზღვრება, როგორც სამეტყველო აქტი ან ურთიერთდაკავშირებული სამეტყველო აქტების რიგი, რომლებიც ინდივიდის მიერ განსაზღვრულ სიტუაციაში ხორციელდება (Косерив 1977: 515). ტექსტის უფრო სრულ განსაზღვრებას გეთავაზობს ი.რ.გალპერინი, რომელიც ახასიათებს მას, როგორც სამეტყველო პროცესის ნაწარმოებს, რომელიც დამთავრებულია, რეალიზებული წერილობითი დოკუმენტის სახით, ლიტერატურულად დამუშავებული. ამ ტიპის დოკუმენტის შესაბამისად, ნაწარმოები შედგება სახელწოდების (სათაურის) და სხვა განსაკუთრებული ურთიერთდაკავშირებული ერთეულებისაგან (ზეფრაზული მთლიანობისაგან), ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური თუ სტილისტიკური დაკავშირების სხვადასხვა ტიპით, რომელთაც

აქვთ განსაზღვრული მიზანდასახულობა და პრაგმატიკული განწყობა (Гальперин 1981:18). მაშასადამე, ტექსტში, აქ იგულისხმება არა ზეპირი მეტყველების ფიქსაცია, რომელშიც ხშირად სპონტანურობა, მოუწესრიგებლობა, არათანმიმდევრობა მუდავნდება, არამედ როგორც ენობრივი შემოქმედებითი აქტის ერთ-ერთ მრავალსახეობში, გვხვდება ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებული პარამეტრები, რომელთა შორის ძირითადია ზემოთ აღნიშნული საკითხები.

ქართველი ენათმეცნიერის ვ. ფურცელაძის მიხედვით, ტექსტი არის არა მარტო წერითი, არამედ პირველ რიგში წერილობითი წარმონაქმნი, წერის ან წარმოთქმის გზით პროდუცირებული. ის არის აზროვნების და შემეცნების პროცესის გრაფიკულ-გრაფიკული საშუალებით განხორციელებისა და ცნობიერების შინაარსების სემიოტიკური ნიშნებით გადმოცემის შედეგი.

ტექსტი არის ადამიანის ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი მანიფესტაცია, რაც მას მნიშვნელოვნად განასხვავებს ზეპირი გამონათქვამებისაგან. მისი აზრით, ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთ პრობლემად რჩება სწორედ ამ განსხვავების გამოკვეთა, თანამედროვე მეთოდებით ემპირიული მასალის გაანალიზება, განზოგადება, სათანადო დასკვნების გამოტანა (ფურცელაძე 1998: 14).

ტექსტის სტრუქტურული ორგანიზაციის მხრივ საინტერესოა მ. ი. ბლოხის თეორია ისეთი ტექსტის შემქმნელი ერთეულის არსებობის შესახებ, როგორცაა დიქტემა. ეს ტექსტის თემატიზაციის ელემენტარული ერთეულია, რომელიც წინადადებებით ფორმირდება. ტექსტში დიქტემა წარმოდგენილია აბზაცით და მოცულობით შეიძლება უტოლდებოდეს წინადადებას ნიშნების ერთეულის თანაფარდობის საერთო კანონის შესაბამისად. მისი უმთავრესი როლია – ტექსტის ნაწილების ახლო და შორი კავშირების რეალიზაცია, რომლებიც ასახავენ მის “კოჰეზიას” (ფურცელაძე 1998: 14). ზუსტად ნიშნების სემანტიკების ამ ქვეგანაყოფის მეშვეობით ხდება ტექსტის პრესუპოზიციის (წინასწარი მონაცემების ფონდი, რომლებიც აუცილებელია გამოთქმის ადეკვატური აღთქმისათვის) მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ იმპლიციტურად გარდამავალი აზრის აუცილებელ გახსნას ტექსტის იმ ნაწილებისათვის, რომლებიც იშლება ცნობის მიმდების ცნობიერების წინაშე (Блох 1986: 120).

ამ ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო დიდი ყურადღება ეთმობა ტექსტის, როგორც კომუნიკაციური ერთეულის პრობლემას. ამის შედეგად, ლინგვისტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ენის მექანიზმების შესწავლა, რომლებიც მოქმედებენ მეტყველების ან მისი წერილობითი ფიქსაციის – ტექსტის აგებისას, და რომლებიც უზრუნველყოფენ მისი შინაარსის ადეკვატურ გადმოცემას. ამ ტენდენციის შესაბამისად, ტექსტი გაიგება როგორც კულტურის ამსახველი მოვლენა.

განსახდერული კულტურისათვის დამახასიათებელი კომუნიკაციური ნორმების მქონე ტექსტების გამოყენებისას, სუბიექტი ამ გამოცდილებას ითვისებს და მას თავის ფასეულობების სისტემას შეუფარდებს. თანამედროვე ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ გამოკვლევის ობიექტი სულ უფრო ხშირად ხდება ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი და შემეცნებითი მოღვაწეობის ცენტრი. ახლანდელ დროში ისეთი კატეგორიები, როგორცაა მეტყველი სუბიექტი, ადრესატი, აღიქმება როგორც ბაზისური ლინგვისტური კატეგორიები, რომლებიც საშუალებას იძლევა დრამად ჩაეწვედეთ ენის სისტემის აგებისა და ფუნქციონების პრინციპებს, მეტყველების კომუნიკაციის პროცესებს.

ზემოთ მოცემული მსჯელობის მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ ტექსტი გაიგება, როგორც სინამდვილის რაღაც ფრაგმენტის გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება, განსახდერული ნიშნების სისტემის მეშვეობით, როგორც კომუნიკაციური, დასრულებული, ერთიანი, დაკავშირებული და ემოციური წარმონაქმნი, დიალექტურად მიმართული ვილაციისადმი. მას აქვს შინაარსი (აზრი) და ორიენტირებულია გაგებაზე და ინტერპრეტაციაზე (Корниенко 1996, 32).

ორიენტირების მკვეთრ ცვლას ადგილი აქვს ლინგვისტურ გამოკვლევებში, სადაც მოხდა მნიშვნელოვანი გადახრა ტექსტის პრაგმატიკული ასპექტის შესწავლისაკენ. მეტყველების სუბიექტის კატეგორია ხდება ის ამოსავალი წერტილი, რომელიც იძლევა ტექსტის კომუნიკაციური კატეგორიის განხილვის საშუალებას. წინა პლანზე გამოდის ტექსტის ზემოქმედების პრობლემა. გამოკვლევის ცენტრში სულ უფრო ხშირად დგას ავტორის განზრახვა, დასახული მიზნების ადეკვატურობა.

ტექსტის შესწავლა პრაგმატიკულ ასპექტში შეერწყმის თანამედროვე მეცნიერების საერთო კონტექსტს მისი კომპლექსური კვლევების მომიჯნავე მეცნიერების მოსახდერე სფეროში. ტექსტის კატეგორიის შესწავლის პრაგმატიკული ასპექტი თავისთავად ითხოვს სინთეზურ მიდგომას, როგორც

ლინგვისტიკასთან მომიჯნავე მეცნიერების (ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის), აგრეთვე ლინგვისტიკის ცალკეული განყოფილების (სემანტიკის, რიტორიკის, სტილისტიკის) მიმართ.

ჩვენთვის ამოსავალია ენის პრაგმატიკული ასპექტი ანუ მისი გამოყენების შესწავლა კომუნიკაციის პროცესში. პრაგმატიკა აანალიზებს შემდეგ ასპექტებს:

1. ინტერპრეტაციისა და გამონათქვამის გამოყენების დამოკიდებულებას სამყაროს ცოდნაზე;
2. სამეტყველო აქტების აღქმას და გაგებას მოსაუბრის მიერ;
3. წინადადების სტრუქტურის დამოკიდებულებას მოსაუბრისა და მსმენელის (ადრესატისა და ადრესანტის) ურთიერთობებზე.

პრაგმატიკული თვალსაზრისით, ტექსტი განისაზღვრება როგორც კომუნიკაციური ერთობა, რომელშიც კომუნიკანტი მიაწვდენს აუდიტორიას განსაზღვრულ შინაარსს ენის საშუალებით. საერთოდ, ტექსტი წარმოადგენს ერთი ადამიანის გამონათქვამს, წერილობითს თუ ზეპირს, ცალკეული გზავნილის ფორმით, რომელიც გამიზნულია განსაზღვრული აუდიტორიისათვის კონკრეტული სიტუაციის მოცემულ თემაზე.

ტექსტის პრაგმატიკა განიხილავს ცალკეული კომუნიკაციური გამოვლენის შიდა და გარე პრობლემებს: კომუნიკანტის განზრახვის გულწრფელობას, მისაწვდომობას, რომელთა ინტერპრეტაცია შეუძლია აუდიტორიას (ადრესატს), თუ იგი მთლიანად აღიარებს კომუნიკაციის შეტყობინების მნიშვნელობას (Sperber and Wilson 1986).

იმ დროს, როცა გრამატიკა განიხილავს ემპირიულ ტექსტებს, ტექსტის პრაგმატიკის პრობლემას წარმოადგენს რეალურ მეტყველებაში მისი აღქმა.

ბუნებრივია, რომ ადამიანის მიერ წარმოქმნილი ტექსტი არ შეიძლება იყოს პრაგმატიკულად განსაზღვრული. რადგანაც მას წარმოქმნის ადამიანი და მარტო ორგანიზებას კი არ უკეთებს ენობრივ მასალას შესაბამისი შინაარსის გადმოცემისათვის, არამედ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. მედნიკოვას აზრით, ტექსტის მიზნობრივ მიმართულებაზე, მისი შემქმნელის განზრახვაზე დამოკიდებულია მოდალურობაც, სიტყვების შერჩევა, სინონიმების გამოყენება. ასევე, მოქმედის განზრახვაზე დამოკიდებულია ზეფრაზული ერთიანობების დაყოფაც და თუ საქმე გვაქვს უფერად ტექსტთან, პროსოდიაც (Медникова 1974: 191).

ტექსტის შექმნა და მისი ინტერპრეტაცია კომუნიკაციის ძირითადი ასპექტია. როგორც ი.რ.გალპერინი აღნიშნავს, ტექსტის ანალიზში ამომავალი დებულება მისი თვითკმარი ხასიათის მონაცემად აღქმავა, რომელიც ექვემდებარება სამეტყველო ნაწარმოების აგების კანონზომიერებას (Гальперин 1981:6). ნებისმიერი ტექსტი ობიექტურად თავისი აბსტრაქტულობით, მრავალმნიშვნელობით, მრავალმხრივი ინტონაციური გაფორმებით (რომელსაც აქვს თავისი იმპლიციტური გამოხატვა) აქტუალიზდება.

ტექსტის ანალიზი მოითხოვს ორმხრივ მიდგომას:

1. პირველყოფილსა, ცალკე აღებული ზეფრაზული ერთობის განხილვა, რომელსაც აქვს პოტენცია იყოს ტექსტის კომპონენტი.
2. მეორე მიდგომა – დედუქციური – ტექსტის რომელიმე მონაკვეთის განხილვა, მაგრამ იგი მაინც სხვა ტექსტის მონაკვეთია, რომელიც თავისთავად სხვა ერთიანობაა.

ტექსტის ანალიზის მოთხოვნილება განსაზღვრავს ანალიზის კრიტერიუმების გამოყოფისა და ტექსტის ზოგადი დახასიათების აუცილებლობას.

სამეტყველო ქმედებას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი და განიხილება არა როგორც საკუთრივ ქმედება, არამედ უფრო მაღალი დონის ქმედების შემადგენელი ნაწილი. ქმედება ზოგადად გაიგება როგორც განსაზღვრული შედეგის მისაღწევი პროცესების რთული ერთიანობა, რომელიც, ამავე დროს, არის მოცემული ქმედების ობიექტური მიზეზი, ანუ ის, რაშიც დაკონკრეტებულია სუბიექტის ესა თუ ის მოთხოვნილება.

სამეტყველო ქმედება, როგორც ყოველი ქმედება, მოტივირებული და მიზანმიმართულია. ეს ნიშნავს, რომ სამეტყველო ქმედებას საფუძვლად უდევს ამოცანა, რომლის შესრულებისთვისაც ხორციელდება სამეტყველო ქმედება და, რომელიც გამოიხატება ენობრივი საშუალებებით.

ფუნქციური მიდგომით, სამეტყველო ქმედება უნივერსალურია, რომელიც არის როგორც ყოველ ცალკეულ სამეტყველო აქტში, ისე ცალკეული სამეტყველო აქტის კონკრეტულ სიტუაციაში.

ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ადრეულ ეტაპზე დაიწყო ტექსტის პარამეტრების განსაზღვრის მცდელობა. თუმცა, ენათმეცნიერთა შორის ერთსულოვნება არც ტექსტის პარამეტრების განსაზღვრაშია. ერთადერთი პარამეტრი, რომლის შესახებ არაფერია დაობს, ესაა ტექსტის გაბმულობა.

სპეციალისტთა მიერ ხშირად არის დასახელებული ისეთი ნიშნები, როგორცაა აზრის დასრულებულობა, თემა და კავშირი. ვსერგია ტექსტს განსაზღვრავს, როგორც უმაღლესი დონის ენობრივ-სამეტყველო ერთეულს, რომელსაც აქვს საკუთარი თემა, გრაფიკული სახე, სტრუქტურული და სემანტიკური მთლიანობა, აზრობრივი დამთავრებულობა და საკომუნიკაციო დანიშნულება. ტექსტის ქვედა ზღვრად მას ორი მეტატექსტი მიაჩნია, ხოლო ზედა ზღვრის მაჩვენებლად – აზრობრივი სრულებულება, ტექსტის კატეგორიებად – გაბმულობა, თანმიმდევრობა და მოდალობა. ტექსტის კომპონენტებად – მეტატექსტები (სერგია 1989: 51).

ქართული ენათმეცნიერი ვ. ლებანიძე თვლის, რომ ტერმინის „ტექსტის“ განსაზღვრის დროს ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ მისი პრაგმატიკული და საკუთრივ ტექსტოლოგიური განსაზღვრა. პირველ განსაზღვრას ექნება უპირატესად ფუნქციური, მეორეს – უპირატესად სტრუქტურული მნიშვნელობა (ლებანიძე 1997: 97).

ჩვენი თვალსაზრისით, ისეთი მრავალპლანიანი სისტემის აღწერა, როგორცაა ტექსტი, მოითხოვს მივმართოდ პრინციპულად ახალ ცნებათა სისტემებს და ანალიზის მეთოდებს. ასევე მნიშვნელოვანია ენათმეცნიერთა მიერ უკვე მიღწეული მონაცემების გამოყენება.

წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით „ტექსტი“ უნდა გავიგოთ როგორც ადამიანური ქმედების შედეგად წარმოქმნილი ისეთი ნიშნობრივი წარმონაქმნი, რომელსაც კომუნიკაციური დანიშნულება აქვს. ამ შემთხვევაში გვექნება ტექსტის მაქსიმალური გაგება – უესტიდან მხატვრულ ნაწარმოებამდე.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ მივმართავთ ტექსტისადმი ფუნქციურ მიდგომას, ე. ი. სამეტყველო ფორმის გამოყოფისა და გამოკვლევის საფუძველად ვიღებთ კომუნიკაციური სპეციფიკას. სამეტყველო ფორმები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, არის ორმხრივი წარმონაქმნი: ისინი ერთის მხრივ, აზროვნების ფორმებია, რომელშიც ხორციელდება აზროვნების პროცესი, მეორეს მხრივ – მეტყველების ფორმები, ანუ კომუნიკაციის ფორმები. ასე რომ, ისინი ირეკლავენ აზროვნების პროცესის სტრუქტურას, ტიპებისა და კავშირის საშუალებებს აზროვნების ელემენტებს შორის და აზრების კავშირს ერთმანეთთან (Брандес 1980, Бессмертная 1972, Васильев 1979).

ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ სამეტყველო ფორმა, ერთის მხრივ, აწესრიგებს აზროვნების პროცესს, კომუნიკაციებს, მეორეს მხრივ, ეს

ფორმები, ამ პროცესის განხორციელებაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამეტყველო ფორმები დაკავშირებულია აზროვნებასთან, აზრების ლოგიკურ ორგანიზაციასთან, მის საგნობრიობასთან, ანუ გადმოსაცემი ინფორმაციის ტიპთან, კომუნიკაციასთან, და რა თქმა უნდა, კომუნიკაციურ მიზანდასახულობასთან. ყველაფერი ეს შეადგენს სამეტყველო ფორმის შინაგან სტრუქტურას. სამეტყველო ფორმის შინაგანი სტრუქტურა კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ლინგვისტურ გაფორმებას, გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს, სინტაქსურ ორგანიზაციას.

სამეტყველო ფორმები – ეს პროცესული ფორმებია, ანუ კომუნიკაციის ფორმების განხორციელებაა, რომლის მატერიალიზაცია, ბუნებრივია ტექსტში ხდება. ტექსტის ერთეულებისათვის, რომელშიც მატერიალიზდება ეს ფორმები, გამოიყენება ტერმინი „კონტექსტი“. აქ „კონტექსტი“, რომელიმე ერთეულის ლინგვისტური გარემოცვის განსაზღვრებისაგან განსხვავებით, აღნიშნავს ტექსტის ერთეულს, რომელიც შეესაბამება ერთ სამეტყველო ფორმას (Плотникова 1981: 24; Гришина 1982: 52). კონტექსტი ტექსტის ერთეულია მიუხედავად მისი სიდიდისა, რადგანაც ტექსტის ერთეული შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტექსტის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც გამოიყოფა მისგან და განსაზღვრული მიზნით შეპირისპირებულია ტექსტის სხვა ნაწილებთან (ერთეულებთან) (Свинцов 1972, 35).

მკვლევართა უმეტესი ნაწილის მიერ გამოიყოფა სამეტყველო ფორმები „აღწერა“, „თხრობა“ და „მსჯელობა“. სამეტყველო ფორმების ეს ტიპები, რომელთაც ეწოდება საბაზო ანუ ძირითადი, გამოიყოფა როგორც შინაარსობრივი, ისე ლოგიკური და ფუნქციური კრიტერიუმების საფუძველზე (Брандес 1971, Нечаева 1974, Троянская 1976, Плотникова 1980, Мальчевская 1976).

თუმცა საბაზო სამეტყველო ფორმების და მათი მოდიფიკაციების გარდა, არსებობს აგრეთვე „შერეული სამეტყველო ფორმები“, „კონტამინირებული ფორმები“ (Миронова 1975, Васильев 1979). ეს ფორმები ხასიათდება კავშირის რომელიმე ორი ფორმის სინთეზირებით.

ლინგვისტიკაში გამოიყოფა სამეტყველო ფორმათა ვრცელი ნომენკლატურა. დღეისათვის ჯერ კიდევ არ გვაქვს სამეტყველო ფორმის დაწვრილებითი თანმიმდევრული კლასიფიკაცია და, ალბათ, ჯერ კიდევ ადრეა საუბარი მისი შექმნის შესახებ.

ცალკეული სამეტყველო აქტი არის კონკრეტულ პირობებში, განსაზღვრულ სიტუაციაში, კონკრეტული გამონათქვამის გამოყენებისა და ტექსტის შექმნის აქტი.

ცალკეული სამეტყველო აქტი იწყება მოტივითა და პლანით და მთავრდება დასასული მიზნის მიღწევით, შუაში კი არის კონკრეტული მოქმედებებისა და ოპერაციების დინამიური სისტემა, რომლებიც მის მისაღწევად მიმართული. მიზნის მიღწევის შედეგი არის კონკრეტული გამონათქვამი, წინადადება ან სამეტყველო ნაწარმოები, მთელი ტექსტი.

თავდაპირველად სამეტყველო აქტის ცნება, რომელიც ესადაგებოდა მხოლოდ ცალკეულ წინადადებებსა და გამონათქვამებს გამოთქმებს (Austin 1962, Searle 1969; Хельниц 1978), სამეტყველო აქტისადმი შესაბამისობითა და კომუნიკაციური მიზნის თვალსაზრისით ხასიათდებოდა. კომუნიკაციური მიდგომის ჩარჩოებში ტექსტად მთლიანი სამეტყველო აქტის ცნება განიხილება.

რადგანაც სამეტყველო აქტი წარმოადგენს სამეტყველო ქმედების, უფრო ფართო ქმედების სისტემაში ჩართვის აქტს, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ და ურთიერთგანპირობებულ კომპონენტს, ამიტომ, ყოველ კონკრეტულ სამეტყველო აქტში, გარდა ძირითადი მიზნისა, კერძოდ ინფორმაციის გადატანისა, არის კიდევ რაღაც არასამეტყველო მიზანი, რომელიც დამოკიდებულია მის შესრულებაზე და, რომელიც მიიღწევა ენობრივი საშუალებით ადამიანის მოღვაწეობის განსაზღვრულ სისტემაში (Леонтьев 1969: 19).

როდესაც საუბარია ლინგვისტურ ლიტერატურაში სამეტყველო ქმედების და სამეტყველო აქტის მიზნის შესახებ, გამოიყენება ტერმინი კომუნიკაციური მიზანდასახულობა, მიზანი, მიმართულება, ამოცანა, ინტენცია. სამეტყველო ქმედების მიზანი გაიგება როგორც წინასწარ გააზრებული და დაგეგმილი შედეგი, რომელიც რეალურად აისახება ტექსტში, როგორც სამეტყველო-სააზროვნო წარმონაქმნში (Трубников 1968: 56).

მოცემულ შემთხვევაში, მხედველობაშია ტექსტის კომუნიკაციური ერთიანობა. თუმცა, ტექსტების უმეტესობა მარტო კომუნიკაციური მიზანდასახულობით კი არ ხასიათდება, არამედ რიგი კომუნიკაციური მიზანდასახულობის შერწყმით. ამასთან ერთად, კომუნიკაციური მიზანდასახულობა ხასიათდება მნიშვნელობათა სხვადასხვა დონით. ყველაზე მნიშვნელოვან კომუნიკაციურ მიზანდასახულობას უწოდებენ დომინირებულს, დანარჩენს კი კერძოს (Москольская 1981: 56).



ტექსტის დომინირებული კომუნიკაციური მიზანდასახულობა ყოველთვის არ ემთხვევა ტექსტის საერთო კომუნიკაციურ მიზანდასახულობას. აქედან გამომდინარე, ამ ცნებების უფრო ზუსტი დაყოფისათვის მე გამოვიყენებ ცნებას „ტექსტის კომუნიკაციურ ამოცანას“, მთელი ტექსტის კომუნიკაციური მიზანდასახულობის აღნიშნისათვის (ლუბანიძე 2004).

ტერმინი „დომინირებული კომუნიკაციური მიზანდასახულობა“ (ibid 1968,56), გამოიყენება ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი, არსებითი კომუნიკაციური მიზანდასახულობის აღსანიშნავად. ხოლო კერძო კომუნიკაციური მიზანდასახულობები გამოდის დამხმარეების როლში და დამოკიდებული არის დომინირებულ კომუნიკაციურ მიზანდასახულობაზე.

სამეტყველო ჟანრი შეეფარდება ორ ზოგად ცნებას: ფუნქციური სტილი და ტექსტის ტიპი.

ჩვენ ვიზიარებთ მ. ნ. კოჟინას მოსაზრებას, რომელიც ფუნქციურ სტილს განიხილავს, როგორც მისი ამა თუ იმ სოციალური მრავალსახეობით მეტყველების თავისებურ ხასიათს, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივი მოღვაწეობის განსაზღვრულ სფეროს და მის შესაბამის გონებრივ ფორმას, შექმნილს ამ სფეროში ენობრივი საშუალებების ფუნქციონირების თავისებურებებით და მეტყველების ორგანიზაციის სპეციფიკით, რომელიც მის განსაზღვრულ საერთო სტილისტიკურ შეფერილობას ქმნის (Кожина 1983: 49).

ტექსტის ტიპი არის განსაზღვრული ჟანრების კლასი, რომელსაც აქვს მსგავსი კომუნიკაციურ-მიზნობრივი მიზანმიმართულება ანუ, მსგავსი ფუნქციური სპეციფიკა. სამეტყველო ჟანრი ტექსტის ტიპთან იმავე შეფარდებაში, როგორც სახეობა გვართან. ტექსტის ტიპი შეიცავს სამეტყველო ჟანრებს, რომლებიც სხვადასხვა სტილს განეკუთვნება.

## 2. 2. ტექსტის ზოგადი სემანტიკური ანალიზი

ტექსტის სემანტიკური ანალიზის ზოგადი პრინციპების განსაზღვრამდე, აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ სემანტიკის სახეობა და ტექსტის ამ პლანში შესწავლის სპეციფიკა.

სემანტიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს მნიშვნელობას კომუნიკაციის პროცესში. იგი წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან სემანტიკოს. „სემა“ ნიშნავს „ნიშანს“, ხოლო ზმნა „სემაინო“ – ‘მითითებას’, „მინიშნებას“. ლინგვისტურად ეს ნიშნავს ნიშნის ინტერპრეტაციას აგენტების ან კომუნიკანტების მიერ კონკრეტული სიტუაციის ან კონტექსტის გამოყენებით.

ენათმეცნიერები აღარ კამათობენ იმაზე, რომ სიტყვას წინადადებაში შეიძლება ჰქონდეს ლიტერატურული ან გადატანითი მნიშვნელობა. ტრადიციულად, ფორმალური სემანტიკა გულისხმობს მხოლოდ სიტყვის სემანტიკის შესწავლას, ხოლო სიტყვის ფიგურული მნიშვნელობის გაცნობას მიაკუთვნებს პრაგმატიკის სფეროს. მართალია, ეს საკითხი სცილდება ჩემი სადისერტაციო კვლევის ფარგლებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ძნელია ამ ზღვარის გავლება და მისი დაცვა. ტრადიციულად, სემანტიკა სწავლობს სიტყვის კონოტაციურ მნიშვნელობას, დენოტაციურ რეფერენსს, სიმართლის პირობებს, არგუმენტის სტრუქტურას, თემატურ როლებს, დისკურსის ანალიზს და მათ კავშირს სინტაქსთან.

არჩევანი ტექსტის სემანტიკისადმი განაპირობა ჰალიდის თეორიამ „ტექსტი როგორც სემანტიკური არჩევანი სოციალურ კონტექსტში“ (Halliday 1977). ჰალიდე განიხილავს სემანტიკურ სისტემას, როგორც ლინგვისტური სისტემის ერთ-ერთ შემადგენელს ნაწილს (დანარჩენ ორად კი თვლის ლექსიკო-გრამატიკულ და ფონოლოგიურ სისტემებს). სემანტიკური სისტემა, თავის მხრივ, შედგება ოთხი კომპონენტისაგან: ექსპერიმენტური, ლოგიკური, ინტერპერსონალური და ტექსტური კომპონენტებისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერი, რაც ქმნის ტექსტს, სტრუქტურულად არის ამ ოთხი კომპონენტის გამოსატყულება. თუმცა, ტექსტური კომპონენტები ვერ ასრულებს სრულყოფილ ფუნქციას დამოუკიდებლად. ტექსტი არის ენა მოქმედებაში და ტექსტური კომპონენტები გამოსატყუებს სემანტიკურ სისტემას იმ საშუალებებით, რითაც ტექსტია შექმნილი. ეს ხდება ტექსტუალური კომპონენტების სემანტიკური არჩევანით. ანუ, ენაზე გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ის ვგვხვდება. ამიტომაც განსხვავდება სიტყვების მნიშვნელობა ტექსტში, სიტყვათა

იმ მნიშვნელობისაგან, რომელიც გვხვდება ლექსიკონსა თუ იმ წინადადებებში, რომელიც გრამატიკულ წიგნებში გვხვდება.

ტექსტის ანალიზისას, ჰალიდეიმ უარყო ენათმეცნიერებაში გავრცელებული შეხედულება, რომ ტექსტი არის ე.წ. „სუპერწინადადება“, რაღაც, რაც უფრო დიდია, მაგრამ იმავე თვისებებით. ნაცვლად ამ შეხედულებისა, იგი განიხილავს წინადადებას, როგორც ტექსტის რეალიზების საშუალებას. ტექსტი არის სემანტიკური კონცეფცია, ჰალიდეის ტერმინით „რიგითი“ სტრუქტურით. მაგალითად, რიგითი სტრუქტურა ანუ ტექსტის სტილი შეიძლება იყოს ტრადიციული ნარატიული ტექსტი, ან ახსნა-განმარტების შემცველი თხზულება (ibid.1977).

ჰალიდეის მიხედვით, დამოკიდებული წინადადებებისაგან განსხვავებით, ტექსტს არ გააჩნია დასაწყისი და დასასრული. მისი განმარტებით, ტექსტი არის სემანტიკური არჩევანის უწყვეტი პროცესი. ტექსტი არის მნიშვნელობა და მნიშვნელობა არის არჩევანი, სელექციის უწყვეტი პროცესი. ვფიქრობ, უნდა დავეთანხმო ჰალიდეის შეხედულებას, როცა იგი ამტკიცებს, რომ ტექსტი არის მნიშვნელობის პროექცია მაღალ დონეზე. იგი სვამს კითხვას: რა არის ტექსტის ზემოთ, რა მოდის მის შემდეგ?

ჩვენ შეგვიძლია ასე გავცეთ ამ კითხვას პასუხი: თუკი ტექსტი არის სემანტიკური პროცესი, კოდირებული ლექსიკო-გრამატიკულ სისტემაში, რითი შეიძლება გაიშიფროს იგი? პასუხი დამოკიდებულია კვლევის ბუნებაზე და მკვლევარის იდეოლოგიაზე. იმის თქმა, რომ ტექსტს აქვს მნიშვნელობა, გულისხმობს, რომ შეიძლება მისი ინტერპრეტაცია მნიშვნელობის ბუნების გათვალისწინებით. ტექსტის ლინგვისტური აღწერა არის მცდელობა, ახსნას მისი, როგორც ლიტერატურის მნიშვნელობა – რატომ ახდენს მკითხველი მის ინტერპრეტაციას და შეფასებას ისე და არა სხვანაირად.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ:

- ლინგვისტური სისტემის დაბალ დონეზე ტექსტის რეალიზება ხდება ლექსიკურად, გრამატიკულად და ფონოლოგიურად.
- ლინგვისტიკის მაღალ დონეზე ტექსტი არის სემიოტიკური სტრუქტურის რეალიზაცია, რომელსაც აქვს სოციოლოგიური და ფსიქონალიტიკური ინტერპრეტაციის საკუთარი მეთოდები.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ტექსტი არის გარემოს პროდუქტი და მოქმედებს სწორედ ამ გარემოს შესაბამისად. თავისი ყველაზე უფრო ზოგადი მნიშვნელობით, ტექსტი არის სოციოლოგიური მოვლენა, სემიოტიკური მცდელობა, რომლის საშუალებითაც იცვლება მნიშვნელობები, რომლებიც ქმნიან სოციალურ სისტემას. მოქმედი, ანუ ის ვინც გულისხმობს, მსმენელთან ერთად ქმნის სოციალურ რეალობას. თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით, კომუნიკაციაში მონაწილე ორივე მხარე უნდა ცდილობდეს ამ რეალობის შენარჩუნებას და მოდიფიცირებას.

ტექსტის აუცილებელი თვისება არის ის, რომ იგი არის ინტერაქტიული. მნიშვნელობათა გაცვლა ინტერაქტიული პროცესია და ტექსტი არის გაცვლის საშუალება. იმისათვის, რომ ერთმანეთში გავცვალოთ მნიშვნელობები, რომლებიც ქმნიან ტექსტს და სოციალურ სისტემას, ისინი წარმოდგენილი უნდა იყვნენ ისეთი სიმბოლური ფორმებით, რომლებიც ექვემდებარებიან გაცვლას და მისაღები და ხელმისაწვდომია ენობრივი ნორმებისათვის. ასე, რომ, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ მნიშვნელობა კოდირებულია სემანტიკურ სისტემაში და მიცემული აქვს ტექსტის ფორმა.

სიტყვის მნიშვნელობის რეალიზება ხდება კონტექსტის გათვალისწინებით. სწორედ იმ კონტექსტისა, რომელიც კოდირებულია ადამიანთა ჯგუფებში, მათ კულტურაში. სიტყვები, რომლებიც ქმნიან ტექსტს, პირველ რიგში, მისი ტიპური, პირველადი, კლასიკური მნიშვნელობით გაიგება და მხოლოდ შემდეგ ხდება მათ მიღმა დაფარული ქვეტექსტის ძიება. მაგალითად, ბილ კლინტონის სიტყვები, როცა იგი თავისი წარმომავლობის შესახებ საუბრობს, გაგებული უნდა იქნეს სიტყვათა პირველადი, კლასიკური მნიშვნელობით. ჩვენი აზრით, აქ არ იმალება რამე დაფარული ქვეტექსტი.

“I think the fact that I was born without a father, and that I spent a lifetime trying to put together a picture of one also had a lot to do with how I turned out,” says Mr. Clinton. “Good and not so good. But I think on balance, more good than bad. But it had a lot to do with it.” [www.cbsnews.com/stories/2004/](http://www.cbsnews.com/stories/2004/)

ტექსტის ეს ასპექტი გულისხმობს უნარს, რომ იგი შეიძლება გამოყენებული იქნას ინფორმაციის გაცვლის მიზნით. აღნიშნული უნარი ყველაზე კარგად ჩანს სემანტიკურ კონტექსტში. კერძოდ, შედარებითი ამბების მოყოლისას, ჩხუბისა თუ შეურაცყოფების მიყენებისას, ანეგდოტების თქმისას და სხვა

ვერბალური ქმედებების დროს. ამგვარად, ტექსტის სემანტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწორედ მნიშვნელობის აქტი ქმნის ტექსტს, როგორც ამ ქმედებათა პროდუქტს, რომელსაც გააჩნია კულტურული ფასეულობა. ინტერვიუ როგორც ტექსტი, წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს, როგორ შეიძლება სიტყვებს მიღმა დაფარული ქვეტექსტის წაკითხვა კულტურული ასპექტების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ შეუძლებელია ინტერვიუს როგორც ტექსტის სემანტიკური ანალიზის გაკეთება სიტუაციური კონტექსტის გარეშე. ტექსტი არის სოციალურ მნიშვნელობათა მაგალითი სიტუაციურ კონტექსტში.

სიტუაცია არის სემიოტიკური სტრუქტურა, რომელიც შედგება სოციალური ქმედებებისაგან. სოციალური აქტი არის მიმდინარე პროცესი, რომელსაც აქვს სოციალურ სისტემაში ცნობადი მნიშვნელობა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, კომუნიკაციის მონაწილეები წარმოთქვამენ მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, რომლებსაც ზოგჯერ სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭებათ. სიტუაციის მიხედვით მნიშვნელობებს ენიჭებათ განსაკუთრებული სტატუსი ან სტრუქტურული როლი.

ტექსტის შესწავლის ლინგვისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინტერვიუს დროს შერჩეული ენა წარმოშობს ურთიერთობას, რომელიც დაკავშირებულია ინტერპერსონალურ კომპონენტებთან, ხოლო გამოყენებული სიმბოლიკა ქმნის ინტერვიუს ტექსტურ კომპონენტს. სიტუაციური კომპლექსურობა ქმნის ინტერპრეტაციის მრავალფეროვან შრეს, რომელიც საფუძვლიანად არის ახსნილი გრაისის კონვერსაციული იმპლიკაციის თეორიით (Grice 1975).

საკამათო არაა, რომ მეტყველების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კომუნიკაციის ფუნქცია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ კომუნიკაციის პრინციპი. ჩვენ განვიხილავთ ინტერვიუს როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებას. რა არის საჭირო, რომ ინტერვიუ აკმაყოფილებდეს კომუნიკაციის პრინციპს? კომუნიკაციის პრინციპი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ოთხ ძირითადი პრინციპის სახით, რომელიც გამონათქვამის სტრუქტურის ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს:

1. გააზრებულობის პრინციპი; ამ პრინციპის თანახმად ნებისმიერ დასრულებულ გამონათქვამს უნდა შედგებოდეს რეფერენციის და პრედიკაციის აქტებისგან, რათა როგორც ადრესატისათვის, ისე ადრესანტისათვის ნათელი იყო თუ რაზეა ამ გამონათქვამში საუბარი;

2. მიზანმიმართულობის პრინციპი – ნებისმიერი გამონათქვამს აქვს რაიმე, თუნდაც გაუცნობიერებელი მიზანი;
3. სიტუაციურობის პრინციპი – ნებისმიერი გამონათქვამი ასე თუ ისე აუცილებლად უკავშირდება რაიმე სიტუაციას;
4. სემანტიკური ჩართულობის ანუ იერარქიულობის პრინციპი – თითოეული გამონათქვამი შედის უფრო მსხვილ სამეტყველო ერთეულში (და საბოლოოდ ტექსტში) და როგორც წესი, აზრობრივად უკავშირდება სხვა, მეორე გამონათქვამს (Gordon G. Posdulats de conversation – Langages, 973). ადვილი შესამჩნევია, რომ ეს პრინციპი აერთიანებს მეორე და მესამე პრინციპს.

რა როლს ასრულებს ეს პრინციპები მეტყველების აღქმაში და რაში გვჭირდება მათი ცოდნა? შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასეთი ზოგადი კანონზომიერება: საუბრისას ჩვენ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ვხელმძღვანელობთ ამ პრინციპებით. როცა ჩვენ ამ პრინციპებს ვარღვევთ, მაშინ გაუგებარი ხდება გამონათქვამის ექსპლიციტური შინაარსი და ვცდილობთ პასუხი ქვეტექსტში ვიპოვოთ. ქვეტექსტი შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგიის კვლევის საგანია. სოციალურმა პირებმა, ანუ ადამიანებმა ქვეცნობიერად იციან, როგორ იურთიერთონ, რათა მიაღწიონ კომუნიკაციურ კოჰერენსს.

გარდა იმისა, რომ ინტერვიუს დროს ადამიანები ცდილობენ წარმართონ კონსტრუქციული დიალოგი. ჩვენ, აგრეთვე, გვიწევს ანგარიში გავუწიოთ კონვერსაციულ პრინციპებს, რომელიც გულისხმობს მეტყველების სტრუქტურის თანმიმდევრობის დაცვას. ინტერვიუ არის „თანმიმდევრული“, ანუ ორი ადამიანი რიგობითობის, თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვით ესაუბრება ერთმანეთს. ამიტომაც, ნათქვამის ინტერპრეტაცია ხდება რიგის ან კონვერსაციული პრინციპების დარღვევის გათვალისწინებით. რიგის დაცვა და საუბრის თემიდან არ გადახვევა, სტრუქტურისა და სოციალური ინტერაქციის თანმიმდევრობის სხვა ასპექტებთან ერთად, ქმნის კონვერსაციულ დისკურსს.

### 2.2.1. ტექსტისა და დისკურსის ალმორფიზმი

ენობრივი კომუნიკაციის შესწავლისადმი ფართო მიდგომის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ენათმეცნიერების კვლევის ობიექტს ამჟამად წარმოადგენს ერთის მხრივ, წინადადებაზე უფრო ვრცელი მეტყველების მონაკვეთი, და მეორეს მხრივ, სოციალური სიტუაცია. ვან დეიკის განმარტებით, დისკურსის ნადვილი გაგება დამოკიდებულია ენის მომხმარებელთა ცვალებად მახასიათებლებსა და კონტექსტზე (van Dijk, 1989:45).

ტექსტი გაგებული იყო, როგორც აბსტრაქტული ფორმალური კონსტრუქცია, რომლის რეალიზაცია და აქტუალიზაცია ხდება დისკურსში გარკვეულ სოციოკულტურულ კონტექსტთან და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან (კომუნიკაციაში მონაწილე პირთა განწყობა, თეზაურუსი, მიზნები) მჭიდრო კავშირში. დისკურსი გაგებულია, როგორც რთული კომუნიკაციური მოვლენა და იმავე დროს წინადადებათა ბმული მიმდევრობა, რომელთა ანალიზი ხდება ლინგვისტური კოდების თვალსაზრისით, რაც აგებს სოციალურ ურთიერთობასა და გაგებას. ამგვარად, ვან დეიკმა სხვანაირად ჩამოაყალიბა ოპოზიცია: ტექსტი – დისკურსი, როცა ტექსტი იმ შესაძლებლობათა აბსტრაქტულ ველად წარმოგვიდგინა, რომლებიც დისკურსის სხვადასხვა ფორმით აქტუალიზდება.

ბევრ გამოკვლევაში, რომელიც ფუნქციურად არის ორიენტირებული, დისკურსისა და ტექსტის დაპირისპირება ხდება ისეთი ოპოზიციური კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა ფუნქციობა-სტრუქტურობა, პროცესი-პროდუქტი, დინამიკურობა-სტატიკურობა, აქტუალობა-ვირტუალობა. შესაბამისად, სტრუქტურული ტექსტი, როგორც პროდუქტი და ფუნქციური დისკურსი, როგორც პროცესი.

ამგვარად, ერთ რიგში ექცევა წინადადება და ტექსტი, ხოლო მეორეში გამონათქვამი და დისკურსი. ეს ბუნებრივად არის, რადგან, გამონათქვამი წინადადებისგან განსხვავდება როგორც მოცულობით, ისე სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუნქციური თვალსაზრისით. ანალოგიური მიმართებაა დისკურსსა და ტექსტს შორისაც. თუ გავიხსენებთ, რომ წინადადება და ტექსტი ენის დონეს განეკუთვნება, ხოლო გამონათქვამი და დისკურსი ენის გამოყენებას, ასეთ გაყოფას შეიძლება ჰქონდეს აზრი და მეთოდოლოგოურადაც სასარგებლო აღმოჩნდეს (van Dijk, 1976).

ტექსტისა და დისკურსის განსხვავებისათვის ზოგ გამოკვლევაში გამოყენებული ოპოზიცია წერილობითი ტექსტი - ზეპირი დისკურსი, რაც დამახასიათებელია ენისა და მეტყველების კვლევის ფორმალისტური მიდგომისათვის. ამგვარი დაყოფა ავიწროებს ორივე ურთიერთდაპირისპირებული ტერმინის მოცულობას. აღნიშნული დიქტომიის საფუძველზე ზოგი მკვლევარი გამოყოფს დისკურს - ანალიზს, რომლის ობიექტი, მათი აზრით, უნდა იყოს მხოლოდ ზეპირი მეტყველება და (წერილობითი) ტექსტის ლინგვისტიკა. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ასეთ მიდგომას პრაქტიკული კვლევისას ბევრი დაბრკოლება ხვდება. მაგალითად, მოხსენება შეიძლება ერთდროულად განხილული იყოს როგორც ტექსტი, და ამასთანავე, როგორც საჯარო გამოსვლა, ანუ კომუნიკაციური მოვლენა, თუმცა ფორმით მონოლოგური (ტრადიციული გაგებით), მაგრამ მიუხედავად ამისა, სავსებით ამსახველი ურთიერთობის იმ სპეციფიკისა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს ქმედების მოცემულ ტიპში. ამ კუთხით, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ინტერვიუ გაგებული უნდა იქნეს როგორც ტექსტის საშუალებით განხორციელებული დიალოგური დისკურსი, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი ადამიანი. ამასთან, ინტერვიუ შეიცავს მეტყველების თანმხლებ პარალინგვისტურ ელემენტებსაც (კინეზიკა, მიმიკა, ჟესტები, ფონაციური საშუალებები), რომლებიც საგაზეთო ტექსტში მხოლოდ აღწერის გზით შეიძლება იქნეს მოცემული.

როგორც ვხედავთ, მრავალგვარია ის ოპოზიციები, რომელთა ფარგლებში და რომელთა მეშვეობით ხდება დისკურსის დეფინიციისა და დისკურსის ანალიზის წარმართვა. ბევრი მკვლევარისთვის ნათელია, რომ დისკურსისა და ტექსტის მკვეთრი გამოჯვნა არ არის ადეკვატური. ჩვენი აზრით, თუ ეს რამდენადმე ხერხდება თეორიულ დონეზე, პრაქტიკული კვლევისას აღნიშნული ცნებების აღრევა, ურთიერთჩანაცვლება თითქმის გარდაუვალია. ეს ერთგვარად მოგვაგონებს სოსიურისეული „ენა-მეტყველება“ დიქტომიასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც ჩნდება ხოლმე ასევე ემპირიული კვლევების სფეროში.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, დისკურსი გაგებულია უფრო ფართოდ – როგორც ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება, ანუ როგორც სამეტყველო ქმედება, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ენობრივ მასალასაც, ბევრითი თუ გრაფიკული გამოხატვით. ტექსტი კი (ვიწრო მნიშვნელობით) გაგებულია როგორც წერის მეშვეობით ფიქსირებული მასალა. ეს უკანასკნელი



გულისხმობს, რომ დისკურსი ენის გამოყენების ტექსტუალიზებულ (ბმულ) ერთეულთა მთლიანობაა, რომელიც ფუნქციურად არის ორგანიზებული და არა „წინადადებაზე ვრცელი ენობრივი სტრუქტურის“ იზოლირებულ ერთეულთა მარტივი ნაკრები. როგორც ჩანს, აღნიშნულ მიდგომას თანამდეროვე პუბლიცისტურულ მეცნიერებებში უფრო ხშირად ეყრდნობიან, სადაც დისკურსი სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც კონკრეტული კულტურისა და სოციუმისათვის სპეციფიკური რეალიზაცია.

არსებითად ენობრივი მონაცემებისა და ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენებით ხდება მაკროლონგუე სოციოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში საზოგადოებრივ ფენომენტთა კატეგორიზაცია ენობრივ კომუნიკაციასთან მიმართებით. მიკროლონგუე კი სწორედ ლინგვისტური მიდგომებითაა შესაძლებელი საზოგადოების სოციალურ-კულტურული დინამიკის შესწავლა. კრასნიხის მიხედვით დისკურსი გაგებულია, როგორც ვერბალიზებული მეტყველებით-აზროვნებითი ქმედება, რომელიც პროცესისა და შედეგის ერთიანობის სახით წარმოგვიდგება.

დისკურსი, როგორც პროცესი, არის გასიტყვებული (ვერბალიზებული) თვით სინამდვილე, ხოლო როგორც შედეგი – ტექსტების ერთობლიობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისკურსის საკუთრივ ენობრივი პლანი დაკავშირებულია ენასთან. იგი საკუთარ თავს გამოხატავს ენობრივი საშუალებებით და ვლინდება წარმოქმნილი ტექსტების ერთობლიობით (დისკური, როგორც შედეგი). ანუ, დისკურსი არის ერთიანი ორგანიზმი, რომელშიც ერთდროულად ხორციელდება არა მარტო ენის, არამედ ენობრივი აზროვნების ყველაზე მრავალგვარი ასპექტები (Красних 2002:10-11).

დისკურსის მრავალრიცხოვანი განმარტებებიდან, ჩვენ ვეთანხმებით ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონის ერთ-ერთ განმარტებას, სადაც ვკითხულობთ: „ეს არის გაბმული ტექსტი, აღებული ექსტრალინგვისტურ-პრაგმატიკულ, სოციოკულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში“ (Лингвистический энциклопедический словарь 1990: 98). ეს კი ნიშნავს, რომ დისკურსი გულისხმობს სამეტყველო ურთიერთობებს რეალურ კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ, ტექსტის ქვეტექსტური განზომილების გამოსარკვევად კვლევისათვის აგვეჩინა ინტერვიუ, რადგან, კიდევ ერთხელ გვინდა დავაზუსტოთ, რომ ინტერვიუს როგორც ტექსტის ლინგვისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტექსტი არის სემიოტიკური

სტრუქტურის რეალიზაცია, რომელსაც აქვს სოციოლოგიური და ფსიქო-ანალიტიკური ინტერპრეტაციის საკუთარი მეთოდები.

დისკურსის ანალიზი, სწავლობს იმ ხერხებსა და საშუალებებს, რითაც ხდება მნიშვნელობის რეალიზება ტექსტში. ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად საინტერესოა ტექსტის სემანტიკური და დისკურსის ანალიზი, რადგან ჩვენ ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ქვეტექსტს ქმნის კონვერსაციული პრინციპების დარღვევა და არა ის სხვადასხვა მნიშვნელობები, რომელიც სიტყვას გააჩნია. აცნობიერებს რა თავისი გამონათქვამის დაუზუსტებელ ენობრივ გაფორმებას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ადრესატს მასში მოცემული ინფორმაციის აღქმაში, ადრესანტი ხშირად თავად ახდენს შესაბამის კორექტირებას გაუგებრობის ფენომენის თავიდან ასაცილებლად. საილუსტრაციოდ განვიხილოთ თვითკორექციის შემცველი დიალოგური დისკურსის მაგალითი:

“I never felt they, I mean cemeteries were bad or morbid places. I think they’re places of homecoming and keep the ties going,” says Mr. Clinton.

[www.cbsnews.com/stories/2004/](http://www.cbsnews.com/stories/2004/)

განხილულ მაგალითში თვითკორექციის პროცესის ენობრივ გამოსატყულებას, როგორც წარმოადგენს ფრაზა - I mean , რომელიც მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის, ამ შემთხვევაში თვითკორექტირების ლექსიკურ მარკერს წარმოადგენს.

### 2. 3. ინტერვიუს ქანრობრივი თავისებურება

### 2.3.1. დიალოგური მეტყველების პრაგმატიკული თავისებურებანი

დისკურსის განმარტებით თუ ვიმსჯელებთ, დიალოგური მეტყველება წარმოადგენს მის ყველაზე ბუნებრივ ფორმას. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ისტორიულად ენის ძირითადი ფუნქცია განისაზღვრებოდა მისი კომუნიკაციური დანიშნულებით, რაც პირველ რიგში, გულისხმობდა ინფორმაციის მიწოდებასა და გაცვლას, რომელიც მოტივირებული იყო ადამიანთა პრაქტიკული მოთხოვნილებით. დიალოგური დისკურსის უმთავრეს მახასიათებელს მისი ინტერსუბიექტურობა და ინტერაქტიურობა წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ სამეტყველო ურთიერთობა ცალკეული აქტებისგან შედგება.

თითოეული სამეტყველო აქტი ქმნის სოციალურ-კომუნიკაციურ ველს, რომლის ძირითად კომპონენტად გვევლინება ადრესანტი და ადრესატი. დიალოგური დისკურსის ინტერაქტიულობა გულისხმობს კომუნიკანტთა თანამონაწილეობას სამეტყველო ურთიერთობის პროცესში, ხოლო ინტერსუბიექტურობა კი გაიგება როგორც ფსიქოლოგიურად განცდილი ერთობლიობა (მაკაროვი 2003). შესაბამისად, სამეტყველო ურთიერთობის პროცესში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება პრაგმატიკული ასპექტების კვლევას, რადგან პრაგმატიკა კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციებს ითვალისწინებს, რომლებშიც კონკრეტული კომუნიკანტები მონაწილეობენ თავიანთი ჩანაფიქრებით და ფსიქოემოციური განწყობით.

კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრეებს გააჩნიათ მოტივი, რომელიც მათ სტიმულს აძლევს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, საუბრის სტიმულად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის პრაქტიკული მოთხოვნილება სოციალურ კონტაქტში შევიდეს სხვა ადამიანებთან.

პოლიტიკოსების შემთხვევაში დიალოგური მეტყველების მოტივად შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის გადაცემის სურვილი ან პუბლიკის ფსიქიკის ემოციურ და ინტელექტუალურ სფეროებზე ვერბალური ზეგავლენის მოხდენა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს დაკავშირებულია მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციასთან. საილუსტრაციოდ განვიხილოდ ნაწყვეტი ტონი ბლუარის გამოსვლიდან:

(16). **The Prime Minister:** I think that overall we gave a balanced picture to people. Those who have looked into the whole question of whether the dossier was

altered in any improper way have found that we did not do so. I will come to what was being said in September 2002, not only by myself, but by everyone else. Issues arise now, because of the evidence that has been given by David Kay, who headed the Iraq survey group. The whole reason for the inquiry that was announced yesterday is that we accept that some things may have been got wrong. We cannot have a situation? [Interruption.] I somehow feel that I am not being entirely persuasive in {771} certain quarters. We cannot have a situation in which we end up translating what we know today back into the context of what was known and thought in September 2002, and then reaching a judgment. I shall come to that point in a moment.

*(Barcelona CDA Congress Valencia, May 2004)*

მოყვანილი ტექსტი წარმოადგენს ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლეერის გამოსვლას 2004 წელს გამართულ კონგრესსზე, სადაც იგი შეეცადა დაერწმუნებინა თემთა პალატა თანხმობა განეცხადებინა ერაყის წინააღმდეგ წამოწყებულ ომში მონაწილეობის მიღებაზე. ნაწყვეტი მთლიანად ემყარება კომუნიკანტთა ფონურ ცოდნას, რომელიც ტექსტის ქვეტექსტურ განზომილებას ქმნის. მესიჯი ერთი შეხედვით ექსპლიციტურია, თუმცა იგი ეფუძნება დარბაზში მსხდომთა ფონურ ცოდნას. კერძოდ, ტონი ბლეარმა იცის, რომ თემთა პალატის უმრავლესობა ომში ჩაბმის წინააღმდეგია, ამიტომ იგი ცდილობს დროული და შესაფერი გამოთქმების გამოყენებას, რომელიც ურთიერთმისაღებ პრესუპოზიციებზე ივება. საერთო კონტექსტურ ინფორმაციას, რომელიც ორივე მხარეს გააჩნია, ემატება ექტრალინგვისტური ფაქტორი, რაც ამ შემთხვევაში გახლდათ ქუჩაში მიმდინარე საპროტესტო აქციები, რომელიც თავისთავად ბლეერის წისკვილზე არ ასხამდა წყალს.

საუბრის დროს კომუნიკანტთა ინტენციასა და ფონურ ცოდნასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე.წ. მოლოდინი. ეს გახლავთ ადამიანის უნარი შექმნილი გამოცდილების საფუძველზე წინასწარ განჭვრიტოს სიტუაციის შესაძლო განვითარება და მისი გათვალისწინებით განეწეოს მოსალოდნელი რეაქციისათვის. ინტერვიუს დროს, რომელიც წარმოადგენს დიალოგურ მეტყველებას, მეტყველი სუბიექტის მოლოდინი ორიენტირებულია ადრესატისა და ადრესანტის ფონურ ცოდნაზე, მის სოციალურ როლსა და ენობრივ კომპეტენციაზე. ანუ, მთქმელი ითვალისწინებს მსმენელის როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ მონაცემებს. მოლოდინი ეხმარება

მეტყველ სუბიექტს მის მიერ გამონათქვამზე ადრესატის რეაქციის პროგნოზირებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსაუბრე ცდილობს დაახლოებით მაინც გამოიყენოს ადრესატის შემხვედრი რეაქცია. ამიტომაც აკეთებს მოცემულ ნაწყვეტში ტონი ბლეერი აქცენტს ერეის გათავისუფლებაზე და იმ დადებით შედეგებზე, რაც მოსალოდნელი იქნება მსოფლიოსათვის სადამ ჰუსეინის არსებობის გარეშე.

გარდა ზემოთ მოყვანილი ასპექტებისა, ინტერვიუს, როგორც დიალოგურ მეტყველებას ახასიათებს სპონტანურობა, ანუ დაუგეგმობა. დაგეგმილი მეტყველება ეფუძნება წინასწარ გააზრებას, რომელიც კომუნიკაციურ ინტენციასთან ერთად მოიცავს ორგანიზაციის ცნებასაც. დაუგეგმავი მეტყველება კი სპონტანურობით ხასიათდება და სამეტყველო სიტუაციით ან მიმდინარე კონტექსტით არის განპირობებული. იგი თავისუფლად არის ორგანიზებული, სწრაფად მიმდინარეობს იმის გამო, რომ კომუნიკანტები არეგულირებენ ერთმანეთს და მეტყველებას წარმართავენ მათთვის საჭირო მიმართულებით. ეს უკანასკნელი მიიღწევა იმით, რომ მეტყველი სუბიექტი ყოველთვის თვალს ადევნებს მსმენელის რეაქციას საუბრის თემაზე და ამავე დროს ითვალისწინებს მის მიერ ინფორმაციის აღქმის ხარისხს. ამ საქმეში კი სერიოზულ დახმარებას წარმოადგენს პარალინგვისტური საშუალებები. კერძოდ, მიმიკა, უესტიკულაცია, სახის გამომეტყველება და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ სპონტანურობა გულისხმობს ფორმის ჩვევის, სოციალური სიტუაციის და დროის ფაქტორის ერთობლიობას. გან ვიხილოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი ტონი ბლეერის გამოსვლიდან ვალენსიში გამართულ კონგრესზე:

**(14) The Prime Minister (Mr. Tony Blair):** This is a debate on the Hutton report, but I know that the House will want to range wider than the report itself. I intend to cover four issues: the report itself and its findings; the inquiry into the issue of intelligence announced yesterday; the threat of weapons of mass destruction more generally; and the current situation in Iraq. I shall try to take as many interventions as possible, to allow questions on those issues.

*(Barcelona CDA Congress Valencia, May 2004).*

მოცემული ნაწყვეტი თარგმანში ასე უდერს: „ეს არის დებატები ბ-ნი ჰატონის მოხსენების შესახებ. მაგრამ მე ვიცი, რომ პარლამენტს სურს უფრო

ფართო ცოდნა საკითხისა, ვიდრე თავად მოხსენებაშია წარმოდგენილი. მე დღეს მსურს შევეხო ოთხ საკითხს: მოხსენებას და მოხსენების შედეგად მიღებულ დასკვნებს; გუშინ გაქვდებულ რეპლიკებს ინტელექტის შესახებ; მასობრივი განადგურების იარაღს; და ერაყში მიმდინარე სიტუაციას. მე შევეცდები შევწვივიტო საუბარი რამდენჯერაც საჭირო იქნება, რათა საშუალება მოგცეთ დასვათ შეკითხვები აღნიშნულ საკითხზე.”

აშკარაა, რომ ტონი ბლექერი კარგად ფლობს სიტუაციას თავისი სოციალური სტატუსისა და დროის ფაქტორის გათვალისწინებით. იცის რომ მას შეუძლია განაცხადოს, რომ რომ ამ გამოსვლის შემდეგ შეკითხვები არ იქნება, მაგრამ ითვალისწინებს რა მის მიერ ინფორმაციის აღქმის ხარისხს და მსმენელთა რეაქციას, ამბობს, რომ თანახმაა უპასუხოს შეკითხვებს. ამ შემთხვევაში, იგი თავს იდაუნებურად ცდილობს დაიცვას გრაისის კომუნიკაციური თანამშრომლობის პრინციპები, რომელიც გულისხმობს კომუნიკანტთა სამეტყველო ქცევის ნორმების დამარეგულირებელ მაქსიმებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს ურთიერთობის წარმატებით განხორციელებას (Grice, 1975).

### 2. 3. 2 ინტერვიუს სტრუქტურა

მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ ჟანრად ინტერვიუ ითვლება. პერიოდული გამოცემები თითქმის არ გვხვდება ინტერვიუს გარეშე. ასევე ხშირად იყენებს ინტერვიუს რადიო და ტელევიზია. ინტერვიუს პოპულარობა იზრდება 90 –იანი წლებიდან მოყოლებული. 1950 წლამდე ინტერვიუს წარმართვის კულტურა ინგლისშიც კი არ არსებობდა. ინტერვიუები, როგორც წესი, წინასწარ იგეგმებოდა, ხშირად წინასწარ იწერებოდა შეკითხვები. მაგრამ იმპროვიზირებული ინტერვიუების დროსაც კი რესპონდენტს შეეძლო თავისუფლად ეთქვა უარი პასუხის გაცემაზე, მაშინ როცა კორესპონდენტი უნდა დარჩენილიყო თავშეკავებული და არ უნდა გამოეხატა მცდელობა შეწინააღმდეგებოდა რესპონდენტის ორჭოფობას ან მის მცდელობას შეეცვალა საუბრის თემა.

ინტერვიუს ეს პოპულარობა რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ჯერ ერთი, რესპონდენტს გაუჩნდა შესაძლებლობა ჟურნალისტთან საუბრისას გამოხატოს თავისი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. საბჭოურ პერიოდში მოსაუბრე გამოდიოდა კოლექტივის სახელით და იგი აღიქმებოდა არა როგორც ცალკე პიროვნება, არამედ მასში იგულისხმებოდა მთელი საზოგადოება, რომელსაც ის წარმოადგენდა. ამჟამად კი ჟურნალისტი მიმართავს რესპონდენტს, როგორც ინდივიდს.

ის გარემოება, რომ დღესდღეობით პირველ პლანზე წამოწეულია საინფორმაციო ჯგუფების ჟანრები, რომელსაც მათ შორის ინტერვიუც გაეკუთვნება, კიდევ ერთი არგუმენტია ინტერვიუს პოპულარობის სასარგებლოდ. თანამედროვე მასობრივ მკითხველს, მაყურებელსა თუ მსმენლს აუცილებლად ესაჭიროება ფაქტები, ინფორმაცია ამა თუ იმ მოვლენაზე მინიმალური კომენტარის ან საერთოდ კომენტარის და ღრმა ანალიზის გარეშე. გარდა ამისა, ინტერვიუ - ეს არის ჟანრი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ კორესპონდენტის მიერ ინფორმაცია არასწორი ინტერპრეტაციის გარეშე, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც თანამედროვე სამყაროში შეიცვალა ჟურნალისტის პასუხისმგებლობა მის სიტყვაზე.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ინტერვიუ მივაკუთვნოთ მსუბუქ ჟანრს. იგი კორესპონდენტისაგან მოითხოვს შეხვედრისათვის საფუძვლიან მომზადებას, ცოდნას, როგორ უნდა წარმართო საუბარი რესპონდენტთან, პუბლიკაციისათვის მასალის სწორ ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჟანრი ფართოდაა

გავრცელებული, იგი ნაკლებადაა შესწავლილი. ეს კიდევ უფრო ცხადყოფს მოცემული თემის აქტუალობას და მისი შესწავლის აუცილებლობას.

ჟურნალისტიკის თეორიას, ისე, როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, გააჩნია თავისი კანონები და შესასწავლ საგანთა კლასიფიკაცია. ჟურნალისტიკის თეორია შეისწავლის საგაზეთო მასალას და ახდენს მის დაჯგუფებას სხვადასხვა ჟანრების მიხედვით. გადავშალოთ ნებისმიერი გაზეთი და იქ ვნახავთ ქრონიკას, პოლიტიკურ რეპორტაჟს, ინტერვიუს, სტატიას, მიმოხილვას და ა.შ. მკითხველისათვის, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ჟურნალისტიკასთან, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრი – სტატიაა, მაგრამ პროფესიონალს არა აქვს უფლება არ განასხვაოს ეს ჟანრები ერთმანეთისაგან. ამიტომ, პროფესიონალები გვიჩვენებენ, როცა დარწმუნებული არა ვართ რომელ ჟანრს განეკუთვნება ესა თუ ის პუბლიკაცია, ვუწოდოთ მას ნეიტრალური სახელი – „მასალა“.

ჟურნალისტიკაში საგაზეთო ჟანრები იყოფა სამ დიდ ჯგუფად:

- **საინფორმაციო**
- **ანალიტიკური**
- **მხატვრულ-პუბლიცისტური**

მოცემულ ჟანრთა კლასიფიკაცია კი ასეთია:

#### 1. საინფორმაციო

1. ქრონიკა
2. ინფორმაცია (მოკლე, სრული)
3. ინტერვიუ (მონოლოგი, დიალოგი, ანკეტა)
4. ანგარიში (ზოგადი, თემატური, კომენტარებით)
5. მოგზაურობის ჩანაწერები
6. მიმოხილვა
7. რეპორტაჟი ( მოვლენის შესახებ, თემატური)

#### 2. ანალიტიკური

- კორესპონდენცია
- სტატია (პროპაგანდისტური, პრობლემური, ზოგადი)
- მიმოხილვა
- რეცენზია ( ლიტერატურული, კინო, თეატრი)

#### 3. მხატვრულ-პუბლიცისტური

- ნარკვევი (სიუჟეტური, აღწერილობითი)



- ფელეტონი
- პამფლეტი (იხ. სქემა № 3)

საინფორმაციო მასალის (იქნება ეს საგაზეთო, რადიო, თუ სატელევიზიო) ძირითადი მიზანია – მოგვაწოდოს ფაქტები. ფაქტი ჟურნალისტიკისათვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ადამიანი ანატომისათვის, ენა ენათმეცნიერებისათვის. ეს არის საფუძველის საფუძველი. ფაქტის გარეშე ჟურნალისტიკა კარგავს აზრს.

ჟურნალისტიკის სხვადასხვა ჟანრი ფაქტს სხვადასხვაგვარად აღიქვამს და სხვადასხვაგვარ დატვირთვას აძლევს. ჩვენთვის კი საინტერესოა, როგორ განიხილავს მას ინტერვიუ. იგი შემდეგნაირადაა განმარტებული: „универсальный метод получения информации и публицистический жанр, характеризуемый диалоговой формой изложения материала. Особенность жанра интервью в том, что все формы высказываний корреспондента направлены только на получение информации” До и после рождество Христа” 07/10. 1999/7.

ინტერვიუს როგორც ჟანრის დახასიათებისას გამოიყოფა სამი ნიშანი, რომელთა საშუალებითაც ხდება მათი დიფერენციაცია კერძოდ:

- I. ინტერვიუს პირველი ნიშანი არის მისი დიალოგურობა, როგორც სამეტყველო ფორმა. ინტერვიუ როგორც განსაკუთრებული სამეტყველო ჟანრი აგებულია ჟურნალისტსა და იმ პირს ან პირთა შორის დიალოგის ფორმით, რომლისგანაც ჟურნალისტი იღებს ინტერვიუს. მათი რეპლიკები, როგორც წესი, საგაზეთო ტექსტში აღნიშნულია განსხვავებული შრიფტით. ჟურნალისტის ყოველი რეპლიკა მიმართულია ინფორმაციის მიღებისკენ. რესპონდენტის რეპლიკები კი გადასცემენ კორესპონდენტს ამ ინფორმაციას. ამრიგად, ინტერვიუ როგორც სამეტყველო ჟანრი წარმოადგენს დიალოგური მეტყველების ნიმუშს.
- II. დიფერენციალურ ნიშანთა მეორე კატეგორიის ფარგლებში განხილული უნდა იქნეს კორესპონდენტის გამონათქვამთა კლასიფიკაცია. ჟურნალისტის ყოველი რეპლიკა გაგებული უნდა იქნეს როგორც შეკითხვა, თუნდაც მას არ ჰქონდეს კითხვითი წინადადების ფორმა. ჟურნალისტის რეპლიკას შეიძლება ჰქონდეს მიმართვის, შეტყობინების ან პროვოცირების ფორმა, რომელსაც ხშირად ლინგვისტიკაში განიხილავენ, როგორც მიმართვა, როგორც ბიძგი მოქმედებისაკენ.


გ) ინტერვიუს დიფერენციალურობის მესამე ნიშანს წარმოადგენს ურთიერთ-კავშირი ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის, რომელსაც გადამდები რეაქცია ვუწოდეთ. აქ ლაპარაკია რეპლიკებზე ინტერვიუერის მხრიდან, რომელიც დადებითად ან უარყოფითად განაწყოებს რესპონდენტს და შესაბამისად, ეხმარება მას შეინარჩუნოს დადებითი იმიჯი აუდიტორიის თვალში ან დადგეს იმიჯის დაკარგვის საფრთხის წინაშე(იხ. სქემა № 4).

როგორც მოცემული დახასიათებიდან აშკარად ჩანს, ინტერვიუს სტრუქტურა აგებულია კითხვა-პასუხზე. ნებისმიერი გადახრა ამ ფორმატიდან იწვევს ტექსტის სახეობის შეცვლას. როგორც ეს კარგად ჩანს ამ რეპლიკაში: „ჩვენ ინტერვიუ გვაქვს, თუ ვკამათობთ? თქვენ ნუ ერევით, დამისვით შეკითხვები”


არსებობს ე. წ. პირობათა ციკლი, რომელიც არის “საჭირო და აუცილებელი იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს მეტყველების აქტი” (სიერლი 1969). კერძოდ, ე. წ. მოსამზადებელი პირობა და გულწრფელობის პირობა. ინტერვიუთა ანალიზმა დაგვანახა, რომ ინტერვიუს დროს ხშირად ირღვევა ორივე ეს პირობა. არა იმიტომ, რომ რესპონდენტმა არ იცის პასუხი ან არ სურს გასცეს ინფორმაცია, არამედ იმიტომ, რომ მათ სურთ წარმოაჩინონ ინფორმაცია ისე, რომ „ასიამოვნონ საკუთარ ხალხს.”

ინტერვიუ – ფაქტების შეტყობინებაა იმ პირისაგან, ვისთანაც მიმდინარეობს ინტერვიუ. აქ ადგილი აქვს ერთობლივ შემოქმედებას: ჟურნალისტი წინასწარ საფუძვლიანად ემზადება ინტერვიუსათვის, რადგან მან უნდა დასვას მკითხველისათვის აქტუალური და საინტერესო შეკითხვები. იგი სწორად უნდა იყოს ინფორმირებული და ობიექტურად აფასებდეს სიტუაციას. მან დასაწყისშივე უნდა მიუთითოს დეტალური ინფორმაცია ინტერვიუს შესახებ. კერძოდ, რესპონდენტის სახელი, გვარი, სამსახურებრივი თანამდებობა ან საზოგადოებრივი მდგომარეობა, საუბრის თემა და ინტერვიუს სახეობა, ანუ სატელევიზიოა, საგაზეთო, სატელეფონო, ფაქსით მიღებული თუ ა. შ.

ქუჩის მართვის მართვა კლასიფიკაცია



ინტერვიუს ქანრობრივი დახასიათება




გამოკვლევისათვის აღებული იქნა 58 ინტერვიუ გაზეთ Georgian Times-ის 1999 წლის 16 ნომრიდან. ანალიზისათვის მასალის შერჩევის საფუძველი გახდა ის, რომ გამომცემლობამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია თავისივე გაზეთის საგაზეთო ბაზარზე.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ ინტერვიუთა კლასიფიკაცია, რესპონდენტის მიერ გამოყენებული გამოსატვის ხერხების ანალიზი და ინტერვიუში მათი გამოყენების კანონზომიერება. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ინტერვიუს, როგორც ჟანრის თავისებურებანი:

- ინტერვიუ - ეს არის ჟურნალისტიკის ჟანრი, რომელიც გულისხმობს საუბარს ერთ ან რამდენიმე პირთან რაიმე აქტუალურ, საერთო მნიშვნელობის მქონე საკითხზე და გამიზნულია დასაბუჭდად, რადიო ან სატელევიზიო გადაცემად.
- შესაძლებელია მოვახდინოთ ინტერვიუს კლასიფიკაცია შემდეგი პრინციპების საფუძველზე: ფუნქციურ –საგნობრივი პრინციპით, სტანდარტულობის ხარისხის მიხედვით, ინტერვიუერის პირადი ხასიათის მიხედვით, მოსაუბრის საუბრის თემასთან დამოკიდებულების მიხედვით, ინტერვიუში ჟურნალისტის მონაწილეობის მიხედვით, თანამოსაუბრეთა რაოდენობის მიხედვით, ინტერვიუერის ტიპის მიხედვით, ურთიერთობის საშუალებების მიხედვით. გლობალური კომპიუტერული ქსელის - ინტერნეტის გავრცელებამ მოგვცა ინტერვიუს ახალი სახე. სარეკლამო ბაზარზე გამოჩნდა სარეკლამო ინტერვიუ. თუ გაეთვალისწინებთ განსხვავებას ინტერვიუსა და საუბრის ჟანრს შორის, ფუნქციურ პლანში დიალოგის, საუბრის ხასიათის, ინფორმაციის მოცულობის და საუბრისას ინტერვიუერის როლს შორის, მაშინ ინტერვიუ უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი ჟანრი.
- ინტერვიუ, როგორც განსაკუთრებული სამეცნიერო ჟანრი, იკება დიალოგის ფორმაში ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის, მათი საუბარი გაზეთში, როგორც წესი, განსხვავებული შრიფტით იწერება. ჟურნალისტის თითოეული რეპლიკა მიზნად ისახავს რესპონდენტის-აგან ინფორმაციის მიღებას.

- ინტერვიუ, როგორც ჟანრი წარმოადგება დიალოგის ფორმით. იგი ატარებს დიალოგურ ხასიათს არა მარტო იმიტომ, რომ საგაზეთო ტექსტის აგების საშუალებაა, არამედ ეს არის მასალის საგაზეთო ფორმატზე ორგანიზაციის საშუალება.
- ჟურნალისტის გამონათქვამები ინტერვიუში წარმოადგენენ მიმართვა შეკითხვას, მიმართვა – შეტყობინებას, მიმართვა-მოქმედებისათვის ბიძგებას. ინტერვიუს, როგორც ჟანრის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გამონათქვამის ნებისმიერი ფორმა, რომელსაც კორესპონდენტი იყენებს, მიმართულია იმისაკენ, რომ მიიღოს ინფორმაცია. მიმართვა-შეკითხვა, მიმართვა-შეტყობინება, მიმართვა-მოქმედებისათვის ბიძგება შეიძლება ატარებდეს დამატებით ინფორმაციას. ჟურნალისტის მიერ სხვადასხვა რეპლიკაში გამოყენებული გამონათქვამების სხვადასხვა ფორმათა შეფარდება მთლიანობაში გვიჩვენებს, რომ თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის ინტერვიუ ინდივიდუალურია. კანონზომიერება ინტერვიუს ტიპსა (ფუნქციურ –საგნობრივი პრინციპით) და ამა თუ იმ ფორმათა გამოყენების რაოდენობას შორის, ვერ იქნა დადგენილი.
- ინტერვიუში გამოიყენება ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები: რესპონდენტის ბუნებრივი პასუხი ჟურნალისტის შეკითხვაზე, ჟურნალისტის რეპლიკის გამოყენება, ლექსიკური გამეორებანი და ა.შ (იხ.სქემა № 5).

ინტერვიუს შანრობრივი კლასიფიკაცია



### 2. 3. 3. ინტერვიუს ლინგვისტური ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტერვიუ შედარებით გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება და შესაბამისად, ნაკლებად არის შესწავლილი ენობრივი თვალსაზრისით. მოხდა ისე, რომ პამფლეტი – ურთულესი ჟანრი, ფართოდ გამოიყენებოდა უკვე მე-17 საუკუნეში, ინტერვიუს წარმართვის კულტურა კი მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საზოგადოება არ იყო მომწიფებული დიალოგური მეტყველებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერვიუს როგორც ჟანრის ჩამოყალიბება დაიწყო მაშინ, როცა დიალოგი იქცა საზოგადოების ურთიერთობის უპირველეს ფორმად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ინტერვიუ როგორც ჟანრი წარმოშვა საზოგადოების სურვილმა დაეწყო დიალოგური მეტყველება. ინტერვიუს პოპულარობის საფუძველი ამჟამად გახლავთ ის ფაქტი, რომ თანამედროვე ენათმეცნიერება ენას განიხილავს კომუნიკაციურობის ნიშნით, რაც გულისხმობს მეტყველი სუბიექტისა და მსმენელის ურთიერთობას ენობრივ დონეზე.

დიალოგურობა, როგორც ტექსტის ტიპი, ბუნებრივია შეიძლება შეგვეხედვინებინა ნებისმიერი სხვა ჟანრის ფარგლებშიც. მაგრამ, ცხადია, რომ ჟურნალისტურ ჟანრებს შორის მხოლოდ ინტერვიუს გააჩნია სამართლიანი პრეტენზია შეასრულოს განსაკუთრებული როლი – პირდაპირ და უშუალოდ არეკლოს ეპოქა ჟანრობრივ-ტექსტობრივ დონეზე. ეპოქას, რა თქმა უნდა ასახავენ სხვა ჟურნალისტური ჟანრებიც, მაგრამ ეს როგორც წესი, ხდება არა უშუალოდ ტექსტობრივ, არამედ სხვა ენობრივ დონეებზე –ლექსიკურზე, მორფოლოგიურზე, სინტაქსურზე და ა.შ.

ამიტომაც შეიძლება ვთქვათ, რომ

- ინტერვიუ, როგორც დიალოგური მეტყველება, წარმოადგენს თანამედროვეობის ანარეკლს, რომელიც ეფუძვნება კომუნიკაციურ ლინგვისტიკას;
- ინტერვიუ უნდა ჩაითვალოს ერთადერთ ჟურნალისტურ ჟანრად რომლის ჟანრობრივი განსაზღვრა გულისხმობს დიალოგურობას და ეყრდნობა მას.

იმის გამო, რომ ინტერვიუ ეფუძვნება კითხვა-პასუხის ფორმატს, მას მიეწერება დიალოგურობა, როგორც სამეტყველო ფორმა. ანუ, ინტერვიუ



როგორც ჟურნალისტური ჟანრი ხასიათდება, ისეთი სამეტყველო ჟანრის საფუძველზე, როგორცაა დიალოგი.

ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში, რა თქმა უნდა, დიდი ხანია არსებობს დიალოგის როგორც ტექსტის ტიპის ცნება და ამ ცნების შესაბამისად არსებობს კიდევ დიალოგის ტიპოლოგიაც. თავისთავად ცხადია, რომ გვსურს ავაგოთ ინტერვიუს როგორც ჟანრის მიერ გენერირებული ტექსტობრივი დიალოგური სივრცის ტიპოლოგია, აუცილებელი იქნება ამ ტიპოლოგიის სრული გათვალისწინება.

ინტერვიუ, როგორც დიალოგური მეტყველება შეიძლება იყოს შემხვედრ კითხვა-პასუხზე აგებული (უმეტეს შემთხვევაში ასეა) ან დიალოგი შემხვედრი კითხვით (როცა მეტყველი სუბიექტი ცდილობს დროის მოგებას შესაფერისი პასუხის მოსაფიქრებლად) ან დამაზუსტებელი ინტერვიუ, როცა მეტყველი სუბიექტი ცდილობს მკვეთრად დააფიქსიროს თავისი აზრი და დამაჯერებელი გახადოს მსჯელობა, ან ინტერვიუ, როცა მეორე მხარის რეპლიკა შეიცავს უარყოფით რეაქციას და წარმოადგენს პოლემიკური დიალოგის სახეს. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ნაწევები 2004 წელს ვენესუელაში გამართული კონგრესიდან:

**(19) Mr. Michael Howard (Folkestone and Hythe) (Con):** At the outset, may I say that I very much agree with the Prime Minister's concluding remarks? I agree with what he said about the United States, and about present conditions in Iraq. I agree, too, with what he said about the threats that we face in this dangerous world, and about the necessity to take action to deal with those threats. On all those vitally important matters, there is complete agreement between us.  
(Barcelona CDA Congress Valencia, May 2004).

განვიხილოთ, მოცემული ნაწევების ქართული თარგმანი: „დავიწყით იმით, რომ ნება მომეცით ვთქვა, რომ მე ძალიან ვეთანხმები პრემიერ-მინისტრის დასკვნით შენიშვნებს. მე ვეთანხმები მას იმის თაობაზე, რაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერაყში ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ თქვა. მე აგრეთვე, ვეთანხმები მას იმის შესახებ, რაც მან თქვა ამ საშიშ სამყაროში ჩვენს წინაშე არსებული საფრთხის შესახებ. და, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ რამე ამ საფრთხის თავიდან

ასაცილებლად. ყველა ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხზე, ჩვენს შორის სრული თანხმობაა”.

არის ბრიტანეთის პარლამენტის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის პასუხი ტონი ბლერის მცდელობაზე დააკანონოს ერაყის წინააღმდეგ ომის გამოცხადების აუცილებლობა. იგი თავის გამოსვლას ასე იწყებს: „*დავიწყეთ იმით, რომ მე ძალიან ვეთანხმები პრემიერ მინისტრს.*” მიშელ ჰოუარდი ეთანხმება პრემიერ მინისტრს იმის თაობაზე, რომ ერაყი დახმარებას საჭიროებდა. იგი ეთანხმებ პრემიერ-მინისტრს იმის თაობაზე, რასაც იგი ამბობს აშშ-ს შესახებ, რასაც იგი ამბობს ერაყში არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობაზე. იგი, აგრეთვე, ვეთანხმები პრემიერ-მინისტრს იმის შესახებ, რომ ამ საშიშ სამყაროში ჩვენ ვდგავართ საფრთხის წინაშე. მიშელ ჰოუარდის მტკიცებით ამ სასიცოცხლო საკითხების შესახებ მათ შორის სრული თანხმობაა. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად ნაწევრები იწყება სიტყვებით: „*მე ვეთანხმები*”, იგი წარმოადგენს პოლემიკური დიალოგის სახეს, რადგან მ. ჰოუარდი იქვე აგრძელებს, რაში არ ეთანხმება. კერძოდ, იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე მთავრობა უნდა შეუთანხმდეს თემთა პალატას და ბრიტანელ ხალხს. მიშელ ჰოუარდი იქვე აგრძელებს:

(20) It is also vitally important that any future Government, before they discharge their most solemn duty -- the dispatch of our forces abroad -- must be able to convince the House and the British people of the necessity for action. I have little doubt that such a solemn duty will be required of a future Prime Minister and, given the fact that many of the threats we face from rogue states, weapons of mass destruction and terrorists are incubated in secrecy, we must have sound intelligence before we can make a convincing case for necessary action (ibid.)

აქ ჩანს, რომ ჰოუარდი ეთანხმება პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას, მაგრამ აღანაშაულებს მას არადემოკრატიულობაში. მთელი ამ გამოსვლის პოლიტიკური იმპლიკაცია ისაა, რომ კონსერვატორები ამას უკეთესად გააკეთებდნენ ისინი რომ იყვნენ მმართველი ძალა. მაგრამ აქ არ შეგვხვებით გამონათქვამის იმპლიკაციურ მნიშვნელობას, შეჯამების სახით ვიტყვი, რომ ინტერვიუ ეს არის ინტერსუბიექტული და ინტერაქციული სამეტყველო-აზრობრივი ქმედება, რომელიც წარმოშვა საზოგადოების მზაობამ დაეწყო დიალოგური მეტყველება.

## მეორე თავის დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი სახის დასკვნები:

ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩაისახა. ასე, რომ იგი შედარებით ახალი ენათმეცნიერული დისციპლინაა. დღევანდელ ენათმეცნიერებაში ტექსტი განიხილება როგორც მთლიანი ენობრივი წარმონაქმნი. თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა კომუნიკაციის სამ ძირითად კომპონენტს გამოყოფს – ადრესანტს, ტექსტსა და ადრესატს.

ტექსტის ლინგვისტიკის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბების შემამზადებელ პერიოდად ითვლება ჩვენი საუკუნის 20-30-იანი წლები., როდესაც თეორიულ პოეტიკაში ყურადღება გამახვილდა მთლიან ტექსტზე. ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემების გასაცნობიერებლად საჭირო იყო წინადადებიდან ამოსვლა, მისი საზღვრების გადალახვა და ზეფრაზულ ერთეულებზე გადასვლა.

ტექსტის განსაზღვრებები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ფართო გაგებით ტექსტად მიიჩნევენ კომუნიკაციური ინტენციის განხორციელებისათვის საჭირო ყოველგვარ ენობრივ გამოხატულებას; ტექსტს თვლიან ენობრივი კოდის სოციო-კომუნიკაციურ ქმედებაში გადაყვანის უნივერსალურ ფორმად.

მეორე ჯგუფის განსაზღვრება უფრო ვიწროა და საფუძვლად ედება კერძო საკითხების შესწავლას სხვადასხვა ასპექტის მიხედვით. ვიწრო გაგებით, ტექსტი არის ლინგვისტური ერთეული, რომელიც შეიძლება შესწავლილი იქნეს ენისა და მეტყველების პოზიციებიდან პარადიგმულ და სინტაგმურ ჭრილში, გრამატიკული, ლექსიკური და სტილისტიკური თავისებურებების აღწერით, შიდასტრუქტურული ელემენტების გამოკვეთითა და ექსტრალინგვისტური პირობების გათვალისწინებით და ა.შ.

ტექსტის სემანტიკური ინტერპრეტაცია, მისი საზრისის დადგენა, შეიძლება წარმართოს რამდენიმე მიმართულებით. ეს დამოკიდებულია, ერთის მხრივ, ტექსტის ნიმუშზე, და მეორეს მხრივ, ავტორის ინტენციასა და მის მიერ ენის სისტემაში არსებული შესაძლებლობების გამოყენებაზე.

ამ წინაპირობების გათვალისწინებით ინტერპრეტატორი ირჩევს ტექსტს და სათანადო ხერხების გამოყენებით ახორციელებს მის ინტერპრეტაციას.

### თავი III. ინტერვიუს პრაგმატიკული ანალიზი

#### 3. 1. პოლ გრაისის კონვერსაციული იმპლიკაცია

კომუნიკაციური ქვეტექსტის საფუძველს, როგორც უკვე განვიხილეთ, მეტყველების ჟანრობრივი და სიტუაციური ნორმები ქმნიან. ქვეტექსტი, ანუ იმპლიკაცია ურთიერთობისას საუბრის ქვაკუთხეა. აქედან გამომდინარე, კონვერსაციული ანუ საუბრის იმპლიკაციის ცნება პრაგმატიკის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საკითხია.

პირველ რიგში, შევეცადოთ, განვმარტოთ რას წარმოადგენს იმპლიკაცია და, რატომ ითვლება, რომ იგი წარმოადგენს ლინგვისტური ფენომენის პრაგმატიკული ახსნა-განმარტების პარადიგმატულ მაგალითს.

პრაგმატიკის ბევრი სხვა საკითხისაგან განსხვავებით, იმპლიკაციას არა აქვს ვრცელი და ფართო ისტორია. იმპლიკაციის თეორია წამოაყენა პოლ გრაისმა მის მიერ ჰარვარდის უნივერსიტეტში 1967წ. წაკითხული ლექციების კურსში, რომლის მხოლოდ ჯერ ნაწილია დაბეჭდილი (Grice 1975, 1978).

ტერმინი იმპლიკაცია პირველად პოლ გრაისმა შემოიტანა იმ მნიშვნელობის აღსანიშნავად, რომელიც გამომდინარეობს წინადადებისაგან სიტყვისათვის ლოგიკურად დამატებითი მნიშვნელობის მინიჭების გარეშე. ეს ტერმინი აღნიშნავს ურთიერთობას, რომელიც არსებობს ორ განაცხადს შორის, სადაც ერთის სიმართლე, გეთავაზობს მეორეს სიმართლეს. ამასთანავე, გრაისი განასხვავებს იმპლიკაციას ინტელიმენტისაგან. მაგალითად, წინადადება „მერის ჰყავდა ბავშვი და დაქორწინდა“ გვეუბნება, რომ მერის ჰყავდა ბავშვი და მერე დაქორწინდა. თუმცა, იგივე წინადადების სიმართლე ისიც შეიძლება იყოს, რომ მერის ბავშვი შეეძინა დაქორწინების შემდეგ. გარდა ამისა, თუ ჩვენ ზემოთქმულს დავუმატებთ ასეთ კლასიფიკაციას არა აუცილებლად ასეთი რიგით, მაშინ იკარგება იმპლიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ საწყისი წინადადების მნიშვნელობა არ შეცვლილა (Grice 1975: 213).

მოქმელის განზრახვის გამოსარკვევად სიტყვის ვერბალური მნიშვნელობის გრაისისეული ანალიზი კიდევ ბევრჯერ იქნა გადამუშავებული და გაუმჯობესებული. ამ საკითხით დაინტერესებული იყვნენ ისეთი მკვლევარები, როგორცაა: Stalnaker (1974), Schiffrin (1992), Blakemore (1987),

Weizman (1989) და სხვები. ამ მეცნიერთა მოსაზრება ეწინააღმდეგებოდა გრაისის შეხედულებებს. თუმცა, ვთვლით, რომ საწინააღმდეგო არგუმენტები არ იყო იმდენად ძლიერი, რომ შეესუსტებინათ იმპლიკაციის გრაისისეული განმარტება. 1969 წელს სერლმა საფუძვლიანად გადაამუშავა გრაისის თეორია და შეუთანხმა იგი მეტყველების აქტების საკუთარ თეორიას (Searle, 1975).

გრაისის მიხედვით, პრაგმატიკული იმპლიკაცია განსხვავდება სემანტიკური იმპლიკაციისაგან, როგორც განსაზღვრული ლინგვისტური პრობლემის გადაჭრის საშუალება აღქმის თეორიაში. იგი განიხილავს ასეთ მაგალითს:

გრაისი ამტკიცებს, რომ სემანტიკური თვალსაზრისით, წინადადება ეჭვს არ იწვევს, რომ ყუთი წითელია. მაგრამ ენის გამოყენების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სიტყვებით „ჩემი აზრით,” ჩნდება ეჭვი. მთქმელის მიერ არჩეული ენა, მსმენელს მიანიშნებს, რომ არსებობს რაღაც ეჭვი იმის შესახებ, მართლა წითელია თუ არა ეს ყუთი.

ასეთივე მაგალითია შემდეგი წინადადება:

აქ აღვიღო აქვს პრაგმატიკის ზოგადი პრინციპების იმპლიციტურ ცოდნას, რომელიც გულისხმობს, რომ „ან” ამ წინადადებაში მიგვანიშნებს მთქმელის განზრახვაზე, გვაუწყოს, რომ მან არ იცის, ან არ სურს დააზუსტოს, სად არის ამ შემთხვევაში ანა. პირდაპირი პასუხისაგან თავის არიდებით, მთქმელი არღვევს კონვერსაციული თანამშრომლობის პრინციპს და არ ამბობს ანას ადგილსამყოფელს, იმის გამო, რომ არ იცის, ან არ სურს თქვას.

ასეთი ზოგადი პრაგმატიკული იმპლიკაცია „გაუქმებადია”. ეს იმას ნიშნავს, რომ მთქმელს შეუძლია დაამატოს რამე ინფორმაცია, რომელიც ნათელს მოჰფენს სიტუაციას. მაშინ, როცა იგივეს ვერ ვიტყვით სემანტიკურ იმპლიკაცი-აზე. მაგალითად, სიტყვა „შეწყვიტა” ნიშნავს, რომ ადრე ამას აკეთებდა. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ: მაშინ როცა, მეორე წინადადებაში, შეგვიძლია „გავაუქმოთ” იმპლიკაცია შემდეგი სიტყვების დამატებით: ანა ლონდონშია, ან ნიუპორტში; ვიცი სადაც არის, მაგრამ არ გეტყვი.

ჩვენ ვეთანხმებით პოლ გრაისს, რომ კონვერსაციული პრინციპების დარღვევისას კომპეტენტურმა მსმენელმა შეიძლება გამოიტანოს რამდენიმე შესაძლო დასკვნა:

- **ადრესატი** არ მონაწილეობს მაქსიმების დაცვაში.

Formatted: Bullets and Numbering

• **ადრესატი** განზრახ არღვევს მაქსიმებს. თვისობრიობის მაქსიმის დარღვევა უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია ტყუილის მიზნით.

გ) ადრესანტს სურს დაიცვას თანამშრომლობის მაქსიმები, მაგრამ ვერ ანხორციელებს მას. მაგალითად, მან შეიძლება გამოიყენოს აუდიტორიის წინაშე ტექნიკური ტერმინები, რითაც დაარღვევს მანერის მაქსიმას.

დ) ადრესანტს, სავარაუდოდ, სურს დაიცვას თანამამშრომლობის პრინციპები, მაგრამ აშკარაა, რომ არღვევს მათ (იხ. სქემა №6).

როგორც ვხედავთ, იმპლიკაციის მნიშვნელოვანი დამსახურება გახლავთ ის, რომ იგი გვინფორმებს, როგორ შეიძლება იგულისხმებოდეს იმაზე მეტი, რაც ფაქტიურად იქნა ნათქვამი. გაეხსენოთ ისეთი ცნობილი მაგალითი, როგორცაა: რომელი საათია?

მერძევე ქალი უკვე მოვიდა.

ცხადია, სემანტიკური თეორიის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოკლე დიალოგი ასე შეიძლება იქნეს გაგებული: შეგიძლია დახედო საათს და მითხრა რა დროა?


არა, მე არ ვიცი ზუსტი დრო, მაგრამ შემიძლია მოგაწოდო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შეგიძლია გამოიანგარიშო დრო - მერძევე ქალი მოვიდა.

როგორც ვხედავთ, იმპლიკაციის ცნება წარმოადგენს ხიდს, რომელიც იდგება კომუნიკანტებს შორის.

გარდა ზემოთ ნახსენები ორი მიზეზისა, რატომ ითვლება იმპლიკაცია პრაგმატიკული ახსნა-განმარტების პარადიგმულ მაგალითად, შეგვიძლია მოვიშველიოთ მესამე დამადასტურებელი პრინციპი, რომელიც გვინფორმებს, როგორ ამარტივებს იმპლიკაცია სემანტიკური აღწერილობის შინაარსსა და სტრუქტურას. მესამე ტიპის ზოგადი იმპლიკაცია, მაქსიმების დარღვევას კი არ გულისხმობს, არამედ, ინტერპრეტაციისათვის დასახმარებლად იყენებს მათ. მაგალითად, თუ მე ვიტყვი: „პურზე გავედი,“ ამით მართალია დაირღვა

სქემა №6

ბრანის კონვერსაციული პრინციპების დარღვევის ასხნა



თანამშრომლობის მაქსიმა, მაგრამ მსმენელისათვის გასაგებია, რომ აქვე ახლოს პურის მაღაზიაა და პურის მოსატანად მივდივარ.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

1. კაცი შეახტა თავის ცხენს და გააჩენა მზის ჩასავალისაკენ.
2. საფრანგეთის დედაქალაქი არის პარიზი და ინგლისის დედაქალაქი არის ლონდონი.
3. კაცმა გააჩენა მზის ჩასავალისაკენ და შეახტა თავის ცხენს.
4. ინგლისის დედაქალაქი არის ლონდონი და საფრანგეთის დედაქალაქი არის პარიზი.

და კავშირს (1) და (2) წინადადებებში განსხვავებული ფუნქცია აქვს. (1)-ში იგი ნიშნავს “შემდეგ” ხოლო (2)-ში იგი გამოიყენება როგორც ჩამონათვალის დამაკავშირებელი. (2) და (4) წინადადებებში სიტყვათა ცვალებადობა შინაარსს არ ცვლის, ხოლო (1) და (3) წინადადებებში სიტყვათა ასეთი გადაადგილებით ძნელი წარმოსადგენია მოვლენათა მსგელობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სემანტიკური შინაარსისა და სტრუქტურის გამარტივება არ გულისხმობს იმ პრობლემების შემცირებას, რაც ლექსიკონთან დაკავშირებით არსებობს. იმპლიკაცია შესაძლებელს ხდის ავაგოთ სემანტიკა მარტივ ლოგიკურ პრინციპებზე. მართლაც, თუ მხედველობაში მივიღებთ და გავითვალისწინებთ პრაგმატიკულ იმპლიკაციას დავინახავთ, რომ რადიკალური განსხვავება ლოგიკურ და ბუნებრივ ენებს შორის მნიშვნელოვნად ხუნდება.

გარდა ამისა, იმპლიკაცია ენის ძირითადი ფუნქციების შესწავლისას აუცილებელი ცნებაა. მაგალითად, ისეთ შორისდებულებს, როგორიცაა კარგი, სხვათაშორის, ყოველშემთხვევაში და ა.შ. მოითხოვენ მნიშვნელობის დაკონკრეტებას სემანტიკის თეორიაში, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სიტყვები ინგლისურ ენაში. მაგრამ მათი მნიშვნელობის გარკვევისას დავინახავთ, რომ ამისათვის გვჭირდება პრაგმატიკული მექანიზმი, რომელსაც ეწოდება იმპლიკაცია.

და ბოლოს, პრინციპებს, რომლებიც ქმნიან იმპლიკაციას, აქვთ ძალიან ზოგადი ახსნის ძალა: რამდენიმე პრინციპს შეუძლია ახსნას ცალსახად ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები. მაგ. როგორ შეიძლება, რომ ტავტოლოგიამ „ომი ომია“ მნიშვნელობის მატარებელი შინაარსი მიიღოს, როგორ და რა ფუნქციებს ასრულებს მეტაფორა და ა.შ.



გრაისის იმპლიკაციის თეორია არის თეორია, იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ხალხი ენას. იგი ავითარებს საუბრის (კონვერსაციის) მაქსიმებს ანუ ზოგად პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უდევს ენის ეფექტურ თანამშრომლობით გამოყენებას და გვათაზობს თანამშრომლობის პრინციპებს, რომელებიც შემდეგი მაქსიმებისაგან შედგება:

1. თვისობრიობის მაქსიმა

შეიტანე საკუთარი წვლილი საუბარში სიმართლის თქმით

- არ თქვა ის, რაც იცი რომ მცდარია
- არ თქვა ის, რასაც არა აქვს ადეკვატური სამხილი

2. რაოდენობრიობის მაქსიმა

- იყავი იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ეს საჭიროა საუბრის კონკრეტულ მომენტში
- არ არის საჭირო იყო უფრო ინფორმაციული, ვიდრე საჭიროა

3. რელევენტობის მაქსიმა

ითანამშრომლე მართებულად

4. მანერის მაქსიმა

იყავი ნათელი, ცხადი, გასაგები და მისახვედრი

- თავიდან აიცილე გაურკვეველობა
- თავიდან აიცილე ბუნდოვანება
- იყავი კონკრეტული
- იყავი ზუსტი


როგორც ვხედავთ ეს მაქსიმები გვიჩვენებენ რა არის საჭირო იმისათვის, რომ საუბარი იყოს მაქსიმალურად ნაყოფიერი, რაციონალური და თანამშრომლობითი; ანუ კომუნიკანტები უნდა იყვნენ გულწრფელი, გასაგები და იმდენად ინფორმაციული რამდენადაც ამას მათგან მოითხოვენ (იხ. სქემა № 7).

თუ ამ კუთხით შევხედავთ კომუნიკაციის ბუნებას, მაშინვე გავიხსენებთ წინააღმდეგობის გრძობა. ეს მაქსიმები გვიხატავენ ფილოსოფიურ სამოთხეს, მაგრამ ასე ხომ ფაქტიურად არავინ ლაპარაკობს მუდმივად. მაგრამ გრაისის შეხედულება არის სრულიად განსხვავებული. მას უნდოდა ეთქვა, რომ ადამიანები ყოველდღიურ საუბარში, რა თქმა უნდა, არ იცავენ და არ მისდევენ

Formatted: Bullets and Numbering

Formatted: Bullets and Numbering

კონვერსაციული პრინციპების ბრანდისეული მაქსიმუმი



ამ პრინციპებს, მაგრამ როცა ეს პრინციპები ირღვევა, ეს ხდება განზრახ და მიზანმიმართულად.

განვიხილოთ თითოეული მაქსიმის დარღვევის ნიმუში.

### *თანამშრომლობის მაქსიმა*

მაგალითად, ფილოსოფიის ლექტორს ეკითხებიან;

- როგორი სტუდენტი იყო ოყრეშიძე?
- ოყრეშიძე ძალიან კეთილსინდისიერი ადამიანია, არასოდეს აგვიანებდა ლექციაზე და შესანიშნავად ლაპარაკობს ინგლისურად.

როგორც ვხედავთ, აქ დაირღვა რაოდენობრიობისა და მანერის პრინციპები, რადგან პროფესორის პასუხი არ არის ინფორმაციული და გაურკვეველია.

იგივე აზრის დასადასტურებლად შეიძლება გამოვიყენოთ კიდევ ერთი მაგალითი: ქალს ეკითხებიან აზრს ახალი რესტორნის შესახებ ის კი პასუხობს: არაჩვეულებრივი ნოსები უგიათ. ცხადია, აქ დაირღვა რაოდენობრიობის მაქსიმა, რაც სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ რესტორანში გარემო კარგია, საჭმელი კი არ ვარგა.

რა არის ამ მაქსიმების კონვენსაციული ქცევის საფუძველი? რას გულისხმობს კონვენსაციური მანერები? შეიძლება თუ არა შევისწავლოთ იგი, როგორც მაგიდასთან ქცევის წესები? გრავისის აზრით, ეს მაქსიმები არ არის ე.წ. საარბიტრაჟო შეთანხმება. ისინი ფაქტიურად ახასიათებენ რაციონალურ საშუალებებს, როგორ შეიძლება გავიგოთ ნათქვამი და გავაგებინოთ. თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ ისინი მართავენ არალინგვისტურ ასპექტებსაც და პასუხისმგებელი არიან ექსტრალინგვისტურ განზომილებაზეც. თუ თვისობრიობის მაქსიმას გავიგებთ, როგორც ბრძანებას, ან გაფრთხილებას, იმისათვის, რომ მივიღოთ გულწრფელი ფაქტი, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ, რომ X შეგნებულად აძღვეს Y-ს ზეთს როცა თხოვენ მურხუჭის საწვავს? ან თუკი X –ს თხოვ დაუჭიროს მურხუჭები საჭეს, ის კი უბრალოდ თავს ისე აჩვენებს, თითქოს თხოვნა შეასრულა? იგივე შეიძლება ითქვას რაოდენობრიობის მაქსიმის შესახებ. თუ X გთხოვთ ჩაუსხათ 3ლ. ბენზინი, უნდა დავიცვათ პროპორცია და ჩავუსხათ 3 ლ. და არა 1 ან 100. ასევეა შესაბამისობის მაქსიმა: თუ X გთხოვთ სამ ლურსმანს ე.ი. იგი მას ახლა უნდა და არა ნახევარი საათის შემდეგ. და

ბოლოს, როგორ უნდა გავიგოთ Y-ს საქციელი, თუ X მას თხოვს 8 ნომერ სახრახნისს, და იგი მას აწვდის 10 ნომერს?

ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითებში კარგად ჩანს, რომ როდესაც თანამშრომლობის მაქსიმები ირღვევა, იგი იწვევს ურთიერთობის დარღვევას.

თუმცა, მაქსიმების მიმართ ლინგვისტიკის ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ ისინი ემსახურებიან გაგებინების პროცესს, რომელიც აღემატება წინადადებისა თუ გამონათქვამის სემანტიკურ შინაარსს. ასეთი ვარაუდები განმარტების მიხედვით არის კონვერსაციული იმპლიკაცია, სადაც ტერმინი იმპლიკაცია უპირისპირდება ტერმინს ლოგიკური იმპლიკაცია, ინტელიმენტი და ლოგიკური შედეგი, რომლებიც მიღებულია წმინდად ლოგიკური ან სემანტიკური შინაარსიდან. იმპლიკაცია არ არის სემანტიკური ვარაუდი, უფრო მეტიც, ეს არის ვარაუდი, რომელიც ეფუძვნება ორთავეს, შინაარსს იმისას რაც ითქვა, და ზოგიერთ კონკრეტულ აქსიომას ჩვეულებრივი ვერბალური ურთიერთობის კოპერაციული ბუნების შესახებ.

ვარაუდი შეიძლება განვიხილოთ სულ მცირე ორი მიმართულებით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს მოსაუბრეს მაქსიმების მიმართ. თუ მოსაუბრე იცავს მაქსიმებს, იგი შესაბამისად შეიძლება მოელოდეს ადრესატისაგან, რომ ისიც იცავს ამ მაქსიმებს. მაგალითად:

- X (გამგლეღს): ბენზინი გამითავდა
- ოჰ, აქვე კუთხეში გარაჟია.

თუკი Y-ის ნათქვამს გავიგებთ როგორც იმპლიკაციას, რომ X –ს შეუძლია იქ ბენზინი აიღოს და ის, რა თქმა უნდა, იქნებოდა ნაკლებ კოოპერაციული, თუკი ეცოდინებოდა, რომ იქ ბენზინი არაა, ან გარაჟი დაკეტილია. მოდით იმ ვარაუდებს, რომლებიც მაქსიმების დაცვის საფუძველზე ჩნდება, ვუწოდოთ ტიპური იმპლიკაცია (ეს არ არის გრაისის ტერმინი, იგი იყენებს ტერმინს განზოგადებული იმპლიკაცია ისეთი იმპლიკაციის გამოსახატავად, რომლებიც არ მოითხოვენ განსაკუთრებულ კონტექსტუალურ პირობებს იმისათვის, რომ ნავარაუდები იქნენ).

მეორე საშუალება, სადაც ვარაუდი შეიძლება წარმოიქმნას მაქსიმებზე დაყრდნობით, არის ის, როცა მოსაუბრე განზრახ, განგებ არღვევს მაქსიმებს ან როგორც გრაისი ამბობს, მასხრად იგდებს, დასცინის მათ (Grice 1975: 345). მაგ:

X : Let's buy something for children

Y: But not i-c-e-c-r-e-a-m.

ამ შემთხვევაში, განგებ არღვევს ქვევის მაქსიმას (იყავი გასაგები) სიტყვა ნაყინის დამარცვლით. თუმცა, ამით იგი ამცნობს Y-ს, რომ მას არ უნდა ეს სიტყვა იხმაროს, რათა ბავშვებმა არ აიჩემონ.

ორივე სახის იმპლიკაცია დიდ ინტერესს იწვევს. შევეცდებით მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები სხვადასხვა მაქსიმების გამოყენებით, რაც კიდევ უფრო გასაგებს გახდის მათ შორის განსხვავებას.

### ***თვისობრიობის მაქსიმა***

The Israeli military said that it had killed 130 “ Hamas terror operatives” in the past two days, although there was no way to confirm that figure.

ეს არის პრაგმატიკულად ანომალური წინადადება, რადგან იგი ეწინააღმდეგება ტიპურ თვისობრიობის იმპლიკაციას, რომლის თანახმადაც, უნდა გვჯეროდეს, რასაც ვამტკიცებთ. როგორც წესი, თანამშრომლობის პირობებში, როცა ვინმე რაიმეს ამტკიცებს, იგულისხმება, რომ მას სჯერა, რასაც ამტკიცებს. შესაბამისად, როცა ვინმე გეკითხება, იგულისხმება, რომ მას გულწრფელად სურს უპასუხონ და ასევე შეიძლება ვთქვათ, რომ როცა ვინმე რაიმეს გაირდება, მას გულწრფელად აქვს განზრახული ასე მოიქცეს და შეასრულოს პირობა და ა.შ. ასეთი გამონათქვამების ნებისმიერი სხვა გამოყენება ყალბია და გამოიყენება იმისათვის, რომ განზრახ დაირღვეს თვისობრიობის მაქსიმა.

### ***რაოდენობრიობის მაქსიმა***

რაოდენობრიობის მაქსიმა წარმოადგენს სტანდარტული იმპლიკაციის მეტად საინტერესო მაგალითს. მაგალითად 9-15 იანვრის, 2009 The guardian weekly ნომერში ვკითხულობთ:

Israeli police said a total 520 rockets had been fired in the past 11 days of fighting.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოცემულ სტატიაში ზოგიერთი უზუსტობა იქნა დაფიქსირებული, შესაძლებელია ეს რიცხვი არ შეესაბამებოდეს სიმართლეს. რაოდენობრიობის მაქსიმის შესაბამისად (თქვი იმდენი, რამდენსაც გთხოვენ) რადგანაც ითქვა 520, ე.ი. სტატიის ავტორს განზრახული ქონდა ეცნობებინა, რომ 11 დღის განმავლობაში 520 რაკეტა იქნა გამოყენებული. რაოდენო-

ბრიობის მაქსიმა მოითხოვს მივაწოდოთ სრული ინფორმაცია. მაქსიმის მიზანია, პრაგმატიკული დასკვნის დამატებით წარმოდგენილი განცხადება იყოს, რაც შეიძლება, ძლიერი და ინფორმაციული. აღსანიშნავია, რომ ბევრ შემთხვევაში იმპლიკაცია შეიძლება გადმოიცეს მხოლოდ წინდებულის დამატებითაც კი. მაგალითად: Israeli police said a total 520 rockets had been fired **just** in the past 11 days of fighting.

### **რელევანტობის მაქსიმა**

შესაბამისობის მაქსიმა წარმოადგენს სტანდარტული იმპლიკაციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. იგი გულისხმობს ისეთ იმპლიკაციას, რომელიც შეესაბამება ახლანდელ დროს. მაგალითად:

- მომწოდეთ მარილი

გულისხმობს, რომ თქვენ გინდათ მოგაწოდონ მარილი ახლა.

ან კიდევ, გავიხსენოთ ერთხელ უკვე ნახსენები ცნობილი მაგალითი:

*X: რომელი საათია?*

*Y: მერძევე ქალი უკვე მოვიდა.*

მართებულია თუ არა Y-ის პასუხი, როცა იგი იძლევა ნაწილობრივ ინფორმაციას? თუ იგი მართებულია, მაშინ X-ის შეკითხვაზე Y-ს უნდა გაეცა ინფორმაციული პასუხი. ერთადერთი შესაძლებლობა, რომ ის პასუხი ჩავთვალოთ მართებულად, არის ის, რომ დავუშვათ, რომ X არის ისეთ პოზიციაში, რომ არ შეუძლია მიაწოდოს სრული ინფორმაცია, მაგრამ ფიქრობს, რომ მერძევის მოსვლა მისთვის საკმარისი ინფორმაციაა დროის გასაგებად. ზუსტად იგივე დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ უკვე განხილულ მაგალითზე ბილის შესახებ. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ თუ იმპლიკაცია არ იქნება აგებული მართებულობის საფუძველზე, მაშინ ბევრი ზემოთ მოყვანილი წინადადება შეიძლება ჩაითვალოს ერთმანეთთან დაუკავშირებლად.

### **მანერის მაქსიმა**

მანერის მაქსიმის შესახებ რამდენიმე განსხვავებული შესვლადეობა არსებობს. მაგალითად, მანერის მაქსიმის მესამე ქვემაქსიმის (იყავი კონკრეტული) გამოყენებით, ჩვენ თავს ვარიდებთ მარტივ გამონათქვამებს და

ვიყენებთ რთულს, არა სურვილისამებრ, არამედ იმიტომ, რომ დეტალები მართებულია ახლანდელ დროსთან მიმართებაში.

მაგალითად, ნაცვლად იმისა რომ ვთქვათ: „მიდი კარებთან, მოკიდე კარის სახელურს ხელი, გადაატრიალე და გამოქაჩე შენსკენ,” ჩვენ ვამბობთ: “გააღე კარები” და ამ წინადადებაში ყველა დანარჩენი ოპერაცია იგულისხმება.

როგორც ვხედავთ, სამეტყველო აქტის პროცესში მოსაუბრე ინფორმაციის გარკვეულ ნაწილს იმპლიციტურად გადასცემს მსენელს. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სამეტყველო აქტის ძირითადი აზრი სწორედ იმპლიციტურ დონეზეა კონცენტრირებული. ინფორმაციის იმპლიციტურად გადაცემის საკითხზე მკვლევარები ორ საპირისპირო აზრს გამოთქვამენ. კერძოდ, გრაისის მიმდევრები თვლიან, რომ როგორც ღვიინახეთ, ინფორმაციის იმპლიციტურად გადაცემა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრეს გარკვეული მიზეზების გამო არ სურს, ან არ ძალუძს სათქმელის ექსპლიციტურად გამოსატყუა. თუმცა, მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ინფორმაციის იმპლიციტური გზით გადაცემის მიზეზია არა მოსაუბრის სურვილი სათქმელის ქარაგმულად გამოსატყვისა, არამედ ენის უუნარობა მკვეთრად და ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცეს ინფორმაცია.

თუმცა, ჩვენ ვეთანხმებით ჯ. სერლის აზრს, რომ ენას ძალუძს ყველაფრის ზუსტად გამოსატყვა. დამატებით კი დავძენდით, რომ მოსაუბრე თავისი ნებით ირჩევს ინფორმაციის გადაცემის ხერხს და თუ იგი უპირატესობას სათქმელის გადაცემის იმპლიციტურ ხერხს მიანიჭებს, მაშინ, იგი, თავისთავად, გულისხმობს, რომ მსმენელი შეძლებს მოსაუბრის თქმულის სწორად გაგებას (Searle 1975:17).

იმპლიციტურად აზრის გამოსატყვის ერთ-ერთი ძირითადი სახეა მეტაფორა, მაგრამ ჩვენ აქ არ შევუდგებით მის დაწვრილებით განხილვას, მხოლოდ ავღნიშნავთ, რომ მეტაფორა არის აზროვნების ფორმა, რითაც მთქმელი ამბობს უშუალოდ იმას, რასაც გრძნობს; ის ამ სახით აღიქვამს სამყაროს, უფრო კონკრეტულად, იმ მოვლენას, რომელზეც საუბრობს. ნებისმიერი მეტაფორული იმპლიციტური გამონათქვამის დეკოდირების დროს მსმენელს უხდება, ერთი მხრივ, გამონათქვამის იმპლიციტური და ალუზიური შინაარსის გამოვლენა, ხოლო, მეორეს მხრივ, სიტუაციის ილოკუციური ძალისა და პერლოკუციური ეფექტის დადგენა სიტუაციის გათვალისწინებით. ზოგიერთი მკვლევარი კი იმპლიციტურ შინაარსს პრესუპოზიციის სახეობად თვლის. ჩვენ

ვეთანხმებით ფილმორს, რომელიც არასწორად მიიხნევს პრესუპოზიციისა და იმპლიციტური შინაარსის დონეების გაიგივებას. იგი თვლის, რომ პრესუპოზიციის ზოგად საფუძველს კონტექსტთან ერთად ერის მენტალიტეტი შეადგენს.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ გვინდა ავღნიშნოთ, რომ პრინციპებს, რომლებიც ქმნიან იმპლიკაციას, აქვთ ძალიან ზოგადი ახსნის ძალა, რაც გულისხმობს, რომ რამდენიმე პრინციპს შეუძლია ახსნას ცალსახად ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები და არაპირდაპირი პასუხის გაცემით შეიძლება შედგეს კომუნიკაცია.

გვინდა რამდენიმე სიტყვით ვახსენოთ გრიფინის რიტორიკული თეორია, სადაც იგი ამტკიცებს, რომ ბავშვებსა და მოზარდებს იმიტომ უჭირთ და არ უყვართ კითხვა, რომ ისინი ვერ ახერხებენ სტრიქონებს შორის დამალული კონვერსაციული იმპლიკაციის ამოკითხვას. ეჭვგარეშეა, გამოცდილ მკითხველსაც შეიძლება დაემართოს იგივე რომელიმე სოფისტიკური ტექსტის კითხვისას (Griffin 1977).

ვფიქრობთ, უნდა დავეთანხმოთ გრაისის მოდელს, რომელიც გულისხმობს იმპლიკაციის არსებობას ორ პიროვნებას შორის საუბრისას. რა თქმა უნდა, გაცილებით რთულია განვიხილოთ სტრუქტურა, სადაც ადგილი აქვს ირიბ მეტყველებას, ან მხატვრული ლიტერატურა, რომელიც გულისხმობს ავტორს, ან მხატვრული ტექსტის მოქმედს, მსმენელს, და მკითხველს. რადგანაც მხატვრული ტექსტი რთული მექანიზმია, ცხადია, არსებობს ბევრი საშუალება, რითაც შეიძლება გამოიხატოს ნაწარმოების გმირების საუბრის ქვეტექსტი. ეს უკვე ცდება ჩემი სადისერტაციო კვლევის ფარგლებს, ერთს კი ვიტყვით, რომ ჰანჩერის ვარაუდით, მხატვრულ ტექსტებში იმპლიკაცია ძირითადად თვისობრიობის მაქსიმის დარღვევით გამოიხატება. არსებობს მოსაზრება, რომ კონვერსაციული იმპლიკაციის სხვადასხვაობა განაპირობებს ლიტერატურულ უანრებს შორის არსებულ განსხვავებას. საერთოდ, კი შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურა სისტემატურად არღვევს გრაისის თანამშრომლობის პრინციპებსა და მის მაქსიმებს (Huncker 1977: 1095-96).



### 3. 2. თავაზიანობის მაქსიმუმი და კონვერსაციული პრინციპები მეტყველების აქტის თეორიაში

კომუნიკაციური ლინგვისტიკის შესწავლის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს სამეტყველო აქტების თეორია. გრაისმა უკვე დაამტკიცა, რომ ყოველდღიურ მეტყველებაში აუცილებელია თანამშრომლობის პრინციპების დაცვა, და რომ მათი დარღვევა იწვევს იმპლიციტური ინფორმაციის წარმოქმნას (Grice 1975). გრაისის ამ მოსაზრებას იზიარებს ჯეფ ლიჩი, რომელიც თვლის, რომ არსებობს თავაზიანობის პრინციპები. ამ პრინციპებს ქმნის მაქსიმთა ჯგუფი, რომელიც, ჯეფ ლიჩის მიხედვით, წარმოადგენს იმის განმარტებას, რა როლი აკისრია თავაზიანობას საუბრის მომენტში (Leech 1977).

ეს მაქსიმებია:

- 1) ტაქტიკის მაქსიმა
- 2) სულგრძელობის (კეთილშობილების) მაქსიმა
- 3) მოწონების მაქსიმა
- 4) თავმდაბლობის მაქსიმა
- 5) თანხმობის მაქსიმა
- 6) სიმპათიის მაქსიმა

ინტერეიუთა პრაგმატიკული ანალიზის პროცესში, რომლის მიზანი იყო კონვერსაციული იმპლიკაციის დადგენა, გაჩნდა ახალი ტერმინი იმიჯი, სახე, რომელიც გულისხმობს მოსაუბრის ლინგვისტურ და სოციალური რეალობის შეგრძნებას. მეტყველების ნებისმიერმა აქტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ შეგრძნებაზე და შესაბამისად გამოიწვიოს სახის, იმიჯის დაკარგვის საშიშროება. არსებობს თავაზიანობის ორი სახეობა: პოზიტიური და ნეგატიური.

პოზიტიური თავაზიანობა გულისხმობს, იყო შექებითი და გრაციოზული ადრესატის მიმართ (თუმცა, აუცილებელია ზომიერების დაცვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრესატი შეიძლება თავის თავში ჩაიკეტოს და არ გაიხსნას). დადებითი ნიშნავს, რომ გამოსატო კარგი განწყობა მოსაუბრის მიმართ.

ნეგატიური თავაზიანობა გულისხმობს რესპონდენტისათვის ინტერეიუერის მიერ საკუთარი შეხედულებების ძალად თავსმოსხვევის შესუსტებას. უარყოფითი ნიშნავს, რომ შეასუსტო ე.წ. მოტყუების მცდელობა.

ლინი ამტკიცებს, რომ ნებისმიერ სამეტყველო აქტისა და მათ შორის ინტერვიუს დროს, რესპონდენტი დგას საკუთარი „სახის“, იმიჯის დაკარგვის საშიშროების წინაშე. მაგალითისათვის ლინს განხილული აქვს უარყოფითი თავაზიანობის გამოხატვის რამდენიმე საშუალება:

- ა) პირდაპირი პასუხისგან თავის არიდება : mm... can you mm....close the window?
- ბ) პესიმიზმი: I don't think you can close the window, can you?
- გ) განსხვავების ჩვენება: Excuse me, would you mind closing the window, please?
- დ) ბოდიშის მოხდა: I am sorry to bother you, but could you close the window, please?
- ე) იმპერსონიზირება: All windows are ordered to be closed (Leech 1977).

ამ სტრატეგიების დარღვევის საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ ასეთი მაგალითი: უმუშევარი კაცი პოტენციურ დამქირავებელს ასე ესალმება: „უკეთილშობილეს კაცს ჩემი სალამი“.

შეიძლება ითქვას, რომ თავაზიანობის კონცეფციის ყველაზე უფრო საფუძვლიანი ანალიზი ეკუთვნით პენელოპე ბრაუნსა და სტეფან ლევინსონს. მათი ნაშრომი პირველად დაიბეჭდა 1978 წელს, ხოლო გავრცობილი ვარიანტი გამოვიდა 1987წელს. ამ მოდელში თავაზიანობა განმარტებულია, როგორც შემხვედრი მოქმედება, რომელიც მიმართულია იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედებების (Face Threatening Acts- FTA) შესარბილებლად და მათ შორის ბალანსის დამყარებისაკენ.

ბრაუნისა და ლევინსონის თეორიაში კომუნიკაცია დანახულია როგორც პოტენციურად საშიში და ანტაგონისტური ქმედება. ჩვენი აზრით, მათი თეორიის უპირატესობა ჯეფ ლინის თეორიასთან შედარებით ის არის, რომ ბრაუნისა და ლევინსონის განმარტებით თავაზიანობა ეფუძვნება ისეთ ფუნდამენტურ ცნებას, როგორიცაა ადამიანი. მოდელის ძირითადი ცნება არის „სახე“. ეს უკანასკნელი კი ასეა განმარტებული ზემოთ ხსენებული მკვლევარების მიერ: „წარმოდგენა საკუთარ თავზე, რომელიც საზოგადოების თითოეულ წევრს სურს სახალხოდ ჰქონდეს“ (Brown & Levinson 1978: 123). მათი ჩარჩოს მიხედვით სახე, იმიჯი შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტისაგან.

- ერთი, ეს არის ნეგატიური სახე, ანუ ტერიტორიის და მოქმედების თავისუფლებისა და ძალად თავსმოხვევის თავიდან აცილების

უფლება – სურვილი, რომ შენი ქმედებები არ იქნეს შეზღუდული და დარღვეული სხვის მიერ.

- მეორე, ეს არის დადებითი სახე, დადებითი წარმოდგენა საკუთარ თავზე, რომელიც ადამიანებს სურთ, რომ შეფასებული და მოწონებული იქნეს სხვების მიერ.

რაციონალურ საქციელს, რომელსაც ხალხი სჩადის იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ზემოთ ხსენებული იმიჯის ორივე სახეობა, ემატება თავაზიანობა. ბრაუნისა და ლევისონის მიხედვით კომუნიკაციისას, იქნება ეს ზეპირი თუ წერლობითი, ადამიანები ცდილობენ შეინარჩუნონ მათ მიერ შერჩეული იმიჯი (ibid 1978).

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვცდილობთ მოვარგოთ ჩვენი საუბარი სიტუაციას. ცხადია, მეგობრებთან საუბრისას ჩვენ ვიყენებთ ლექსიკას, რომელიც მიუღებელია უცხოებთან საუბრისას. შესაბამისად, არ ვიყენებთ ოფიციალურ სტილს მეგობრებთან საუბრისას. ორივე შემთხვევაში, ჩვენ ვცდილობთ ადრესატმა არ იგრძნოს თავი უხერხულად და არაკომფორტულად. იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედებები ის აქტებია, რომლებიც არღვევენ მსმენელის თვით-შეფასებას და სურვილს, რომ აფასებდნენ. თავაზიანობის სტრატეგიები სწორედ იმისათვის არსებობს, რომ თავი გაართვან იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელ ქმედებებს.

ბრაუნი და ლევისონი გამოყოფენ თავაზიანობის ოთხ სტრატეგიას:

- შეუღამაზებელი სტილი - იგი არ ამცირებს საფრთხეს, რომელიც ემუქრება მსმენელის იმიჯს (შენიშვნა, იქ სადაც ბრაუნი და ლევისონი ხმარობენ სახეს, ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „სტილი“);
- დადებითი თავაზიანობის სტრატეგია გვიჩვენებს, რომ მსმენელს სურს პატივს სცემდნენ. იგი, აგრეთვე, გვიჩვენებს, რომ ურთიერთობა არის მეგობრული და გამოხატავს თანაზიარობას;
- უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგია გვიჩვენებს, რომ თქვენ ცდილობთ მსმენელს ძალით მოახვიოთ თავს თქვენი აზრები. ამის მაგალითებია:  
„არ მინდა შეგაწუხოთ, მაგრამ . . .“ ან „მაინტერესებდა თუ . . .“
- არაოფიციალური სტრატეგია – მოიხსენით დაძაბულობა (ibid).

ზემოთქმული რომ უფრო გასაგები იყოს, განვიხილოთ ასეთი მაგალითი: წარმოიდგინეთ ხედავთ კათხა ლუდს მეზობლის სახლში. ძალიან გწყურიათ და ამბობთ:

- როგორ მინდა ლუდი;
- შეიძლება ლუდი დაგლიო?
- იმედია, ძალიან არ დაგასწრებთ, თუ გთხოვთ ლუდი დაგლიო;
- როგორ ცხელა, ძალიან მომწყურდა;

როგორც ხედავთ, ბოლო ვარიანტი წარმოადგენს დაუწერელი, არაპირდაპირი სტრატეგიის მაგალითს. იგი გვინგებებს, რომ თქვენ ცდილობთ თავი აარიდოთ იმიჯის შელახვის აქტს (FTA) –ს და პირდაპირ მოითხოვოთ ლუდი. გირჩევნიათ აჩვენოთ მსმენელს, რომ გსურთ და შემოგთავაზონ.

ეს სტრატეგიები უნივერსალური არაა – ისინი მეტნაკლებად ერთნაირად არ გამოიყენება სხვადასხვა კულტურებში. მაგალითად, ზოგიერთ აღმოსავლეთის ქვეყანაში დაუწერელი, არაპირდაპირი სტრატეგია ვადღებულს გახდის თქვენს მსმენელს გაჩუქოთ ნებისმიერი რამე, რაც კი მოგეწონებათ. ისე, როგორც საქართველოში, ვცილობთ არ გამოვხატოთ ძალიან დიდი აღფთოვანება საგნებისადმი მასპინძლის ოჯახში, რათა იძულებული არ გახდეს იგი გგაჩუქოს ჩვენს მიერ მოწონებული ნივთი.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ თავაზიანობის სტრატეგიების ქვეკატეგორიები:

#### **შეულამაზებელი სტილი:**

- სასწრაფო, გადაუდებელი - *Help!*
- ამოცანაზე ორიენტირებული –*Give me!*
- თხოვნა- *Put your jacket away!*
- გაფრთხილება –*Have the lights on while driving!*

#### **დადებითი თავაზიანობა:**

- ყურადღება მსმენელისადმი –*You must be hungry. What about lunch?*
- მოერიდე დაუთანხმებლობას- a) *What do you think. Is it small?*  
ბ) *Yes, mm...not small but not really big.*
- გამოხატე თანხმობა – *So, when are you coming to see us?*
- პირდაპირი აზრის გამოხატვისაგან თავის არიდება –*You must try harder.*

**უარყოფითი თავაზიანობა:**

- იყავი არაპირდაპირი: *I am looking for a pen.*
- ითხოვეთ პატიება –*Forgive me but, , ,*
- მინიმალურად შეამცირე ძალით შენი აზრების თავსმოსხვევა- *I just wanted to ask you, can I use your computer.*
- ისაუბრე მრავლობითში – *We forgot to say that yesterday was the deadline for the application.*

**არაოფიციალური სტრატეგია:**

- ისაუბრე გადაკრულად – *It's a bit cold.*
- იყავი ბუნდოვანი – *Somebody must have been more responsible.*
- იყავი სარკასტული ან იხუმრე – *Oh, he is real Einstein.*

როგორც ვხედავთ, ჯეფ ლინი, პენელოპე ბრაუნი და სტეფან ლევინსონი ამტკიცებენ, რომ ადამიანები საუბრისას ცდილობენ დაიცვან თავაზიანობის მაქსიმები, რაც ეთანხმება კონვერსაციული იმპლიკაციის მაქსიმთა კანონზომიერებას, მათი დარღვევა კი ქმნის ინტერვიუს ქვეტექსტურ განზომილებას. საუბრისას ადამიანები ხშირად შეგნებულად არღვევენ ამ მაქსიმებს, რათა არ დაკარგონ მათთვის სასურველი იმიჯი საზოგადოების თვალში, ან მიაწოდონ მსმენელს დაფარული ინფორმაცია (Leech1977; Brown & Levinson 1978).

ყოველივე ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ინტერვიუ ჟურნალისტ სტივ კორპთან გადაცემაში „60 წუთი“. ბილ კლინტონი ცდილობს შეინარჩუნოს მის მიერ შერჩეული დადებითი იმიჯი და იყენებს დადებითი თავაზიანობის სტრატეგიას. ჟურნალისტის შეკითხვაზე, როგორ მოხდა, რომ არავინ იცოდა მისი მძიმე ბავშვობის შესახებ, იგი იჩენს ყურადღებას მსმენელისადმი და ერიდება დაუთანხმებლობას. ამიტომაც, პასუხობს:

“I don't think I was conscious of it in the beginning. But at some point, when I had moved to Hot Springs, and we just kept having these violent incidents in our home, and I realized that I never talked about it,” recalls Mr. Clinton. “And as far as I know, nobody knew about it. I became aware it was a conscious decision that my mother and I had made to carry on. ... Yeah, carry on, and just go on and try to make a normal life.” [www.cbsnews.com/stories/2004/](http://www.cbsnews.com/stories/2004/)

ანუ იგი ამბობს, რომ თავდაპირველად, როცა პოტ სპრინგში გადავიდნენ საცხოვრებლად, ალბათ, არც კი ჰქონდათ გააზრებული, მაგრამ გადაწყვიტეს არასოდეს ესაუბრათ იმ ძალადობაზე, რასაც მათ სახლში ჰქონდა ადგილი.

როგორც ჩანს, ბილ კლინტონი ყოველთვის ახერხებდა კონვერსაციული იმპლიკაციის მაქსიმთა დაცვას, რადგან მისი საუბრებიდან ვერაფერს ამოიცნო, რა ხდებოდა სინამდვილეში მის სახლში, სანამ მან თვითონ არ განაცხადა ამის შესახებ. იმავე გადაცემაში ჟურნალისტმა აღნიშნა:

Mr. Clinton never told any of his friends what was going on at home. As he writes in his book, from his childhood into his adult years in politics, he has lived “two parallel lives” – the public one everyone knew about, and a dark secret one he says he never talked about (ibid).

პოლიტიკურ ინტერვიუთა პრაგმატიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად პოლიტიკოსები დგანან იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედებების წინაშე. თავაზიანობის სტრატეგიები კი სწორედ იმისათვის არსებობს, რომ თავი გაართვან იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელ ქმედებებს.

### 3. 3. პოლიტიკურ ინტერვიუთა პრაგმატიკული ანალიზი

#### 3. 3. 1 თავაზიანობის სტრატეგიები და იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედებების ჯაკერისეული ტაქსონომია

გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ პოლიტიკოსთა უმეტესობა “ორჭოფუღია” ინტერვიუს მიცემის დროს. აღმოჩნდა, რომ პოლიტიკოსები ძირითადად „არაპირდაპირ” , „ორჭოფულ“ პასუხებს იძლევიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერ ახერხებენ დადებითი ან უარყოფითი პასუხი გასცენ ელემენტარულ შეკითხვას, რომელიც პასუხად „დიახ” ან „არას” მოითხოვს. ანუ იწვევენ შეკითხვის პრესუპოზიციას ან ილოკუციურ ძალას. ეს ყველაფერი კი იმისთვისაა განკუთვნილი, რომ პოლიტიკოსები თავიანთი პასუხებით ცდილობენ წარმოაჩინონ თავიანთი დადებითი სახე და ეს უკვე კარგად გამოცდილი და აპრობირებული მეთოდია, რომელიც საკმაოდ კარგად მუშაობს. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკოსებს ირჩევენ მათი შესხედულებების პოპულარობის საფუძველზე, ან პიროვნული პოპულარობის საფუძველზე. ანუ, ჩვენ ვირჩევთ მათ ვინც მოგვწონს, ან ვისი სურვილებიც ემთხვევა ჩვენს სურვილებს. ასე, რომ პოლიტიკოსთა საქმიანობის ნაწილია თავი მოგვაწონონ. სწორედ ამ უნარით გახდა ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ტონი ბლეარი თავის დროზე ისეთი პოპულარული.

მაგალითისათვის განვიხილოთ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლეარის ინტერვიუ BBC --ის ჟურნალისტთან დევიდ ფროსტთან, გადაცემაში „საუზმე ფროსტთან”, რომელიც ჩაწერილია 2000 წლის 16 იანვარს. განვიხილოთ ინტერვიუ პრაგმატიკული თეორიების გათვალისწინებით. კერძოდ, გრაისის თანამშრომლობის პრინციპების, ლიჩის თავაზიანობის მაქსიმუმის, ჯაკერის სახე და მის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები გოფმანის მიხედვით, და ბრაუნისა და ლევენსონის შესხედულებების გათვალისწინებით (Grice 1975: 45-49; Leech 1983, Jucker 1986: 64-65; Goffman 1967, Brown & Levinson 1978).

პოლიტიკური ინტერვიუს დროს რესპონდენტი ძალაუბრებურად დგას რისკის წინაშე. თუ ჩვენ მოცემულ შემთხვევაში დავაკვირდებით კორესპონდენტის დევიდ ფროსტის სიტყვებს, დავინახავთ, რომ იგი იყენებს ბრაუნისა და

ლევინსონის მიერ შემოთავაზებულ თავაზიანობის სტრატეგიებს (Brown & Levinson 1987: 131).

**იყავი პირდაპირი** - შეულამაზებლად, ყოველგვარი შესწორების გარეშე შეკითხვები ასე შეიძლება დაისვას:

მაგ. 1 - დ. ფ. (იგულისხმება დევიდ ფროსტი): რა შეგიძლიათ გააკეთოთ ამისათვის?

მაგ. 2 - ტ. ბ. ( ტონი ბლერი) რატომაც არა?

მაგ. 3 - დ. ფ. რამდენი გასულ წელთან შედარებით?

მაგ. 4 - ტ. ბ. დღეიდან 5 წლის შემდეგ?

მაგ. 5 - დ. ფ. და ეს მართალია?

ფაქტიურად აქ მოყვანილი მაგალითები არის ყველაზე უფრო გავრცელებული სტრატეგია. რადგანაც ეს ფროსტის საკუთარი პროგრამა იყო, სადაც რესპონდენტს საშუალება ჰქონდა გამოეთქვა თავისი შეხედულებები, აქ ძალაუფლება იხრება ჟურნალისტის სასარგებლოდ. ასე, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრს გაცილებით მეტი ძალაუფლება ჰქონდა რეალურ ცხოვრებაში, გადაცემაში ძალთა თანაფარდობა შებრუნებულია.

**იყავი კონვენციურად (conventionally) არაპირდაპირი** - ამ სტრატეგიის გამოყენებით მოსაუბრე ცდილობს წარმოაჩინოს მსმენელის უარყოფითი სახე.

მაგ. 6 - თუ შეიძლება დავიწყოთ სამი ციტატით, რომელიც კრიზისს ეხება . .

მაგ. 7 - რა შეგიძლიათ დაიფიცოთ?

ეს შეკითხვები, ფაქტიურად, პასუხს არც მოითხოვენ. მათ თავაზიანობისათვის აქვთ შეკითხვის ფორმა. რადგანაც, მართლაც რომ წარმოუდგენელია, რომ პრემიერ-მინისტრს უარი ეთქვა ციტატების წაკითხვაზე.

**შეკითხვა/ პირდაპირი პასუხისგან თავის არიდება**

მაგ. 8 - როგორ ფიქრობთ, ამ მოწვევის პარლამენტის ბოლოს შეგეძლებათ კვლავ მიიღოთ 512,000 ხმა?

სტრატეგიები, რომელსაც ფროსტი იყენებს შეიძლება ვთქვათ, რომ შეესაბამება იმ სტრატეგიებს, რასაც ბრაუნი და ლევინსონი (ibid 1978) „არაიძულო“-ს სახელით მოიხსენიებენ. თუ კორესპოდენტი აიძულებდა პრემიერ-მინისტრს მიეცა ხალხისთვის რაიმე დაპირება, ეს სერიოზულად დააზიანებდა მის დადებით სახეს და მთლიანობაში მის პოლიტიკურ მომავალს.



ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სტანდარტული იმპლიკაცია, მაქსიმუმის აბუნად აგდება, პასუხზე პირდაპირ თავის არიდება, კონვერსაციული იმპლიკაციის დარღვევა და მაქსიმთა შორის კონფლიქტები შედარებით იშვითია. უფრო გავრცელებული და დამახასიათებელი არის დადანაშაულება არათანამშრობლობით საუბარში. არც ერთ პოლიტიკოსს არ სურს დაადანაშაულონ იგი არათანამშრობლობით საუბარში. მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პოლიტიკოსის იმიჯისათვის. თავაზიანობის მაქსიმები იშვიათად ირღვევა, მაშინ როდესაც თანამშრომლობის მაქსიმუმის დარღვევა დამახასიათებელია პოლიტიკური დისკურსისათვის.

პრაგმატიკა, ანუ „ენა გამოყენებაში“, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ ლინგვისტურ ნაშრომებში, სწავლობს როგორც ზეპირ, ასევე წერილობით მეტყველებას. ზეპირი მეტყველების პრაგმატიკული ანალიზის ინტერესის სფერო მოიცავს ენის ყველა კომპონენტს, დაწყებული წარმოთქმიდან, სიტყვების შერჩევითა და წინადადების სტრუქტურით დამთავრებული. ტექსტის პრაგმატიკული ანალიზი გვიჩვენებს, როგორ ხდება მეტყველების ორგანიზება მოქმედის მიერ. საუბრის არასწორი ორგანიზაცია იწვევს დადებითი იმიჯის დაკარგვის საშიშროებას.

ინტერვიუს პრაგმატიკული ანალიზისასთვის აქვე განვიხილოთ ჯაკერის მიერ შემოთავაზებული 13 საშუალება, რომელიც რესპონდენტს დადებითი იმიჯის დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენებს:

1. რესპონდენტის მომდევნო ქმედება
  - ა. იმოქმედე (A)
2. რესპონდენტის აზრი
  - ა. ჩამოაყალიბე შენი აზრი (B)
  - ბ. დაამტკიცე, დაადასტურე შენი აზრი (C)
  - ც. აღიარე სხვადასხვაობა შენს შეხედულებასა და საქციელს შორის (D)
  - დ. აღიარე სხვადასხვაობა შენს შეხედულებასა და რეალობას შორის (E).
3. წარსული ქმედება, რომელიც ასოცირდება რესპონდენტთან
  - აღიარე, რომ შენი საქციელის მიზეზი იყო დამამცირებელი(F)
  - თქვი, რომ ეს საქციელი დამამცირებელია (G)
  - დაადასტურე საქციელი წინარე ცოდნით, რომ ის დამამცირებელია (H)

- აიღე პასუხისმგებლობა ამ საქციელზე წინარე ცოდნით, რომ ეს უკვე მოხდა და დამამცირებელია ( D)
- გაამართლე ეს საქციელი წინარე ცოდნით, რომ შენ ხარ პასუხისმგებელი ( J)
- იმოქმედე ( K)
- 4. სხვისი იმიჯი
  - თქვი რომ სხვისი იმიჯი დამამცირებელია ( L)
- 5. რესპონდენტის იმიჯი
  - აღიარე, რომ შენი საკუთარი იმიჯი დამამცირებელია ( M) (Jucker 1986: 77) ( იხ. სქემა № 8).

მოცემული ხერხები და საშუალებები დაეხმარება კორესპონდენტს მიიღოს პასუხი სასურველ კითხვაზე, ისე, რომ თავად კორექტული დარჩეს.

იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელ ქმედებებს ჯაკერი ასე მოიხსენიებს: Face Threatening Acts –FTA. განვიხილოთ, რამდენად წონადია **FTA**. ჯაკერის მიხედვით FTA –ის კლასიფიცირება სიძლიერის მიხედვით ასე შეიძლება ჩამოავალიბოთ:

- პირველი ჯგუფი ნაკლებ სერიოზულია, ვიდრე მეორე. თუკი პოლიტიკოსი ვერ შეძლებს აიღოს ვალდებულება რამე გააკეთოს, მაშინ ამან შეიძლება გადასწიოს D–ის თქმის თარიღი-„აღიარე სხვადასხვაობა შენს შეხედულებასა და საქციელს შორის“. მაშასადამე, A –ის მეორე ჯგუფთან შედარებით ნაკლები წონა აქვს, რადგან მისი სწრაფად შესრულება ნაკლებ სავარაუდოა.
- მეორე ჯგუფი, რომელიც შეხედულებებს ეხება, ნაკლებ სერიოზულია, ვიდრე მესამე, რომელიც უფრო კონკრეტულ ხასიათს ატარებს.

ჯაკერი თვლის, რომ იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედებების მეოთხე და მეხუთე ჯგუფები „უფრო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს იმიჯის წინააღმდეგ, რადგანაც მეოთხეში რესპონდენტს თხოვენ კომენტარი გააკეთონ სხვისი იმიჯის შესახებ, ხოლო მეხუთეში-საკუთარი იმიჯის შესახებ.“

ბრაუნი და ლევისონი **FTA –ის** წონადობის გამოსათვლელად გეთავაზობენ შემდეგ ფორმულას:


$$Wx = D (S, H) + P (H, S) + Rx$$

$$Wx = \text{FTA –ის ძალა ( წონადობა)}$$

$$D (S, H) = \text{სოციალური დისტანცია მოქმელსა და მსმენელს შორის}$$


$P(H, S)$  = მსმენელის შეფარდებითი ძალა მოსაუბრე სუბიექტზე  
 $R_x$  = ძალად თავსმოხვევის კლასიფიკაცია კონკრეტული კულტურის  
გათვალისწინებით (Brown & Levinson 1978, 77-78) (იხ. სქემა № 9).

იმიჯისათვის საფრთხის  
შემქმნელი ქმედებების ჯაკ-  
ერისეული ტაქსონომია



სქემა №9

იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელი ქმედების (FTA)  
ქონალობის გამოსათვლელი ფორმულა



განვიხილოთ, რამდენი საშუალებაა გამოყენებული აღნიშნულ ინტერვიუში. კოდი, რომელიც ასოთია აღნიშნული, გვიჩვენებს, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება მათ მიერ გამოყენებული საშუალებები.

მაგ. 10 –დფ: ( იგულისხმება დევიდ ფროსტი) რა დაპირება შეგიძლიათ მისცეთ ექიმებსა და კონსულტანტებს ინფლაციის გაველენის შემცირების შესახებ? (A)

მაგ. 11 –დფ: როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ თქვათ, რომ ამ მოწვევის პარლამენტის დასასრულს, თქვენ შეძლებთ 5129 ციფრით შეამციროთ მომლოდინე პაციენტთა რიგები? (A)

როგორც ვხედავთ, ფროსტი აიძულებს ბლერს დადოს პირობა – რომლის შესრულების გარანტიაც, რა თქმა უნდა, არ არსებობს.

განვიხილოთ სხვა მაგალითებიც:

მაგ. 12 –დფ: .... მაშასადამე 21 მილიონი მცირდება 10.9 მილიონამდე და შემდეგ კიდევ უფრო შემცირდება როდესაც მას 4 ბილიონი გამოაკლდება

ტბ ( იგულისხმება ტონი ბლერი): [ჰმ]

დფ: და ეს არის პრობლემა. როდესაც თქვენ აქ ამბობთ “ „ბლერის 15 ბილიონი ჯანმრთელობის სამსახურში” ეს უღერს, როგორც დიდი ახალი ამბავი, არა?

ტბ: მმ, მე არ, მე არ, მე არ მინდა ვთქვა, ბევრი ისეთი რამ რაც შემდეგ ჩემთვისაც გასაოცარი აღმოჩნდება, მაგრამ ერთი რამ კი უდავოა, რომ ჩვენ ვდებულობთ დამატებით რესურსებს ჯანმრთელობის სფეროსათვის . . . (E)

Aston University, Aston Triangle, Birmingham B4 7ET, United Kingdom

ეს მაგალითი უნდა განვიხილოთ კონტექსტში- დისკუსიაში ფროსტმა წარმოგვიდგინა სტატისტიკა, რომელიც ეხება მთავრობის მიერ გაწეულ ხარჯებზე ინფლაციის გაველენას. ამ კონტექსტის იმპლიკაცია გახლავთ ის, რომ ბლერის განაცხადები არ ასახავს სინამდვილეს. საინტერესოა, რომ ბლერი დაბნეულად სცემს პასუხებს დასაწყისში, როცა იგი პირისპირ აწედება იმიჯის საფრთხის შემქმნელ შეკითხვებს (FTA). ახლა კი გავაგრძელოთ განხილვა:

მაგ: 13 დფ: ხალხის 69 % ამბობს, რომ მომლოდინე პაციენტთა რიცხვი არ მცირდება, არ მცირდება . . . და რა შეგიძლიათ გააკეთოთ ამისათვის . . . ახლა? (I)

Aston University, Aston Triangle, Birmingham B4 7ET, United Kingdom

ფროსტს უნდა დაგვანახოს, რომ ჯანდაცვის სფეროში არსებობს პრობლემა და პრემიერ-მინისტრისათვის ამ შეკითხვების დასმით, იგი პასუხისმგებლობას მას აკისრებს.

როგორც ვხედავთ, ჯაკერის მიერ შემოთავაზებული ცამეტი საშუალებიდან ფროსტი იყენებს რამდენიმეს, რაც საფრთხეს უქმნის პრემიერ-მინისტრის სახეს და საკმაოდ წარმატებულად. ამიტომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯაკერის მიერ შემოთავაზებული ელემენტები ხელს შეუწყობს კორესპონდენტს ინტერვიუს წარმატებით ჩატარებაში (ibid 1986).

### 3.3.2. რესპონდენტის მზაობა ინტერვიუსათვის

პოლიტიკოსებისათვის პოლიტიკური ინტერვიუ წარმოადგენს მათი დადებითი იმიჯის შექმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკოსებს ხომ მათი შეხედულებებისა და აზრების პოპულარობის მიხედვით ირჩევენ.

პოტენციური რისკი, რომლის წინაშეც დგანან პოლიტიკოსები, პოლიტიკურ დისკურსში პოლიტიკოსები თავიანთ სახეს მხოლოდ ინტერვიუერს კი არ წარუდგენენ, არამედ გაცილებით უფრო დიდ აუდიტორიას – მსმენლებსა და მკითხველებს და ხშირად მთელ ერს ან კიდევ სულაც მთელ მსოფლიოს.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკოსები მართლაც დგანან საფრთხის წინაშე. პოლიტიკურ ინტერვიუთა ერთგავარად „მუქარის შემცველი“ ბუნება ნაწილობრივ ეწინააღმდეგება ლიჩის თავაზიანობის პრინციპს „თავმდაბლობის მაქსიმა“ (Leech after Jacker 1986: 65). ეს პრინციპი ირღვევა იმით, რომ ისინი ხშირად იქებენ საკუთარ თავს და აქებენ საკუთარ შეხედულებებს. ფაქტიურად, ლიჩის ყველა პრინციპი ირღვევა პოლიტიკურ ინტერვიუთა დროს. ბრაუნისა და ლევისონის მიხედვით, ეს ითვლება არა უბრალოდ მაქსიმის დარღვევად, არამედ სტრატეგიად, რომელიც მაშინ გამოიყენება, როცა ვდგავართ არჩევანის წინაშე – მოქმედის სახე შევინარჩუნოთ თუ მსმენელის. საჭიროება, შევინარჩუნოთ მოქმედის სახე, უფრო მეტია და გადასწონის საჭიროებას, შევინარჩუნოთ მსმენლის სახე (Leech 1983; Brown & Levinson 1978).

როდესაც რესპონდენტი საუბრობს, მან იცის, რომ შეკითხვები და შეხედულებები, რასაც კორესპონდენტი გამოთქვამს, აუცილებელი არაა მისი პირადი მოსაზრება იყოს. ამიტომაც, მას შეუძლია იოლად შეეწინააღმდეგოს ან უარყოს მის მიერ წარმოთქმული იდეები იმ იმედით, რომ ამით შეურაცხყოფას არ მიაყენებს მსმენელს. კორესპონდენტი არის ე.წ. „გამხმოვანებელი“ და „ავტორი“ მაგრამ არა „მოთავარი“ (Goffman 1967).

პოლიტიკოსებს ხშირად ადანაშაულებენ, რომ პასუხს არ სცემენ შეკითხვებს. მაგრამ ეს, თუ შეიძლება ითქვას, საკამათო ტერმინია, რადგან პასუხის არგაცემით ისინი დაკარგავენ თავიანთ სახეს საზოგადოების თვალში.

ენახოთ მაგალითი, როგორ ახერხებს ამას ტონი ბლეერი:

მაგ. 14 – დღ : როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამის გაკეთებას ამ



მოწვევის პარლამენტის დასრულებამდე?

ტბ: მე არ ვაპირებ რაიმეს წინასწარ თქმას იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას შევძლებთ ჩვენ ამ მოწვევის პარლამენტის დასრულებამდე.

Aston University, Aston Triangle, Birmingham B4 7ET, United Kingdom

ამ შემთხვევაში იმიჯის დაკარგვის საფრთხე არის ის, რასაც ტონი ბლეერი ძალიან სარისკოდ თვლის. კერძოდ, პირობის გატეხვა, რაც დააზიანებს მის პოლიტიკურ კარიერას.

იმის გათვალისწინებით, რომ პასუხი აუცილებლად უნდა იქნეს გაცემული, შემდეგი ტაქტიკა, რასაც პრემიერ მინისტრი იყენებს, ეს არის ლიჩის მიერ შემოთავაზებული არაოფიციალური სტრატეგია. ეს კი თავისთავად იწვევს გრაისის მაქსიმუმის დარღვევას (Grice 1975: 45-49).

მაგ. 15 – დფ: რა შეგიძლიათ გააკეთოთ ეროვნული ჯანდაცვის დასახმარებლად . . . ამჟამად?

ტბ: უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა მივიღოთ უფრო მეტი საწოლები ინტენსიური პალატებისათვის

დფ: მმ .....

ტბ: და ჩვენ უკან უნდა დავაბრუნოთ ექთნები. და ჩვენ სწორედ ამას ვაკეთებთ, მაგრამ მმმ მე არ მე არ ვაპირებ დაფჯდე აქ და ვთქვა, რომ პრობლემები არ არის ჯანდაცვაში, რადგანაც არის და ეს არის ერთ-ერთი მიზეზი რატომაც აგვირჩიეს ჩვენ, რომ ვცადოთ და გამოვასწოროთ ეს საკითხები. და ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო ძალიან მძიმე სიტუაცია. ჩვენ (პაუზა) ორი წელია ჯანდაცვის სფეროში საკმაოდ მცირე დაფინანსება გვაქვს. (პაუზა) ჩვენ ამ სფეროში ჩავდეთ ოდნავ მეტი ფული, ვიდრე კონსერვატორებმა (პაუზა) მაგრამ ძალიან ცოტა (პაუზა), რადგანაც ამ ორ წელიწადში ჩვენ მოგვიხდა გაგვესტუმრობინა ის სესხები, რაც მემკვიდრეობით მივიღეთ(პაუზა) 30 მილიონი აქედან . . .

Aston University, Aston Triangle, Birmingham B4 7ET, United Kingdom

აქ მას აწვევებებს ფროსტი. პასუხის სიგრძე აშკარა ნიშანია იმისა, რომ დაირღვა გრაისის რაოდენობრიობის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც უნდა იყო იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ამას შენგან მოითხოვენ (Grice 1975). აქვე შეიძლება ითქვას რომ დაირღვა მართებულობის მაქსიმა. კერძოდ, მართებული იყო კონსერვატორების სესხების ხსენება აქ? საუბრის იმპლიკაცია ისაა, რომ ეროვნული ჯანდაცვის სფეროში სიტუაცია რთულია და იოლად ვერ გადაიჭრება. აქ კარგად ჩანს, რომ ბლევერი თავიდან ცდილობს პირდაპირ პასუხის გაცემას, მაგრამ შემდეგ უხვევს თემიდან. ამ გადახვევების დამადასტურებელია კავშირის „მაგრამ“ ხშირი ხმარება. მისი ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ბლერისათვის ეს დამახასიათებელი ტაქტიკაა. განვიხილოთ სხვა მაგალითი:

მაგ. 16 –ტბ : . . . მაგრამ (პაუზა) მე თუ ვფიქრობ შევინარჩუნოთ ბალანსი ( პაუზა), რადგან თუ ჩვენ (ჰმ) წავიკითხავთ ბოლო დღეების გაზეთებს, ვიფიქრებთ, რომ არავის გაწევია სამედიცინო სამსახური ბოლო დროს.

მაგ. 17 –ტბ: სხვა არა, მაგრამ ჩემი შეხედულება ამ საკითხზე არის ის, რომ . . .

მაგ. 18- ტბ: მაგრამ, თუ ალტერნატივას შევხედავთ, ვფიქრობ ხალხი ამასთან დაკავშირებით ძალიან, ძალიან ფრთხილად უნდა იყოს . . . (ibid).

თითოეული ”მაგრამის” ხმარებით ბლევერი უხვევს პირდაპირი პასუხისაგან. ეს კი იწვევს რაოდენობრიობის მაქსიმის დარღვევას. ენობრივი თვალსაზრისით კავშირის „მაგრამ“ გამოყენება სხვადასხვაგვარ ფუნქციას ასრულებს. კორესპონდენტი იყენებს მას საუბრის ან წინადადების დასაწყისში და გამოხატავს არ დათანხმებას. ხოლო, რაც შეეხება რესპონდენტისაგან მის გამოყენებას, ამ კავშირით რესპონდენტი გვიჩვენებს, რომ რაღაც სხვა საკითხს უფრო მნიშვნელოვნად თვლის და მეტ ყურადღებას უთმობს. იმპლიკაცია, რომელიც რაოდენობრიობის მაქსიმის დარღვევით მიიღება, ძლიერდება ზემოთ განხილული კავშირისათვის „მაგრამ“ უკვე ნახსენები ფუნქციის მინიჭებით.

ბლევრის კიდევ ერთი ჩვევა, რომელიც კარგად ჩანს უკვე ნახსენებ 15-16 მაგალითში არის ნელი საუბარი და ხშირი პაუზები. ამის დასტურია მე-19 მაგალითიც:

მაგ. 19 – დფ: კარგით, მაგრამ რატომ?

ტბ: ნება მომეცით ჯერ დავამთავრო ის, რაზეც ჩვენ

წელს გადავდივართ ( პაუზა), რომ დაგარწმუნოთ,  
რომ (პაუზა) ჩვენ არ შევაფერხებთ ფასიან  
ჯილდოებს ექთნებისათვის და ექიმებისათვის(პაუზა)  
და მე არ ვისაუბრებ ახლა დეტალებზე (პაუზა).  
ჩვენ გვეყოლება დაახლოებით 60 ათასი (პაუზა) E  
დონის ექთანნი, რომელთა ხელფასების გაზრდაზე  
გამოიყოფა ათასი ფუნტი (ibid).

ნელი და მკაფიო საუბრით ბლექერი ცდილობს, დაანახოს ფროსტს, რომ  
არ სურს შეაწყვეტინონ. ეს მაგალითი კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს პოზიციას,  
რომ ბლექერი არღვევს რაოდენობრიობის მაქსიმას და ამით ცდილობს  
შეინარჩუნოს დადებითი იმიჯი.

და ბოლოს, უპასუხა მან შეკითხვას? გაართვა თავი საფრთხეს,  
რომელიც მის იმიჯს ემუქრებოდა თუ უბრალოდ თავი აარიდა? ჩვენ ვფიქრობთ,  
რომ ის გარკვეულწილად პასუხობს შეკითხვებს, თუმცა არაპირდაპირად.

დაუბრუნდეთ მე-12 მაგალითს, სადაც ბლექერი ზიანს აყენებს თავის  
დადებით იმიჯს იმის მტკიცებით, რომ მას არ ესმის იმ სტატისტიკისა,  
რომელიც ფროსტმა წარუდგინა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მან აქ დაარღვია  
თვისობრიობის მაქსიმა. მართალია ამ პასუხის იმპლიკაცია ისაა, რომ ფული არ  
იქნება საკმარისი, ქვეტექსტი ამ მაგალითისა ისაა, რომ ბლექერის პოლიტიკა  
არაეფექტურია.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბლექერი დასაწყისში ბუნდოვან პასუხებს  
იძლეოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ახერხებს მახვილსიტყვაობას კონსერვატორთა  
ხარჯზე:

მაგ. 20 - ტბ: კიდევ ერთი საკითხი, რასაც მე ხალხს ვეუბნები,  
ისაა, რომ მათ მადლობა არ უნდა მითხრან  
ეკონომიკაში სარისკო ნაბიჯების  
გადადგმისათვის.(პაუზა) რადგანაც, თუ ჩვენ ამას  
გავაკეთებთ ჩვენ ისევე დავამთავრებთ როგორც  
კონსერვატორები, ანუ ჩავვარდებით ისეთ  
სიტუაციაში, როცა კონსერვატორების მსგავსად  
არა თუ წინსვლას შევძლებთ, არამედ ვერ  
შევძლებთ სოციალური სფეროს დაფინანსებასაც კი (ibid).

აქაც, მან იარჩია სტრატეგია, რითაც დაარღვია რაოდენობრიობის მაქსიმა.

ინტერვიუს კითხვისას, ცხადია, დაგვებადა შეკითხვა: პასუხობს კი ერთხელ მაინც პრემიერ-მინისტრი შეკითხვას პირდაპირ? და ვიპოვეთ მაგალითი, სადაც ბლევერი პირდაპირ სცემს პასუხს დასმულ შეკითხვას.

მაგ. 21 – დფ : შესაძლებელია, რომ მომავალ კვირაში სოფელში  
წახვიდეთ?

ტბ: არა, მე არ ვაპირებ სოფელში წასვლას მომავალ  
კვირას. ( იცინის) (ibid).

ეს შეკითხვა საფრთხეს არ უქმნის ბლევერის იმიჯს და ისიც ამიტომაც თამამად აძლევს პირდაპირ პასუხს.

როგორც მოსალოდნელი იყო, იმ შემთხვევაში, როცა პრემიერ-მინისტრის იმიჯს არაფერი ემუქრება, ისიც საკმაოდ პირდაპირი პასუხების გაცემის სტრატეგიას ირჩევს: „ნება მომეცი დავამთავრო“, „მე უბრალოდ გეტყვით, რომ“ „დამიჯერეთ“ ან „გვესმის“. ეს შეუღლამაზებელი დირექტივები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტს არ ჭირდება პირფერობა.

განხილული ინტერვიუდან ჩანს, რომ კორესპონდენტები იყენებენ სხვადასხვა ტექნიკას რათა საფრთხე შეუქმნან რესპონდენტის იმიჯს. მაგრამ რესპონდენტებიც, შესაბამისად, ცდილობენ თავი აარიდონ საფრთხეს, რაც ხშირად მათ ორჭოფულ პასუხებს იწვევს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლიტიკურ ინტერვიუთა კონტექსტი და საფრთხე, რომელიც რესპონდენტის უარყოფით სახეს ემუქრება, ასეთ “ორჭოფობას” გარდაუვალს ხდის.

### 3. 4. ინტერვიუს იმპლიციტური შინაარსის გამოსავლენად გამოყენებული ხერხები და საშუალებები

დისერტაციაში ანალიზისათვის წარმოდგენილია პოლიტიკური ინტერვიუები, როგორც ქართული, ისე ინგლისური ჟურნალ-გაზეთებიდან, რადგან ვთვლით, რომ მათში ყველაზე კარგად ჩანს ინტერვიუს როგორც ტექსტის ქვეტექსტური განზომილება. ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ პოლიტიკოსს უფლება აქვს არ უპასუხოს შეკითხვას. თუმცა, უარის თქმა პასუხის გაცემაზე იშვიათია, რადგან მსმენელი პუბლიკა ამ ტაქტიკას საეჭვოდ ორჭოფულად მიიხსენებს. ამიტომ, იშვიათია შეკითხვები, რომლებიც უპასუხოდ რჩება, და რომელთაც ზოგადად „კომენტარის გარეშე“ ტიპის პასუხები შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა კორესპონდენტი თვლის, რომ რესპონდენტმა სულ სხვა პასუხი გასცა და არ უპასუხა მის მიერ დასმულ შეკითხვას.

ამასთან, პოლიტიკოსმა შეიძლება დაარღვიოს მაქსიმა. ამის მაგალითად ძალიან ხშირად ასახელებენ ნიქსონის ცნობილ პასუხს, რომელიც მან გასცა 1972 წელს შეკითხვაზე, თეთრი სახლის მონაწილეობის შესახებ ვოტერგეიტის გაძარცვაში. ნიქსონმა უპასუხა, რომ თეთრ სახლში ამჟამად მომუშავე არც ერთი პირი მონაწილეობას არ ღებულობდა ძარცვაში. ამ შემთხვევაში ნიქსონმა აშკარად დაარღვია რაოდენობრიობის მაქსიმა. ნაცლად იმისა, რომ დაეცვა მოთხოვნა „იყავი იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ეს საჭიროა საუბრის კონკრეტულ მომენტში“, მან აღნიშნა ისეთი დეტალი (თეთრ სახლში ამჟამად მომუშავე არც ერთი პირი), რომელიც გულისხმობდა რომ თეთრი სახლის ყოფილმა თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. მაგრამ, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა ასეთი აშკარა რისკის გაწევა, ასე ვთქვათ, გამოგიჭირონ პასუხში, იშვიათია.

მაგალითად, აშშ ყოფილი პრეზიდენტი, ბილ კლინტონი ვერ ახერხებს პირდაპირი პასუხის გაცემას კითხვაზე, თვლის თუ არა მონიკა ლევინსკისთან ურთიერთობას ყველაზე საშინელ რამედ, რაც კი ცხოვრებაში ჩაუდენია.

But was the affair the worst thing he's ever done? "In my whole life? Oh, I don't know," says the former president. "I think I've talked about that a lot in

the book. And I think I've said enough about my personal life. And I think I've honestly tried to say more about my life than I believe any public figure ever has. And probably more than anyone ever should. And I think I'll leave it at that.” [www.cbsnews.com/stories/2004/](http://www.cbsnews.com/stories/2004/)

მოცემული ნაწევრის პრაგმატიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი აშკარად არღვევს თანამშრომლობის მაქსიმას, რომელიც მოითხოვს ინფორმაციის ისე მიწოდებას, როგორც ამას შენგან მოითხოვენ. ბილ კლონტონი, კი საუბარს იწყებს იმაზე, თუ რამდენად გახსნილია იგი თავის ინტერვიუებში, და რომ არც ერთ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეს იმდენი არ უსაუბრია თავის პირად ცხოვრებზე, რამდენიც მას. ეს კი ბუნებრივად იწვევს მანერის მაქსიმის დარღვევას, რაც გულისხმობს იყო ზუსტი და კონკრეტული, რათა თავიდან აიცილო გაურკვეველობა და ბუნდოვანება.

### 3.4.1. ნაცვალსახლთა გამოყენების სიხშირე

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკური დიალოგისას ნაცვალსახელების გამოყენების არჩევანი სცილდება გრამატიკულ პირს, რიცხვსა და სქესს.

ნაცვალსახელები შეიძლება არჩეული იქნეს სხვადასხვა მიზეზით, რომელიც აისახება ფორმარულ ან კატეგორიალურ დონეზე; ისინი შეიძლება ფუნქციობდნენ კომუნიკაციურად იმისათვის, რომ გამოამჟღავნონ მთქმელის დამოკიდებულება, სოციალური მდგომარეობა, სქესი, მოტივაცია და ა.შ.

მაგალითად, განვიხილოთ ნაცვალსახელის „ჩვენ“ გამოყენება. ექსტრემალურ შემთხვევაში „ჩვენ“ შეიძლება იყოს უფრო ექსკლუზიური, ვიდრე ინკლუზიური. ექსკლუზიურობის მაგალითია დედოფალ ვიქტორიასა და მარგარეტ ტეტჩერის ცნობილი გამონათქვამი: „ჩვენ ვერ ვერთობით“ და „ჩვენ ახლა ბებია ვართ.“

ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამი “We shall fight them on the beaches”, თავისთავად ექსკლუზიურია, იმის გათვალისწინებით, რომ ჩერჩილს ამ სიტყვების თქმის დროს უკვე შეკვეთილი ჰქონდა ბილეთები კანადაში გადასაფრენად.

ახლა განვიხილოთ კორესპონდენტის მიერ „მე“-ს გამოყენება, და რესპონდენტის მიერ „თქვენ“-ის გამოყენება, როცა იგი გულისხმობს პირადად კორესპონდენტს. ჟურნალისტური კოდექსის მიხედვით, სასურველია ჟურნალისტი მოერიდოს „მე“-ს ხშირ ხმარებას, რადგან იგი ინტერვიუს ზედმეტად პერსონიზირებულს ხდის. არსებობს რამდენიმე სიტუაცია, სადაც მიზანშეწონილია „მე“-ს გამოყენება:

1. მართვის პროცესში

- სატელეფონო პრობლემების ახსნა-განმარტებისას
- ერთი რესპონდენტიდან მეორეზე გადასვლისას
- რესპონდენტის ადგილმდებარეობის განმარტებისათვის

2. ახსნა-განმარტების პროცესში

- ისეთი გამოთქმების ხმარებისას, როგორიცაა: I mean. . I see ან I know”.
- აგრეთვე, I am talking about . . .

3. ციტირებისას


- პირდაპირი ციტირებისას, „ხალხი იტყვის, რომ მე“. . .
- გამოთქმისას „მე ციტირებას ვაკეთებ“. . .

რესპონდენტის მიერ „თქვენ“-ის გამოყენება, როცა იგი კორესპონდენტს პირადად გულისხმობს. ინტერვიუთა პრაგმატიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ

- ყველაზე ხშირად (54%) ნაცვალსახელი „თქვენ“ გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის „ერთის“ სინონიმად.
- 18% -ის შემთხვევაში მასში იგულისხმება არა მარტო კორესპონდენტი, არამედ აუდიტორიაც.
- სამეტყველო კონვენციების დროს, როგორცაა „you know“ და „if you ask me“ – 10%

როგორც უკვე დავინახეთ, ნაცვალსახელთა გამოყენებისას სასურველია კორესპონდენტი უნდა მოერიდოს „მე“-ს გამოყენებას. ასევე, რესპონდენტიც, საუბრობს მრავლობით რიცხვში, თუ იგი პირადად საკუთარ თავზე არ ლაპარაკობს (იხ. სქემა №10 ).

შურნალისტის მიერ პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენების შესაძლო შემთხვევები





### 3.4.2. გამონათქვამის ხანგრძლივობა

ნებისმიერი პოლიტიკური ინტერვიუს ანალიზისას აშკარად დაინახავთ, რომ რესპონდენტისა და ჟურნალისტის საუბრის ხანგრძლივობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება – რესპონდენტის საუბარი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. თუ რესპონდენტის პასუხი ძალიან გაგრძელდა, მაშინ ჟურნალისტს დაადანაშაულებენ იმაში, რომ მან ნება დართო რესპონდენტს ბოროტად გამოეყენებინა მედია თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. თუ ჟურნალისტის სიტყვის ხანგრძლივობაა დიდი, მაშინ მას დაადანაშაულებენ იმაში, რომ მან ნება არ მისცა რესპონდენტს გამოეხატა თავისი აზრი.

ინტერვიუს პრაგმატიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საუბრის ხანგრძლივობა არის ერთ-ერთი საშუალება გამონათქვამის ქვეტექსტური განზომილების გამოსააშკარავებლად.

ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტის საუბრის სიგრძე, სიჩუმე, პაუზათა რაოდენობა და ხშირი ჩარევა ჟურნალისტის მხრიდან, საშუალებას იძლევა ამოვიცნოთ დაფარული ინფორმაცია, ანუ კონვერსაციული იმპლიკაცია. კერძოდ, რესპონდენტის ქცევაზე გავლენას ახდენს შემდეგი ასპექტები:

- შეკითხვის სიგრძე (გრძელი შეკითხვა სავარაუდოდ მოითხოვს გრძელ პასუხს) მაგალითად,
  - ფონური სიგნალები (პერიოდული „მმ...“, „დიახ“, „მესმის“, „გასაგებია“ ახანგრძლივებენ პასუხს)
  - გადამდები რეაქცია (რესპონდენტები ხშირად ისევე იქცევიან, როგორც ჟურნალისტი: თუ იგი პოზიტიურადაა განწყობილი, ისიც შესაბამისად რეაგირებს და ა.შ)

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა:

ჟურნალისტს, რომელსაც მიღებული აქვს შესაბამისი ინსტრუქცია, შეუძლია მოახდინოს საუბრისას ვარირება, გააძლიეროს ან შეასუსტოს გავლენა

რესპონდენტზე და როგორც კი იგი შეწყვეტს გავლენის ტაქტიკას, რესპონდენტი დაუბრუნდება თავის საკუთარ პოზიციას. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი საშუალება, რითაც კორესპონდენტს შეუძლია გავლენა მოახდინოს რესპონდენტის პასუხის ხანგრძლივობაზე, არის უბრალოდ ჩარევა მის საუბარში.

ჯაკერის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შედარებისას ჩანს, რომ ჟურნალისტები გაცილებით მეტ დროს უთმობენ საკუთარ შეკითხვებს დღესდღეობით, ვიდრე 1986 წელს. თუმცა, აქ თავს იჩენს მეტყველების აქტთა თეორია. თუ ჩვენ შეკითხვად აღვიქვამთ მხოლოდ კითხვით წინადადებას, მაშინ შეიძლება სხვა შედეგი მივიღოთ, მაგრამ როგორც ინტერვიუთა ანალიზიდან ჩანს, ზოგჯერ მტკიცებითი წინადადებაც შეიძლება გამოყენებული იქნეს პასუხის პროვოცირებისათვის, რადგანაც ინტერვიუს დროს ხშირად ხდება წინადადებათა ტიპების გადაფარვა მათი ფუნქციების წინა პლანზე წამოწევით (Jacker 2003). ხშირად შეკითხვა ან გამონათქვამი შეიძლება გაგებული იქნეს როგორც განაცხადი ან პირიქით. ამის მაგალითია ე.წ. კუდიანი შეკითხვა. აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტს ბილ კლინტონს უჭირს პირდაპირი პასუხი გასცეს შეკითხვას მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებით.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ნაწყვეტი ბილ კლინტონის ინტერვიუდან:

“I’ve thought about it a lot. And there are lots of more sophisticated explanations, more complicated psychological explanations. But none of them are an excuse. I have to say that over and over again, because I know that people will raise Cain about that. But only a fool does not look to explain his mistakes. People should try to understand why they did the things they did, shouldn’t they?”

[www.cbsnews.com/stories/2004/](http://www.cbsnews.com/stories/2004/)

ამ შემთხვევაში შეკითხვის კუდი shouldn’t they? არის ერთგვარად რიტორიკული შეკითხვა, რომელიც პასუხს არც მოითხოვს. საერთოდ, კუდიანი შეკითხვის ადგილი გარკვეული არ არის, იგი თითქოს შუაში დგას შეკითხვასა და მტკიცებით წინადადებას შორის. ჩვენი აზრით, იგი არის ერთგვარი საშუალება, მტკიცებითი წინადადება მოვათავსოთ შეკითხვაში. სწორედ ასე ვხედავთ ჩვენ განსხვავებას ამ ორ წინადადებას შორის: „ის სულელია, არა?“ და „ის სულელია?“ ამ ორი წინადადების პრაგმატიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირველ შეკითხვაში დაირღვა გრაისისეული ქცევის მაქსიმა, რაც გულისხმობს: იყავი კონკრეტული, იყავი ზუსტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოქმედი ცდილობს

დაფარულად მოგვაწოდოს ინფორმაცია ვინმე N –ზე და გვაიძულოს დავეთანხმოდ, რომ იგი სულელია.

ჩვენი აზრით, ინტერვიუერის მიერ ლავირება უნდა იყოს თითქმის შეუძლებელი. ჯაკერი ამ მინიმალურ შემწევადობას ასე ახასიათებს:

„ინფორმაციული ინტერვიუ ეს არის ისეთი ტიპის ინტერვიუ, სადაც მკაცრად შეზღუდული რასაც მონაწილეები იტყვიან და სადაც, გამონათქვამი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც შეკითხვა ყოველგვარი ექსპლიციტური გასაღების (clues) გარეშე” (Jucker 1986: 75).

ჟურნალისტები ხშირად იყენებენ თხრობით წინადადებას ან კუდიან შეკითხვას შეკითხვის ფორმით, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტს შეეძლოს წარმართოს ინტერვიუ თხრობითი წინადადებების გამოყენებით. ინტერვიუთა პრაგმატიკული ანალიზი გვჩვენებს, რომ შეკითხვის აღქმა ხდება სპეციფიური დისკურსის გამოყენებით, რომელიც გულისხმობს განაცხადის ფორმისა და შეკითხვის ფორმის კომპონენტების გაცვლას სოციალურ ქმედებათა კოჰერენტულობისათვის.

ეს პროცედურა შედგება სამი ოპერაციისაგან:

**- თხრობითი წინადადებების დაფენა შეკითხვის ქვეშ**

დავუბრუნდეთ Georgian Times-ის 2008 წლის 7-14 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ფრიდონ დოჩიას ინტერვიუ ცნობილ რუს ფილოსოფოსთან ალექსანდრე დუგინთან.

ფ.დ.: - კიდევ ერთხელ გიმეორებთ: კადრებში, რომლებიც ჩვენ ხელში ჩაგვივარდა, ოს გოგონას ეკითხებიან, ვინ არიან ქართველები. ის პასუხობს – ქართველები ცუდები არიან და ა. შ. რას იტყვით ამაზე?

ჩვენი აზრით, ამ წინადადებების წამდგარება სამ ფუნქციას ასრულებს:

1) მოელენის აღწერა

ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია კორესპონდენტებისათვის, როდესაც ისინი ქმნიან ფონს.

2) საკმაოდ რთული საკითხის დასმა

აქ ლაპარაკია იმის აღიარებაზე, რომ დუგინი ხელს უწყობს სეპარატიზმის გაღვივებას ორ ერს შორის.

3) პერსპექტივის წარმოჩენა

აქ იგულისხმება მოვლენათა შესაძლო განვითარება. მაგალითად, ჟურნალისტის შეკითხვა იმავე ინტერვიუში „საქართველო რომ ნეიტრალური გახდეს, მაშინაც დაუჭერთ მხარს აფხაზ და ოს სეპარატისტებს?“ (Georgian Times 7-14 08.08)

- მრავლობით პირში საუბარი

ეს საკმაოდ გავრცელებული ფორმაა, როდესაც რესპონდენტი განაცხადს აკეთებს რომელიმე ორგანიზაციის სახელით. მაგალითად, ამავე ინტერვიუში ალექსანდრე დუგინი აცხადებს:

- ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ოსური და აფხაზური სეპარატიზმი სხვაგვარად იქნება განხილული. ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოზე ატლანტიკური გავლენა ძლიერდება და მასზე რეაგირებას ვახდენთ ისე, როგორც შეგვიძლია (Georgian Times 7-14. 08 08).

ასევე ხშირად გამოიყენება პირველი პირის მრავლობითი რიცხვი. შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტის მიერ პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობით რიცხვში საუბარი არღვევს დისკურსის წესებს. ამიტომ ხშირად ხდება დაზუსტება შეკითხვით: Do you mean me personally or ..... ან კიდევ, well it's you that does that not me... რაზეც როგორც წესი პასუხი ასეთია: you know what I meant, ან კიდევ, I do know what you meant.

ეს ფაქტი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ პოლიტიკოსები, როგორც წესი პირად საკითხებზე ინტერვიუს იშვიათად იძლევიან. ისინი იმ ბლოკს ან გაერთიანებას გულისხმობენ, რომელსაც წარმოადგენენ. თუმცა, ძალიან ხშირად, პირადი კონფლიქტის ან გაუგებრობის დროსაც კი ისინი ამჯობინებენ მრავლობით პირში ისაუბრონ. საილუსტრაციოდ ვნახოთ ნაწევები მოძრაობა „თეთრების“ ლიდერის თემურ შაშიაშვილის ინტერვიუდან, რომელიც მან გაზეთ ქრონიკას მისცა იმის თაობაზე, რომ მინსკიდან დაბრუნებისას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მებაჟეებმა უკანონოდ შეამოწმეს. იგი აცხადებს, რომ ისინი ეძებდნენ მთავრობის მაკომპრომიტებელ კასეტებს.

გაზეთ ქრონიკის ჟურნალისტი: როდის აპირებთ ამ კასეტების გამოქვეყნებას?

თ. შ. ( მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი): ჩვენ მოვიწვევთ გაზეთის რედაქტორებს,

პოლიტიკური პარტიების ლიდერებს და იქ

გადაწყდება ყველაფერი. ეს მოხდება  
დაახლოებით ერთ კვირაში. ამჟამად კასეტები  
ექსპერტიზას გადის ევროპაში. ვაპირებთ ცოტა  
ხანში ჩავიდეთ. ეს იქნება ძალიან სერიოზული  
რამ! თუ ქართველებს ხელვა არ დაგვიბლაგვდა,  
ამის მოსმენის შემდეგ ყველაფერი სხვაგვარად  
უნდა იყოს. (ქრონიკა №43 (410) 2-8.10.09)

### **III. შერბილება**

საუბრის ტონის შერბილება არის ყველაზე ნაკლებად გავრცელებული ამ  
საბი პროცედურიდან. კორესპოდენტები გამოხატავენ თავიანთ აზრს, მაგრამ  
„ურბილესი ტერმინოლოგიით, რათა უმნიშვნელოდ ჩაერიონ სტუმრის საუბარში და  
ხელი არ შეუშალონ მათ იყვნენ ბუნებრივები”

როგორც წინა თავში ავღნიშნეთ, რესპონდენტმა იცის, რომ კორესპოდენტის  
გამონათქვამები ხშირ შემთხვევაში უნდა გავიგოთ, როგორც შეკითხვა. საიდან  
ვიცი ეს? იმისათვის, რომ მართებული ვიყო ინტერვიუს, როგორც სასაუბრო  
ჯანრის წინაშე, მართებულობის მაქსიმის გათვალისწინებით (ითანამშრომლე  
მართებულად) ეს გამონათქვამები აუცილებლად არიან შეკითხვები. ჟურნალისტის  
გაუთავებელი რეპლიკებიც კი ითვლება შეკითხვად. ამიტომ, რესპოდენტმა იცის,  
რომ კორესპოდენტის გამონათქვამი, თუნდაც მას არ ქონდეს კითხვითი  
წინადადების ფორმა, უნდა აღიქვას როგორც შეკითხვა.

კვლევებმა დაგვანახა, რომ ჟურნალისტები ცდილობენ იყვნენ ნეიტრალური  
და არ გამოიყენონ მკაცრი შეფასებები, მაშინაც კი, როდესაც მათი შეხედულება  
რადიკალურად განსხვავდება რესპონდენტის შეხედულებისაგან.

მაგალითად, იმავე ინტერვიუში, ჟურნალისტის შეკითხვაზე, ცნობს თუ არა  
რესპონდენტი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, დუგინი აცხადებს:

რუსეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო,  
იმიტომ, რომ ჩვენ ბირთვული იარაღი და უზარმაზარი  
რესურსები გაგვანია. ამერიკის შეერთებულ  
შტატებსაც შეუძლიათ იყვნენ დამოუკიდებლები. მთელი  
ევროპა შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ  
საქართველოს არ შეუძლია იყოს ასეთი. იგი ან აშშ-ის  
ან ევრაზიულ სახელმწიფოთა კონტროლქვეშ იქნება.  
მოხარული ვიქნებოდით საქართველო ყოფილიყო  
თავისუფალი, დამოუკიდებელი, მეგობრული და

ნეიტრალური ქვეყანა, მაგრამ მან არჩევანი უკვე  
გააკეთა. ახლა იგი ნატოს მხარესაა და ამით რუსეთის  
მტრის პოზიციაზე იმყოფება.

ცხადია, ჟურნალისტისათვის მიუღებელია დუგინის შეხედულება, მაგრამ იგი  
იძულებულია თავი შეიკავოს მკაცრი კომენტარებისაგან და მხოლოდ ასეთი  
შეკითხვის დასმით შემოიფარგლა:

უფრო სწორად რომ ვთქვათ, თქვენ გსურთ საბჭოთა  
კავშირის აღდგენა (Georgian Times 7-14/08 2008).

ამ რეპლიკით კორესპონდენტი ცდილობს, თავი აარიდოს დუგინის პირ-  
დაპირ დადანაშაულებას საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის შეცვლის  
მცდელობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი შეეცადა დაეცვა მართებულობის  
მაქსიმამ, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს დადანაშაულება იმპლიციტურად  
მოსდა.

გარდა ამისა, პოლიტიკოსები არდევნენ მაქსიმებს, ან სხვა სიტყვებით  
რომ ვთქვათ, ვერ ასრულებენ მაქსიმებს იმისათვის, რომ ეფექტი მოახდინონ. რა  
თქმა უნდა, მსმენელს უნარი აქვს გამოიცნოს საუბარში ჩადებული ქვეტექსტი  
და საერთოდ, რესპონდენტიც და კორესპონდენტიც ცდილობენ არ გამოიწვიონ  
გაუგებრობა მსმენელში.

ხშირია შემთხვევები, როცა პოლიტიკოსი აწყდება კონფლიქტს  
მაქსიმთა შორის. ამის მაგალითია ბრიტანეთის ჯანმრთელობის ყოფილი  
მინისტრის სტეფან დორელის პასუხი შეკითხვაზე ეროვნული ჯანდაცვის თუ  
რომელი სამსახურები უნდა იქნეს პრივატიზებული და რა პროპორციით:

22. შეკითხვა: გასაგებია, მაგრამ თქვენ მაინც არ გსურთ პასუხი  
გასცეთ შეკითხვას

23. პასუხი: არა, კარგი, მე გეუბნები, კარგი, მე გაპასუხობთ  
იმით, რომ ვამბობ, რომ ამას მნიშვნელობა არა აქვს,  
და მე ვამბობ, რომ მე არ ვიცი პასუხი, რადგან ამას  
მნიშვნელობა არა აქვს. (Sunday, 7-14.11.2001).

ამ შემთხვევაში ბ-ნი დორელი დგას მართებულობის მაქსიმასა და  
რაოდენობრიობის მაქსიმას შორის არსებული შეუთანხმებლობის წინაშე. თუკი  
იგი დაიცავს რაოდენობრიობის მაქსიმას და უპასუხებს შეკითხვას, მაშინ იგი  
დაარღვევს მართებულობის მაქსიმას, რადგან არამართებულია სწორი პასუხი  
გასცე ასეთ დელეკატურ შეკითხვას, მაშინ როცა შენ პარტიას საკითხი ჯერ არ  
გადაუწყვეტია.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სტანდარტული იმპლიკაცია, მაქსიმუმის აბუჩად აგდება, პასუხზე პირდაპირ თავის არიდება, კონვერსაციული იმპლიკაციის დარღვევა და მაქსიმთა შორის კონფლიქტები შედარებით იშვითია. უფრო გაგრძელებული და დამახასიათებელი არის დადანაშაულება არათანამშრომლობით საუბარში. არც ერთ პოლიტიკოსს არ სურს დაადანაშაულონ იგი არათანამშრომლობით საუბარში. მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პოლიტიკოსის იმიჯისათვის.

შეიძლება არც კორესპონდენტს, არც რესპონდენტს და მით უმეტეს, არც აუდიტორიას, არასოდეს გაუგონია გრაისის სახელი, მაგრამ მაგრამ ჩვენ ყველას გვაქვს თანდაყოლილი უნარი შევაფასოთ თანამშრომლობითი საუბრის პრინციპები. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მაქსიმები აკონკრეტებენ რა უნდა გააკეთონ მონაწილეებმა იმისათვის, რომ ისაუბრონ მაქსიმალურად ეფექტურად, რაციონალურად და თანამშრომლობითად: ამისათვის მათ უნდა ილაპარაკონ „გულწრფელად, მართებულად და გასაგებად საკმარისი ინფორმაციის ფარგლებში“ (Grice 1975: 100).

იმის მიჩნევა, რომ ეს ასე არ არის, იწვევს დაძაბულობას როგორც რესპონდენტში, ისე კორესპონდენტში და იწვევს „მტრობას“ ინტერვიუს პროცესში. ასეთ შემთხვევაში რესპონდენტი დგება იმიჯის (სახის) დაკარგვის საფრთხის წინაშე.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურას იმიჯის შესწავლის საკითხში წარმოადგენს გოფმანი. იგი ასე განმარტავს სახეს:

„დადებითი სოციალური ფასეულობა, რომელსაც პიროვნება აქტიურად მოითხოვს თავისთვის და რომელსაც სხვების მტკიცებით იგი იღებს პიროვნული კონტაქტებით“ (Goffman 1969: 154).

გოფმანი ამტკიცებს, რომ იმიჯის შენარჩუნება ორმხრივი პროცესია და დამოკიდებულია ინტერაქციაზე. ეს არის ვერბალური თამაში, რომელიც კონკურენტუნარიან თანამშრომლობას გულისხმობს. მედია იმიჯი ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკოსებისათვის და ამიტომ, ისინი ძალიან ფრთხილად არიან ინტერვიუს დროს. ხშირად ამაზეა დამოკიდებული მათი არჩევნების მომავალი. ჟურნალისტები კი, თავის მხრივ, მუდმივად მოკამათეს როლში გამოდიან და საწინააღმდეგო და არაპოპულარულ თვალსაზრისს იცავენ რათა კამათი უფრო ცხარე გახადონ ან მოწინააღმდეგეს ინფორმაცია დასტყუონ.

### 3.4.3 იმიჯის სახეობა ბრაუნისა და ლეინსონის მიხედვით

გოფმანის კონცეფციის მიხედვით ბრაუნმა და ლეინსონმა წარმოგვიდგინეს იმიჯის ორი სახეობა:

#### 1. უარყოფითი

სურვილი, იყოს ხელშეუხებელი, გქონდეთ პიროვნული დამოუკიდებლობა, არავითარი ზედმეტი ყურადღება, რაც ნიშნავს ყოველგვარი ზეწოლისაგან თავისუფლებას.

#### 2. დადებითი

სურვილი, იყოს დაფასებული, რაც, აგრეთვე მოიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობით გამყარებულ დადებით პიროვნულ სახეს (Brown P. & Levinson, S. 1978).

ნაშრომში განხილულია ორი სინტაქსური კატეგორია, რომელიც დაგვეხმარა ინტერვიუს როგორც ტექსტის ქვეტექსტური განზომილების დადგენაში.

#### 1. შეზღუდული დიახ/არა შეკითხვა და კონკრეტული Wh შეკითხვა;

ჩვენი აზრით, ასეთი ტიპის შეკითხვები არის პირადაპირი შეტევა უარყოფით იმიჯზე, რადგანაც ისინი ზღუდავენ რესპონდენტს მაშინ, როცა მას შეიძლება უბრალოდ სურდეს გააკეთოს ძალიან ზოგადი მონახაზი ესკიზისა.

#### 2. ბრძანებითი ინტონაციით წარმოთქმული შეკითხვები

აშკარაა, რომ რესპონდენტმა გარკვეულწილად გვერდზე გადადო თავისი ამბიციები და დროებით დათმო უარყოფითი იმიჯი, როცა ინტერვიუზე დათანხმდა. კონვენციური არაპირდაპირი შეკითხვები, როგორიცაა “როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ მითხრათ?” არაა შესაფერისი, თუმცა ბრძანებითი ინტონაციით წარმოთქმული შეკითხვები წარმოადგენენ გამონაკლისს და ვთვლით, რომ საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

ინტერვიუს პრაგმატიკულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტექსტის ქვეტექსტური განზომილება შეიძლება ამოვიკითხოთ იმ შემთხვევებში, როცა კითხვაზე პასუხის თავიდან აცილების მიზნით რესპონდენტი ასორციელებს ორი სახის შეტევას. ესენია:

#### 1. შეტევა შეკითხვაზე

- ინფორმაციის წყარო



- შეკითხვის მართებულობა საკითხთან მიმართებაში
- შეკითხვის შესაფერისობა კონტექსტთან მიმართებაში

2. შეტევა ჟურნალისტზე

- ჟურნალისტის როლის დამცირება
- საზოგადო შეტევა კონკრეტულ მედიაზე
- ჟურნალისტის პირადი კრიტიკა

გამოკვლევებმა გვინვენა, რომ შეკითხვაზე აგრესიის გამოხატვა უფრო გავრცელებულია, ვიდრე ჟურნალისტზე.

აგრესიის გამოხატვა შეკითხვის ინფორმაციის წყაროს მიმართ ძალიან ხშირია, რადგან იგი ხაზს უსვამს, რომ ჟურნალისტი უბრალოდ გამხმოვანებელია და მეტი არაფერი. ამასთან, იგი ნაკლებად ქმნის იმიჯის შეღახვის საშიშროებას, ვიდრე სხვა რომელიმე სახის შეტევა.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ნაწყვეტი გაზეთ „ქრონიკაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან:

ქრონიკის ჟურნალისტი: - ბატონი თენგიზი ამბობს, რომ თქვენ გავიწროებდათ მანანა არჩვაძე, მოსაკლავად დაგდევდათ იმ პერიოდში და ამიტომ გაგიშვათ უცხოეთში.

კონსტანტინე გამსახურდია: - არა, მანანა არჩვაძე მოსაკლავად ნამდვილად არ დამდევდა, თუმცა, როდესაც დააპატიმრეს „მხედრონის“ წევრები, იმ პერიოდში ცალკეული პირებისგან, რომლებიც გადაურჩნენ დააპატიმრებას, იყო მუქარები. როგორც ხედავთ, ბატონი სიგუა თავისი ჩვეული მანერით მარჯვედ ცვლის ფაქტებს თავის სასარგებლოდ.

(ქრონიკა №43 (410) 2-8 11. 2009).

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებში ჩანს, რომ იშვიათია კონტექსტიდან ამოვარდნილი შეკითხვების დასმა. ნებისმიერი გადახრა კითხვა-პასუხის ფორმატიდან იწვევს ტექსტის სახეობის შეცვლას. როგორც ეს კარგად ჩანს ამ რეპლიკაში: „ჩვენ ინტერვიუ გვაქვს თუ ვკამათობთ? ნუ აურევთ, დამისვით შეკითხვები“.

ასევე შეიძლება ვთქვათ, რომ საკმაოდ იშვიათია ჟურნალისტის პერსონალური კრიტიკა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა რესპონდენტი არ ეთანხმება ჟურნალისტს, იგი თავს იკავებს კორესპონდენტის პირდაპირ დადანაშაულე-

ბისაგან. მაგალითად, საქართველოს ექს-პრემიერი ბატონი თენგიზ სიგუა თავის უკმაყოფილებას იმით გამოხატავს, რომ აწვევტინებს ჟურნალისტს:

გ.ზ. (ქრონიკის ჟურნალისტი): თქვენ გამოდიოდით და ადანაშაულებდით, რომ არ შლიდა კოლმეურნეობებს. არადა, ხომ ნახეთ, როგორ დაიტაცეს ხალხის ქონება?

თ. ს. (ყოფილი პრემიერ-მინისტრი): მოიცა, მოიცა ..... ეგ შეთანხმებული იყო.....

(ქრონიკა №43 (410) 2-8 11. 2009)

ჟურნალისტები მკაცრად იცავენ თავიანთ როლს ინტერვიუს დროს. ამ სახის დარღვევა ყველაზე ხშირად ხდება მულტი-ინტერვიუს დროს, ანუ იმ დროს, როცა ჟურნალისტი რამდენიმე რესპონდენტს ესაუბრება ერთდროულად და ზოგჯერ რომელიმე მათგანი ერთგვარ საუბარში ჟურნალისტს და აწვევტინებს შეკითხვას, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებული დოქტრინით მიუღებლად ითვლება.

ნებისმიერი პოლიტიკური ინტერვიუს ანალიზისას აშკარად დავინახავთ, რომ რესპონდენტისა და ჟურნალისტის საუბრის ხანგრძლივობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება – რესპონდენტის საუბარი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. თუ რესპონდენტის პასუხი ძალიან გაგრძელდა, მაშინ ჟურნალისტს დაადანაშაულებენ იმაში, რომ მან ნება დართო რესპონდენტს ბოროტად გამოყენებინა მედია თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. თუ ჟურნალისტის სიტყვის ხანგრძლივობა იქნა დიდი, მაშინ მას დაადანაშაულებენ იმაში, რომ მან ნება არ მისცა რესპონდენტს გამოეხატა თავისი აზრი.

### 3. 5. ინტერვიუს ეთიკა და მისი ენობრივი რეალიზაცია

ვერც ერთი სხვა თვისება, რომელსაც შეიძლება ფლობდეს ადამიანი, ვერ მისცემს მას შესაძლებლობას ისეთი სისწრაფით გაიკეთოს კარიერა და მიაღწიოს აღიარებას, როგორც კარგი საუბრის თვისება. არსებობს ერთგვარი დაუწერელი კანონები, რომელთა დაცვა აუცილებელია ინტერვიუს წარმართვისას. კერძოდ, თავაზიანობის გამოხატვის საშუალებები

- მიმართვისას სათანადო რეგისტრის დაცვა
- რეპონდენტის თვალსაზრისის მიუღებლობისას, საკუთარი პოზიციის კორექტულად გამოხატვა

მაგალითად, გაზეთ “ასავალ-დასავალის” №18 ნომერში დაიბეჭდა მიმართვა, რომლითაც იწყება გაზეთის ინტერვიუ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან.

“ბატონო ედუარდ, გიდასტურებთ ჩემს პატივისცემას და მოგმართავთ, როგორც სიმართლის მსახური და ადამიანის ღირსებისა და უფლებათა სადარაჯოზე მდგარი პოპულარული და ავტორიტეტული გაზეთის გამომცემელი და მთავარ რედაქტორი .....” (ასავალ-დასავალი №18(763) 4-10 05.09).

როგორც ვხედავთ, რეგისტრი დაცულია. განხილული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ რეგისტრის დარღვევის შემთხვევები ინტერვიუს წარმართვის პროცესში არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ყვითელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ინტერვიუებს.

რაც შეეხება მეორე მოთხოვნას, კორესპონდენტები უმეტეს შემთხვევაში თავს იკავებენ საკუთარი პოზიციის გამოხატვისაგან და ცდილობენ დაიცვან ნეიტრალურობის პრინციპი. მაგალითად, გაზეთ ქრონიკის №43 მონომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ვკითხულობთ:

თ.ს. – არ იყო წაქცეული მაშინ... ხალხი მიხვდა, რომ ზვიადი ქვეყანას ღუპავდა. არა, არა, შენ გინდა რომ გაამართლო, ვერ გაამართლებ.

გ. ხ. ( ჟურნალისტი): არა, მე არ ვცდილობ, გამსახურდია გაამართლო, უბრალოდ, ოპონირებას გიწვევთ ( ქრონიკა № 43 (410) 2-8 10. 09).


ინტერვიუს წარმართვისას ასევე აუცილებელია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

- ა) პარალინგვისტური ასპექტები, კერძოდ, ხმის ტონალობა, პაუზების ხანგრძლივობა და სხვ.
- ბ) არავერბალური ქმედებები: ინტენსიურმა ექსტიკულაციამ შეიძლება რესპონდენტის გაღიზიანება გამოიწვიოს.

გ) დიალოგის, დისკუსიისა და ინტერვიუს ენობრივ რეალიზაციაში მონაწილეობს, აგრეთვე, შიდატექსტური საშუალებები. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერვიუს კომპოზიციურ მონაკვეთებს: დასაწყისი და დასასრული. კორესპონდენტის დადებითი განწყობა ხშირად რესპონდენტსაც გადაეცემა და პირიქით. დისკუსია, დიალოგი, ინტერვიუ, ისევე, როგორც სხვა ტიპის ტექსტები, ამ სტრუქტურული ერთეულების გაფორმების თავისებურებებით გამოირჩევა, რაც ხშირ შემთხვევაში საკომუნიკაციო როლებთან არის დაკავშირებული. ასე, მაგალითად, ინტერვიუს გახსნა, სიტყვის მიცემა, სიტყვის ჩამორთმევა, თემიდან გადახვევის არ დაშვება და სხვ. კორესპონდენტის როლს განეკუთვნება.

არასასიამოვნო შეკითხვებზე პასუხის გაცემა ისე, რომ შეინარჩუნო დადებითი იმიჯი საზოგადოების თვალში, – უდიდესი ხელოვნებაა. ძნელია, მოახერხო, რომ არ დაგადაწაშალონ პასუხის თავიდან აცილებაში და ამავე დროს, დაიცვა თანამშრომლობის პრინციპები. ინტერვიუებში, რომელსაც ერთსა და იმავე ადამიანს ართმევენ ხშირად არის პრაქტიკულად ერთნაირი პასუხები.


მართალია, ჩატარებული კვლევა არაა საკმარისი პირობა, ვილაპარაკო პროცენტულად რა რაოდენობით ირღვევა გრაისის თანამშრომლობის პრინციპები და რა ხერხებსა და საშუალებებს იყენებენ კორესპონდენტები რესპონდენტისაგან სასურველ კითხვაზე პასუხის მისაღებად, მაგრამ შესაძლებელია წარმოვადგინო ზოგადი მონახაზი ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.



გამოიკვეთა, რომ ყველაზე ხშირად ირღვევა შესაბამისობის მაქსიმა, რაც მოითხოვს მართებულად თანამშრომლობას. ხოლო ამ სიაში მეორე ადგილზე დგას მანერის მაქსიმა, რაც გულისხმობს ბუნდოვანების თავიდან აცილებას ზუსტი და კონკრეტული პასუხის გაცემით. მესამე ადგილზე დგას თვისობრიობის მაქსიმა, რომლის მიზანია, არ თქვა ის, რასაც არ აქვს ადეკვატური სამხილი. მეოთხე ადგილზე დგას თანამშრომლობის მაქსიმა, რომელიც მოითხოვს ინფორმაციის ისე მიწოდებას, როგორც გთხოვენ. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ნაკლებად რაოდენობრიობის მაქსიმა ირღვევა, რომლის თანახმადაც არ არის საჭირო იყო უფრო ინფორმაციული, ვიდრე საჭიროა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაქსიმები ხშირად ერთმანეთს გადაფარავენ (იხ. სქემა № 11).

სქემა № 11

სისწიროს მიხედვით კონვერსაციულ მაქსიმთა ღარღვევის  
ზოგადი მონახაზი



კორესპონდენტის მიერ ნაცვალსახელთა გამოყენების სისწარე ასე გამოიყურება:

მე	5%
ჩვენ	30%
თქვენ, როცა რესპონდენტს	15%

პირადად გულისხმობენ	
ამბობენ, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით	50%

ხოლო რესპონდენტის მიერ ნაცვალსახელთა გამოყენება შემდეგი სისშირით გვხვდება:

მე	10%
ჩვენ	36%
თქვენ	54%

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური დიალოგისას ნაცვალსახელების გამოყენების არჩევანი სცილდება გრამატიკულ პირს, რიცხვსა და სქესს. ისინი შეიძლება არჩეული იქნეს სხვადასხვა მიზეზით, რომელიც აისახება ფორმალურ ან კატეგორიალურ დონეზე; ისინი შეიძლება ფუნქციონირებდნენ კომუნიკაციურად იმისათვის, რომ გამოამჟღავნონ მთქმელის დამოკიდებულება, სოციალური მდგომარეობა, სქესი, მოტივაცია და ა.შ.

განხილული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პოტენციურად იმიჯისათვის საფრთხის შემქმნელი ან პოლიტიკურად სარისკო თემებზე საუბრისას, პოლიტიკოსები თავს არიდებენ პირდაპირ და აშკარა კომუნიკაციას, რათა დაიცვან საკუთარი კარიერა და მოიპოვონ პოლიტიკური და ინტერაქციული უპირატესობა თავიანთ ოპონენტებთან შედარებით. არაპირდაპირობა ზოგჯერ განპირობებულია თავაზიანობით. კომუნიკაციის პროცესში ეს არაპირდაპირობა შეიძლება გამოსატული იქნეს ზოგჯერ გაზვიადებით, უხვსიტყვაობით, ირიბიად გადაკრული საუბრით, მეტაფორით და ა.შ. პოლიტიკოსთა არაპირდაპირობაზე, აგრეთვე გავლენას ახდენს მათი პირადი ხასიათი, ქვეყნის კულტურა და ის სოციოპოლიტიკური სიტუაცია, რომელსაც ადგილი აქვს ინტერვიუს ჩაწერის დროს. ცხადია, კულტურათაშორისი განსხვავება აისახება კომუნიკაციის ყველა

დონეზე. ყველა ჩვენგანი ამათუ იმ ფორმით აწყდება სიტუაციას, რომელიც მოითხოვს ამ განსხვავების ცოდნასა და გაგებას.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კომუნიკაციის მხოლოდ 7% მოდის კომუნიკაციის გამოხატვის ენობრივ საშუალებებზე. დანარჩენი კი არაენობრივ საშუალებებს ეთმობა. ძალიან ხშირად სწორედ ეს საშუალებები ქმნიან კომუნიკაციურ ქვეტექსტს. ჩვენ უკვე განვიხილეთ მაგალითები, სადაც კარგად ჩანს ქვეტექსტის გამოხატვის რა ხერხები და საშუალებები არსებობენ. მათ შორისაა:

*სიტყვების გარეშე თქმა:* ხელების, უესტებისა და სახის გამომეტყველების გამოყენება;

*ემოციების გამოყენება:* იმედგაცრუების, ბრაზის ან სიხარულის გამოხატვა ზოგჯერ კარგ საფუძველს ქმნის კომუნიკაციური ქვეტექსტის გადმოსაცემად.

*თხოვნა შეკითხვის გამეორების შესახებ:* ასეთ შემთხვევაში მსმენელს უნდა უნდა შეგრძნება, რომ მოქმედებს სურს დრო მოიგოს და მოიფიქროს შესაფერისი პასუხი ისე, რომ არ დაკარგოს დადებითი იმიჯი საზოგადოების თვალში.

*იყავი მომთმენი:* ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხერხი მსმენელსა თუ მკითხველს რაღაც დაფარულ მნიშვნელობაზე მიანიშნებს, ამიტომ საუკეთესო გამოსავალია იყოს მომთმენი, რათა არ გასცეთ საკუთარი თავი.

## მესამე თავის დასკვნები

პოლიტიკურ ინტერვიუთა პრაგმატიკული ანალიზის პროცესში, რომლის მიზანი იყო კონვერსაციული იმპლიკაციის დადგენა, გამოიკვეთა, რომ მეტყველების ნებისმიერმა აქტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ქვეტექსტის წარმოშობაზე.

ინტერვიუთა პრაგმატიკული ანალიზის პროცესში, რომლის მიზანი იყო კონვერსაციული იმპლიკაციის დადგენა, განჩნდა ახალი ტერმინი **იმიჯი, სახე**, რომელიც გულისხმობს მოსაუბრის ლინგვისტურ და სოციალური რეალობის შეგრძნებას. მეტყველების ნებისმიერმა აქტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ შეგრძნებაზე და შესაბამისად გამოიწვიოს სახის, იმიჯის დაკარგვის საშიშროება. არსებობს თავაზიანობის ორი სახეობა: პოზიტიური და ნეგატიური. თავაზიანობის კონცეფციის ყველაზე უფრო საფუძვლიანი ანალიზი ეკუთვნის პენელოპე ბრაუნსა და სტეფან ლევინსონს (Brown & Levinson 1978).

ჟურნალისტურ თეორიაში კომუნიკაცია დანახულია, როგორც პოტენციურად საშიში და ანტაგონისტური ქმედება. რსებობს თავაზიანობის სტრატეგიები, რასაც ხშირად იყენებენ პოლიტიკოსები ინტერვიუს პროცესში, რათა შეინარჩუნონ დადებითი იმიჯი საზოგადოების თვალში. ბრაუნისა და ლევინსონის მიხედვით იმიჯი, სახე, ასეა განმარტებული: „წარმოდგენა საკუთარ თავზე, რომელიც საზოგადოების თითოეულ წევრს სურს სახალხოდ ჰქონდეს“ (Brown & Levinson 1978: 435). მათი თეორიის მიხედვით სახე, იმიჯი შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტისაგან:

- ერთი, ეს არის ნეგატიური სახე, ანუ ტერიტორიის, მოქმედების თავისუფლებისა და ძალად თავსმოხვევის თავიდან აცილების უფლება – სურვილი, რომ შენი ქმედებები არ იქნეს შეზღუდული და დარღვეული სხვის მიერ.
- მეორე, ეს არის დადებითი სახე, დადებითი წარმოდგენა საკუთარ თავზე, რომელიც ადამიანებს სურთ, რომ შეფასებული და მოწონებული იქნეს სხვების მიერ.

რაციონალურ საქციელს, რომელსაც ხალხი სწადის იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ზემოთ ხსენებული იმიჯის ორივე სახეობა, ემატება თავაზიანობა. ბრაუნისა და ლევინსონის მიხედვით კომუნიკაციისას, იქნება ეს ზეპირი თუ



წერლობითი, ადამიანები ცდილობენ შეინარჩუნონ მათ მიერ შერჩეული იმიჯი (ibid 1978).

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვეყოთ თავაზიანობის სტრატეგიების ქვეკატეგორიები:

1. შეუღამაზებელი სტილი;
2. დადებითი თავაზიანობა;
3. უარყოფითი თავაზიანობა;
4. არაოფიციალური სტრატეგია;

ინტერვიუს პრაგმატიკული ანალიზის ჩატარებისას გამოიკვეთა ის კატეგორიები, რომელთა გამოყენების სიხშირე ხელს უწყობს ინტერვიუს, როგორც ტექსტის, ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობას. კერძოდ, ეს კატეგორიებია: ნაცვალსახელთა გამოყენების სიხშირე, გამონათქვამის ხანგრძლივობა, ფონური სიგნალები და გადამღები რეაქცია.

ჟურნალისტს, რომელსაც მიღებული აქვს შესაბამისი ინსტრუქცია, შეუძლია მოახდინოს საუბრისას ვარირება, გააძლიეროს ან შეასუსტოს გავლენა რესპონდენტზე და როგორც კი იგი შეწყვეტს გავლენის ტაქტიკას, რესპონდენტი დაუბრუნდება თავის საკუთარ პოზიციას. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი საშუალება, რითაც კორესპონდენტს შეუძლია გავლენა მოახდინოს რესპონდენტის პასუხის ხანგრძლივობაზე, არის უბრალოდ ჩარევა მის საუბარში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჟურნალისტის მიერ წარმოთქმული ნებისმიერი გამონათქვამი შეიძლება ჩაითვალოს შეკითხვად. თუ ჩვენ შეკითხვად აღვიქვამთ მხოლოდ კითხვით წინადადებას, მაშინ შეიძლება სხვა შედეგი მივიღოთ, მაგრამ როგორც ინტერვიუთა ანალიზიდან ჩანს, ზოგჯერ მტკიცებითი წინადადებაც შეიძლება გამოყენებული იქნეს პასუხის პროცირებისათვის, რადგანაც ინტერვიუს დროს ხშირად ხდება წინადადებათა ტიპების გადაფარვა მათი ფუნქციების წინა პლანზე წამოწევით. ხშირად შეკითხვა ან გამონათქვამი შეიძლება გაგებული იქნეს როგორც განაცხადი ან პირიქით.

## დასკვნა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი „ინტერვიუს, როგორც ტექსტის, ქვეტექსტური განზომილება“ მიზნად ისახავდა ინტერვიუს როგორც სამეტყველო ჟანრის შესწავლას მისი თემატური, კომპოზიციური და სტილისტური პარამეტრების გათვალისწინებით. გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიაში საზი გაესმის ინტერვიუს განსაკუთრებულ პოპულარობას მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებათა სისტემაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი, რადგანაც ჟურნალისტიკის ახალ დარგს წარმოადგენს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ინტერვიუს კვლევა აქტუალურია თვით ჟურნალისტიკისთვისაც. მაგრამ ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა იგი ლინგვისტური თვალსაზრისით, ანუ, გამოგვეკვია ინტერვიუს კონცეფციის ფორმირების ენობრივი საშუალებები აგრეთვე, შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა იმპლიკაციის სახეები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ინტერვიუს დროს, რათა გამოგვეკვლია ინტერვიუს, როგორც ტექსტის, ქვეტექსტური განზომილება.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგი შეიძლება განზოგადდეს შემდეგი სახის დასკვნების სახით:

1. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ინტერვიუ განიხილება ჟურნალისტიკის დამოუკიდებელ ჟანრად – ინტერვიუსა და დიალოგურ დისკურსს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებით, რაც გამოხატულებას ჰპოვებს როგორც მათი რეალიზების ფუნქციურ-სემანტიკურ და პრაგმატიკულ თავისებურებებში, ისე მათ ინფორმაციულ სტრუქტურებებში.

2. კვლევის შედეგად წარმოვაჩინეთ დიალოგური დისკურსისა და ინტერვიუს ძირითადი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. თუ დიალოგური დისკურსის დროს სამეტყველო აქტების მონაცვლეობას თან სდევს მეტყველი სუბიექტისა და მსმენელის როლებრივი (კომუნიკაციური) მონაცვლეობა, ინტერვიუს დროს მასში მონაწილეთა ამგვარი კომუნიკაციური მონაცვლეობა ხორციელდება კორესპონდენტისა და რესპონდენტის სტაბილურად ფიქსირებული ინსტიტუციონალურ-ფუნქციური როლების ფონზე. ეს გულისხმობს, რომ კორესპონდენტს, მთელი ინტერვიუს განმავლობაში

შენარჩუნებული აქვს ჟურნალისტის ინსტიტუციონალური ფუნქცია, ხოლო რესპონდენტს კი – პოლიტიკოსის.

3. ინტერვიუს ლინგვოსემიოტიკურმა კვლევამ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის პრიზმაში მისი სემანტიკური (რეფერენციალური), სინტაქტიკური (შიდაენობრივი) და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვევლინა საგაზეთო ინტერვიუს სტრუქტურული, ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური თავისებურებანი, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მისი, როგორც ტექსტის ჟანრობრივ-სტილისტურ ტიპობრიობას.

4. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ის ხერხები და საშუალებები, რომლებსაც ჟურნალისტი იყენებს ინტერვიუს წარმართვის პროცესში ინფორმაციის მისაღებად. ესენია:


- ინფორმაციული ფონის შექმნა თხრობითი წინადადებებით უშუალოდ შეკითხვის დასმამდე;
- თავაზიანობის მაქსიმთა დაცვა;
- საუბრის ტონის შერბილება.

5. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა, ასევე, რესპონდენტის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშან-თვისებები, რომლებიც მის კომუნიკაციურ სტრატეგიას ქმნიან. კითხვაზე პასუხის თავიდან აცილების მიზნით, ყველაზე ხშირად ადგილი აქვს შეტევას შეკითხვაზე, რაც რეალიზდება ინფორმაციის წყაროს დაზუსტებით, საკითხთან მიმართებაში შეკითხვის მართებულობისა და კონტექსტთან მიმართებაში შეკითხვის შესაფერისობის კრიტიკით.

6. კვლევის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პოლიტიკოსი რესპონდენტის კომუნიკაციური სტრატეგია უმეტესწილად დაკავშირებულია გრაისის მაქსიმების შეგნებულ დარღვევასთან, რაც თავის მხრივ განაპირობებს პასუხის ქვეტექსტურობას, მის აზრობრივ ბუნდოვანებას და ეზოთერულობას.

7. ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა ინტერვიუს დროს მაქსიმების დარღვევის ზოგადი მონახაზი სისშირის მიხედვით თანმიმდევრულად წარმოვაჩინოთ შემდეგი სქემის სახით:

სქემა № 2




8. საგაზეთო ინტერვიუს განხილვამ სამგანზომილებიანი ლინგვისტიკური მოდელით შესაძლებლობა მოგვცა დაგვეზუსტებინა ქვეტექსტის ლინგვისტური არსი, რის შესაბამისადაც იგი განიხილება როგორც ტექსტის სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატიკული ასპექტების თანადროული რეალიზების შედეგად წარმოქმნილი ინფორმაციის სიღრმისეული პლასტი, რომლის სწორი ინფერენციაც მოითხოვს ტექსტისადმი შემოქმედებით ინტერპრეტაციულ მიდგომას, ანუ მის განხილვას ფართო სოციო-კულტურულ კონტექსტში.

9. ინგლისურ- და ქართულენოვანი ინტერვიუების კვლევამ წარმოინა პოლიტიკოსი რესპონდენტის კომუნიკაციური სტრატეგიის სპეციფიურობა, რომელიც მიზნად ისახავს:


- არასასურველი ინფორმაციის და ფაქტების ნეიტრალიზაციას და შენიღბვას;
- სიმართლის დამალვას და მასებში აზრთა სხვადასხვაობის შეგნებულად გამოწვევას;
- ანონიმურობას და დეპერსონალიზაციას პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად;
- საკუთარი რეიტინგის გადარჩენას;
- ინტერვიუს მსვლელობისას უკიდურესობების და კონფლიქტების თავიდან აცილებას.

10. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური დიალოგისას ნაცვალსახელების გამოყენების არჩევანი სცილდება გრამატიკულ პირს, რიცხვსა და სქესს. ისინი შეიძლება არჩეულ იქნეს სხვადასხვა მიზეზით, რომელიც აისახება ფორმარულ ან კატეგორიულ დონეზე; ისინი შეიძლება ფუნქციობდნენ კომუნიკაციურად იმისათვის, რომ გამოამჟღავნონ მოქმედის დამოკიდებულება, სოციალური მდგომარეობა, სქესი, მოტივაცია და ა.შ. (იხ. ინტერვიუს იმპლიკაციის გამოვლენის ენობრივი საშუალებები ინგლისურ და ქართულ ენებში. სქემა № 3, 4 ).

11. ინტერვიუს რეალიზაციის შესწავლა სხვადასხვა სისტემის ენებში (ჩვენს შემთხვევაში, ინგლისურსა და ქართულში) ასაბუთებს თეზისს იმის შესახებ, რომ ობიექტური სინამდვილის ასახვა მათი კონცეპტუალური სისტემების ინვარიანტულობის საფუძველს ქმნის; ხოლო ინტერვიუს ენობრივი გაფორმება შესაბამისი ენების თვითმყოფადობასა და ვარიანტულობაზე მეტყველებს.



not filled form




filled form



შეუმსახელი შორმა





## ბიბლიოგრაფია

1. გამყრელიძე, თ., კიკნაძე ზ, შადური, ი., შენგელაია, ნ. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
2. ლებანიძე, გ. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2004.
3. - - - *სიღრმეთა დიალოგი და “ტრაგიკული ტრიადა”*. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2006.
4. ჭრელაშვილი, კ. *ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
5. ნებიერიძე, გ. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1991.
6. ფურცელაძე, ვ. *ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი განცხადება*. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 2000.
7. Арнольд, И. В. *Импликация как прием построения текста и предмет филологического изучения*. Москва: изд. «Вопросы языкознания», №4, 1982.
8. Гальперин, И. Р. *Грамматические категории текста*. Москва: “Известия АН СССР. Серия литературы и языка,” №6, 1977.
9. Долинин, К.А. *Имплицитное содержание высказывания*. Москва: изд «Вопросы языкознания», №4, 1983.
10. Звегинцев, В.А. *Предложение и его отношение к языку и речи*. Москва: изд. МГУ, 1976.
11. Atlas, J. D. *How linguistics matters to philosophy: Presupposition, truth, and meaning*. New York: “Academic Press”, 1979
12. - - - *Philosophy Without Ambiguity*. Oxford: Oxford University Press, 1989
13. Atlas, J.D., and Levinson, S. C. *It-clefts, informativeness, and logical form: Radical pragmatics (revised standard version)*. New York: “Academic Press”, 1981
14. Austin, J.L. *How to do thing with words*. N.Y: Oxford university press, 1965.
15. Bach, K. *Conversational implicature*. Cambridge: “Mind and Language”, 1994.
16. - - - *Standardization and conventionalization*. Cambridge: MA: MIT Press, 1995.
17. Bach, K., and Harnish, R. *Linguistic Communication and Speech Acts*. Cambridge: MA: MIT Press, 1979.
18. Berg, J. *The pragmatics of substitutivity. Linguistics and Philosophy*. Cambridge: Cambridge University Press, 1988.
19. Blakemore, D. *Semantic Constraints on Relevance*. Oxford : Basil Blackwell, 1987.
20. - - - *Understanding Utterances*. Oxford : Basil Blackwell, 1992.
21. Bloomfield, L. *Sentence and Word*. New York: Henry Holt, 1914.
22. Bloomfield, L. 1914. [Introduction to the Study of Language](#). New York: Henry Holt, 1983.
23. Brown, P., Levinson, S.C. *Politeness- Some Universals in language Usage*. Cambridge: Cambridge University Press, 1987.
24. - - - *Universals in Language Use: Politeness Phenomena. Questions and Politeness: Strategies In Social Interaction*. Cambridge: Cambridge University Press, 1978.
25. Carston, R. *Being explicit*. Cambridge: Cambridge University Press, 1987
26. - - - *Implicature, explicature, and truth-theoretic semantics. In Mental Representations: The Interface Between Language and Reality*. Cambridge: Cambridge University Press,

1988. Reprinted in *Pragmatics: A Reader*, ed. S. Davis, pp. 33–51. Oxford: Oxford University Press, 1991.
27. Chomsky, N. . *Aspects of the Theory of Syntax*. N.Y : MIT Press, 1965.
  28. Cole, P. *The synchronic and diachronic status of conversational implicature*. New York: Academic Press, 1975.
  29. Cowie, A. P. *Phraseology*. In *The Encyclopedia of Language and Linguistics*, ed. R. Asher, Oxford: Pergamon Press, 1994.
  30. Cowie, A. P., Mackin, R., and McCaig, I. *Oxford Dictionary of Current Idiomatic English*. Oxford: Oxford University Press, 1983.
  31. Cruse, D. A. *Lexical Semantics*. Cambridge: Cambridge University Press, 1986.
  32. Crystal, D. *The Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge: Cambridge University Press, 1987.
  33. Davis, W. A. *Implicature: Intention, Convention, and Principle in the Failure of Gricean Theory*. Cambridge: Cambridge University Press, 1998.
  34. --- *Meaning, Expression, and Thought*. New York: Cambridge University Press, 2003
  35. Davison, A. *Indirect speech acts and what to do with them*. In *Syntax and Semantics, 3: Speech Acts*, ed. P. Cole & J. L. Morgan, pp. 143–84. New York: Academic Press, 1975.
  36. Dascal, M. and E. Weizman. *Contextual exploitation of interpretation clues in text Understanding*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, 1987.
  37. Dressler, W.U. & R. de Beaugrande. *Introduction to Text Linguistics*. Oxford: oxford University Press, 1981.
  38. Ducrot, O., Todorov, T. *Encyclopedic Dictionary of the Sciences of Language*. N.Y : The Johns Hopkins University Press, 1979.
  39. Fasold, R. *The Sociolinguistics of Language*. Oxford: Basil Blackwell, 1990.
  40. Frege, G. *On sense and reference*. Oxford: Basil Blackwell, 1952.
  41. Gazdar, G. *Pragmatics: Implicature, Presupposition, and Logical Form*. New York: Academic Press, 1979.
  42. Goffman, E. *Strategic Interaction*. Philadelphia: [University of Pennsylvania Press](#), 1969.
  43. --- *Frame analysis: An essay on the organization of experience*. London: Harper and Row, 1974.
  44. --- *Forms of Talk*. Philadelphia: [University of Pennsylvania Press](#), 1969.
  45. --- *Behavior in Public Places: Notes on the Social Organization of Gatherings*, The Free Press, 1963.
  46. Green, G. M. *How to get people to do things with words*. New York: Academic Press, 1975.
  47. - - - *Pragmatics and Natural Language Understanding*. Hillsdale, N. J.: Erlbaum Associates, 1989.
  48. Grice, H. P. *Meaning*. New York: Doubleday & Co., 1965.
  49. - - - *The causal theory of perception*. New York: Doubleday & Co., 1965.
  50. - - - *Logic and conversation*. New York: Academic Press, 1975. Reprinted in *Studies in the Way of Words*, ed. H. P. Grice. Cambridge: MA: Harvard University Press, 1989.
  51. - - - *Further notes on logic and conversation*. New York: Academic Press, 1978. Reprinted in *Studies in the Way of Words*, ed. H. P. Grice. Cambridge: MA: Harvard University Press, 1989.
  52. - - - *Presupposition and conversational implicature*. New York: Academic Press, 1981. Reprinted in *Studies in the Ways of Words*, ed. H. P. Grice. Cambridge: MA: Harvard University Press, 1989.
  53. Halliday, M.A.K. *Text as Semantic Choice in Social Contexts*. New York: Walter de Gruyter, 1977.
  54. Hirschberg, J. *A Theory of Scalar Implicature*. New York: Garland, 1991.

56. Horn, L. R. *On the Semantic Properties of Logical Operators in English*. Washington, DC: Georgetown University Press, 1972.
57. Humboldt W. *The Heterogeneity of Language and its Influence on the Intellectual Development of Mankind*. Cambridge: Cambridge University Press, 1999.
58. Jucker, Andreas H., Smith, Sara W., Tanja Lüdge *Interactive Aspects of vagueness in conversation*. Journal of Pragmatics, Oxford: Oxford University Press, 2003.
59. Karttunen, L., and Peters, S. *Conversational implicature*. New York: Academic Press, 1979.
60. Kates, C. *Pragmatics and Semantics*. Ithaca, N. Y.: Cornell University Press, 1980.
61. Kroch, A. *Lexical and inferred meanings for some time adverbs*. Cambridge: MIT press, 1972.
62. Kempson, R. *Presupposition and the Delimitation of Semantics*. Cambridge: Cambridge University Press, 1975.
63. --- *Ambiguity and the semantics-pragmatics distinction*. Oxford: Basil Blackwell, 1986.
64. Lakoff, G. and Johnson, M. *Philosophy in the Flesh: The embodied mind and its challenge to Western thought*. New York: Basic Books, 1999.
65. --- Q-based and R-based implicature. Washington, DC: Georgetown University Press, 1984.
66. --- *A Natural History of Negation*. Chicago: University of Chicago Press, 1989.
67. --- *Pragmatics, implicature, and presupposition*. New York: Oxford University Press, 1992.
68. Leech, G. *Principles of Pragmatics*. London: Longman, 1983.
69. --- *Language and Tact*. N.Y: Linguistic Agency University of Trier, Series A, Paper No.46, 1977.
70. --- *Pragmatics and conversational rhetoric*. Amsterdam: John Benjamins, 1981.
71. Levinson, S. C. *Pragmatics*. Cambridge: Cambridge University Press, 1983.
72. --- *Review of relevance*. Cambridge: Cambridge University Press, 1989.
73. --- *Presumptive Meanings: The Theory of Generalized Conversational Implicature*. Cambridge, MA: MIT Press, 1989.
74. Lewis, D. *Convention*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1969.
75. --- *Languages and language*. Minneapolis: University of Minnesota Press, 1975. New York: Oxford University Press, 1996.
76. Lyons, J. *Structural Semantics*. Oxford: Oxford University Press, 1964.
77. --- *Introduction to Theoretical Linguistics*. Oxford: Oxford University Press, 1968.
78. Martinich, A. P. *Communication and Reference*. Berlin and New York: Walter de Gruyter, 1984.
79. Matsumoto, Y. *The conversational condition on Horn scales*. Oxford: Oxford University Press, 1995.
80. McCawley, J. D. *Conversational implicature and the lexicon*. New York: Academic Press, 1978.
81. Morgan, J. L. *Two types of convention in indirect speech acts*. New York: Academic Press, 1978. Reprinted in Oxford: Oxford University Press, 1991.
82. Nunberg, G. *Validating pragmatic explanations*. New York: Academic Press, 1981.
83. Posner, R. *Semantics and pragmatics of sentence connectives in natural languages*. Amsterdam: Reidel, 1980.
84. Russell, B. *On denoting*. In *The Philosophy of Language*. Oxford: Oxford University Press, 1990.
85. Sadock, J. M. *Toward a Linguistic Theory of Speech Acts*. New York: Academic Press, 1974.
86. --- *On testing for conversational implicature*. New York: Academic Press, 1978. Reprinted in Oxford: Oxford University Press, 1991.

87. Salmon, N. *Frege's Puzzle*. Cambridge, MA: MIT Press, 1986.
88. Saul, J. *Intention, Convention, and Principle in the Failure of Gricean Theory*. Cambridge, MA: MIT Press, 2001.
89. - - - *Speaker meaning, what is said, and what is implicated*. Cambridge, MA: MIT Press, 2002
90. *Saussure de F. The Course of General Linguistics* New York: New York University Press, 1916.
91. Schiffrin, D. *Approaches to Discourse*. Oxford: Basil Blackwell, 1994.
92. Searle, J. *Indirect speech acts*. New York: Academic Press, 1975. Reprinted in Oxford: Oxford University Press, 1991.
93. Soames, S. *Direct reference and propositional attitudes*. Oxford: Oxford University Press, 1989.
94. - - - *Beyond singular propositions*. Oxford: Oxford University Press, 1995.
95. Sperber, D., and Wilson, D. *Irony and the use-mention distinction*. New York: Academic Press, 1981.
96. Sperber, D., and Wilson, D. *Relevance: Communication and Cognition*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1986.
97. - - - Loose talk. *Proceedings* Oxford: Oxford University Press, 1991.
98. . - - - *Relevance: Communication and Cognition, 2nd Edition*. Oxford: Blackwell, 1995.
99. Stalnaker, R. *Pragmatic presuppositions*. New York: New York University Press, 1974.
100. Thomason, R. *Accommodation, meaning, and implicature*. Cambridge, MA: MIT Press, 1990.
101. Wierzbicka, A. *Different cultures, different languages, different speech acts*. Berlin: Mouton de Gruyter, 1985.
102. ----- *Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction*. New York: Mouton de Gruyter, 1991.
103. ----- *Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction*. Berlin: Mouton de Gruyter, 2003
104. Wilson, D., and Sperber, D. *On Grice's theory of conversation*. New York: St. Martins Press, 1981
105. . - - - *Inference and implicature*. In *Meaning and Interpretation*. Oxford: Oxford University Press, 1991.
106. Teun A. van Dijk *Universitat Pompeu Fabra, Barcelona* CDA Congress Valencia, May 2004
107. van Dijk, Teun A. *Pragmatics and Poetics*. Amsterdam: North-Holland, 1976.
108. Weizman, E. *Requestive hints*. New Jersey: Alex, 1989.
109. - - - *Interlanguage requestive hints*. Oxford: Oxford University Press, 1993.
110. Weizman, E. and S.Blum- Kulka. *Ordinary misunderstanding*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, 1992.
111. [www.cbsnews.com/stories/2004](http://www.cbsnews.com/stories/2004).

**გამოყენებული გაზეთები:**

112. *ასვალ-დასვალ* № 18 (763) - 4-10. 05. 2009
113. *კვირის ქრონიკა* № 43 (410) – 2-8. 11. 2009.
114. *პრაიმტაიმი* № 7 - 23.04 2009.
115. The Guardian weekly. January 2009
116. *Georgian Times (ქართული გაზეთი)* 4-7 08. 2008.

